

კლიმატის გლობალური ცვლილების გავლენის მოდელირება  
ცენტრალური კავკასიონის ალპურ მცენარეთა მრავალფეროვნებაზე

ხათუნა გიგაური

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე სიცოცხლის  
შემსწავლელ მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების  
მოთხოვნების შესაბამისად*

სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფ., ბიოლ. მეცნ. დოქტ. მაია ახალკაცი

თანახელმძღვანელი: ემერიტუს პროფ. გია ნახუცრიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2016

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო

ფაკულტეტის დეკანს

ბატონ დავით თარხნიშვილს,

ამავე ფაკულტეტის დოქტორანტის

ხათუნა გიგაურის

### განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის „კლიმატის გლობალური ცვლილების გავლენის მოდელირება ცენტრალური კავკასიონის ალპურ მცენარეთა მრავალფეროვნებაზე“ ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული, ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ხათუნა გიგაური

15.10.2016

## აბსტრაქტი

კლიმატის გლობალური ცვლილება და მისი შესაძლო შედეგები თანამედროვეობის უმთავრესი ეკოლოგიური პრობლემაა. ის დედამიწის ყველა ეკოსისტემაზე მოახდენს მეტ-ნაკლებ გავლენას, მაგრამ განსაკუთრებით მკვეთრი და სწრაფი ცვლილებები მოსალოდნელია მაღალმთაში, როგორც ერთ-ერთ ყველაზე სენსიტიურ ბიომში. სწორედ ამიტომ მაღალმთის მცენარეულობა მიჩნეულია კლიმატის ცვლილების ყველაზე თვალსაჩინო ბიოინდიკატორად. მცენარეულობის შესაძლო ტრანსფორმაციის მოდელირებისთვის 2001 წელს საფუძველი ჩაეყარა ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილ პროექტს (GLORIA), რომელშიც საქართველო 2001 წლიდანვე ჩართული. კვლევის კონცეფცია დაკავშირებულია კლიმატის გლობალური ცვლილების შედეგად მცენარეულობის მოსალოდნელ ტრანსფორმაციასთან ჰიფსომეტრული და ექსპოზიციური გრადიენტების მიხედვით.

კვლევის მიზანია კლიმატის გლობალური ცვლილების (დათბობის) ფონზე ყაზბეგის რეგიონის (ცენტრალური კავკასიონი) მაღალმთის მცენარეულობის მრავალფეროვნების ცვლილების ტენდენციების დადგენა და შესაძლო რისკების შეფასება.

ცენტრალურ კავკასიონზე (ჯვრის უღ. მიდამოები) კვლევის ადგილები და სამონიტორინგო ნაკვეთები შერჩეულია საერთაშორისო ქსელში შემავალი ყველა რეგიონისთვის სტანდარტული მეთოდის შესაბამისად. ჩვენი კვლევა მოიცავს მონიტორინგის პირველი ორი ციკლის (2001 და 2008 წწ) შედეგად კვლევის ოთხი მწვერვალის, სხვადასხვა მცენარეულ სარტყელში (ტყის ზედა საზღვრის ეკოტონი - CP1, ქვედა ალპური - CP2, ზედა ალპური - CP3 და სუბნივალური/ნივალური - CP4) განლაგებულ 64 პერმანენტული ნაკვეთიდან ( $1\text{მ}^2$ ) მიღებული ფაქტობრივი მასალის ანალიზს.

მონიტორინგის პერიოდში ნიადაგის საშუალო წლიური ტემპერატურა არ გაიზარდა, თუმცა გარკვეულ ფლუქტუაციას ადგილი ჰქონდა 2002–2003 წწ, როცა ის

განსაკუთრებით მაღალი იყო. შემდეგ მან ისევ დაიკლო და სტაბილური გახდა. ივნისის მინიმალურმა ტემპერატურამ და ზრდის სეზონის ხანგრძლივობამ (GDD) დაკვირვების პერიოდში ასევე არ გამოავლინა ზრდის ტენდენცია. თერმული ინდიკატორი (S) ზღ. დ-დან სიმაღლისა და ექსპოზიციის მიხედვით სარწმუნოდ ვარირებდა, თუმცა არ გამოვლინდა მისი კორელაცია ჰიფსომეტრულ სიმაღლესთან. თერმოფილიზაციის ინდექსი (D) უარყოფითი იყო და ნაკლებად სარწმუნო, რაც სამონიტორინგო ნაკვეთების თერმოფილიზაციის ზოგადად დაბალ ხარისხზე მეტყველებს.

მონიტორინგის პერიოდში შეიცვალა სახეობათა დაფარულობა და სიხშირე, გაჩნდა თხუთმეტი „ახალი სახეობა“, „გაქრა“ ოთხი, რვა სახეობის მიერ დაკავებულმა ფართობმა მოიმატა, ხოლო სამისამ – დაიკლო. ამასთანვე, თოთხმეტი „ახალი სახეობის“ რანგი იყო ტყის ზედა საზღვრისა და ალპური, რომლებიც უპირატესობას სამხრეთ ფერდობს ანიჭებენ. აღმოჩნდა, რომ მარცლოვნები და ისლები უფრო სტაბილურები არიან ლოკალური კლიმატური ცვლილებების მიმართ. მონიტორინგის პერიოდში თითქმის არ შეცვლილა ინდიკატორი სახეობების სიხშირისა და სიმრავლის მაჩვენებლები, 2008 წელს მხოლოდ მთის-ტყის ზედა საზღვრის (AR 5) მცენარეების სიხშირე გაიზარდა სარწმუნოდ. დადგინდა, რომ ენდემური და ცივი ადგილების სახეობები არ იმყოფებიან საფრთხის ქვეშ და სახეობათა მიგრაციას ადგილი არ აქვს.

ამრიგად, კვლევის რეგიონში ადგილი აქვს ფლორისტული კომპოზიციის გარკვეულ ცვლილებებს, რომლებიც უმთავრესად არ მოიცავენ ზედა ალპურ და სუბნივალურ/ნივალურ სენსიტურ ცივ ჰაბიტატებს, სადაც იშვიათ და ენდემურ სახეობათა წილი დიდია. კვლევის ამ ეტაპზე ყველა ეს ცვლილება, იმის გათვალისწინებითაც, რომ ნიადაგის საშუალო წლიური ტემპერატურა არ გაზრდილა, განხილულ უნდა იქნეს როგორც გარკვეული ლოკალური ფლუქტუაციები და არა რაიმე სუქცესიური ხასიათის მოვლენა.

ძირითადი სამიზნე სიტყვები: კლიმატის გლობალური ცვლილება; GLORIA; ნიადაგის საშუალო ტემპერატურა; თერმული ინდიკატორი; თერმოფილიზაციის ინდექსი; მცენარეულობის ტრანსფორმაცია.

## Abstract

The global climate change will affect all the ecosystems around the world, but the most rapid and sharp changes are expected in high mountain areas with one of the most sensitive biomes. Hence alpine plants are considered the best bio-indicators of the climate change. Many observations have shown that climate warming has already led to changes in habitats, distribution patterns and viability of certain plants. The long term monitoring program GLORIA supported by the European Union was established for monitoring of the alpine plant cover transformation. Georgia was involved in the network in 2001.

The study sites and permanent plots in the Central Greater Caucasus were chosen according to the GLORIA protocol (which is a standard for all target regions in the GLORIA network). The summits were monitored in 2001 and 2008. Four summits were chosen along the vertical vegetation gradient (treeline ecotone – CP1; lower alpine zone – CP2; upper alpine zone – CP3; subnival/ nival – CP4). Our research introduces the analysis of the plant cover, abundance and distribution both in 64 permanent plots and summits. The average annual soil temperature did not increase during the monitoring period, however, there were some fluctuations in 2002-2003.

The daily minimum T in June and GDD (growing degree day) changed in different years, but there was no significantly increasing trend. The thermic indicator (S) decreased on all summits during monitoring period. This indicates the low degree of the thermophilization status of the monitored plots. The species cover and richness changed during monitoring period, 15 “new species” were recorded, only four species were not found. The study has shown that grasses and sedges tend to get more benefit from local climate change. Their cover and abundance did not change as much as the indicator value of the indicator species. In 2008 only the frequency of montane-treeline species (AR5) increased significantly. During

monitoring period the abundance rank of dominant species also did not change. It was obvious that the endemics and cold-adapted species are not severely endangered and species immigration is not the case.

Thus, the local changes of floristic composition took place in the research region. These changes don't cover the upper alpine and subnival/nival sensitive cold habitats, where the share of endemic species is high. If we take into consideration that the average soil temperature did not change, the observed changes mostly reflect a filling process rather than succession in the particular stage of the research.

**Key Words:** Climate global change, GLORIA, average soil temperature, thermic indicator, thermophilization index, transformation of vegetation.

## მადლობა

სადოქტორო კვლევის პროექტის განხორციელებისა და თეზისის მომზადების პროცესში დახმარებისთვის მადლობას მოვახსენებ:

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და საინჟინრო ფაკულტეტის პროფესორს.

განსაკუთრებულად ჩემს სამეცნიერო ხელძღვანელს პროფესორ მაია ახალკაცს, კვლევის პროცესისთვის სწორი მიმართულების მიცემისა და ყველა რეკომენდაციისთვის.

პროფესორს ემერეტუს გია ნახუცრიშვილს, გაწეული დახმარებისა და სასარგებლო რჩევებისთვის.

GLORIA-ს პროექტში ჩართული ყველა პროფესორს, დოქტორანტს და სტუდენტს გაწეული დახმარებისთვის.

კვლევა შესრულდა GLORIA-EUROPE პროექტის ფარგლებში.



# სარჩევი

|                                                                                                |           |
|------------------------------------------------------------------------------------------------|-----------|
| სარჩევი.....                                                                                   | vii       |
| ცხრილების ჩამონათვალი.....                                                                     | ix        |
| გრაფიკების ჩამონათვალი.....                                                                    | x         |
| სურათების ჩამონათვალი.....                                                                     | xiii      |
| აბრევიატურა.....                                                                               | xiii      |
| შესავალი.....                                                                                  | 1         |
| <b>თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა.....</b>                                                      | <b>5</b>  |
| 1.1 კლიმატის გლობალური ცვლილება და მისი ეკოლოგიური პერსპექტივები .....                         | 5         |
| 1.2 მაღალმთა როგორც კლიმატის გლობალური ცვლილების ინდიკატორი.....                               | 10        |
| 1.3 GLORIA-ს პროექტის ისტორია .....                                                            | 17        |
| 1.4 კლიმატის ცვლილება კავკასიაში.....                                                          | 20        |
| <b>თავი 2. კვლევის რეგიონის მოკლე დახასიათება.....</b>                                         | <b>22</b> |
| 2.1 მდებარეობა .....                                                                           | 22        |
| 2.2 ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები.....                                                          | 22        |
| 2.3 ნიადაგები.....                                                                             | 23        |
| 2.4 კლიმატი.....                                                                               | 23        |
| 2.5 რეგიონი მცენარეული საფარის მოკლე მიმოხილვა.....                                            | 25        |
| <b>თავი 3. კვლევის მეთოდები.....</b>                                                           | <b>31</b> |
| 3.1 კვლევის ადგილის შერჩევა და დახასიათება.....                                                | 31        |
| 3.2 მცენარეთა ნომენკლატურა, იდენტიფიკაცია და სასიცოცხლო ფორმები.....                           | 37        |
| 3.3 მცენარეთა პროექციული დაფარულობა და ფიტოსიციოლოგიური აღწერები.....                          | 37        |
| 3.4 მცენარეთა მრავალფეროვნება, ევენესი და ჟაკარდის ინდექსი.....                                | 38        |
| 3.5 ტემპერატურული ლოგერების დაყენება.....                                                      | 39        |
| 3.6 მცენარეთა რანგი, მცენარეულობის თერმული ინდიკატორი (S) და თერმოფილიზაციის ინდექსი (D) ..... | 41        |
| 3.7 სტატისტიკური ანალიზი.....                                                                  | 42        |

|                                                                                                                                                                                                                                                                                                                                        |            |
|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------|
| 3.8 მონაცემთა ბაზა.....                                                                                                                                                                                                                                                                                                                | 42         |
| <b>თავი 4. შედეგები.....</b>                                                                                                                                                                                                                                                                                                           | <b>44</b>  |
| 4.1 ნიადაგის საშუალო წლიური ტემპერატურისა და GDD-ს ცვლილება.....                                                                                                                                                                                                                                                                       | 44         |
| 4.2 სამონიტორინგო ნაკვეთების ფლორისტული შედგენილობა, სახეობათა რანგი და სასიცოცხლო ფორმები.....                                                                                                                                                                                                                                        | 56         |
| 4.3 სახეობათა სიმრავლე, მრავალფეროვნება და დაფარულობა.....                                                                                                                                                                                                                                                                             | 59         |
| 4.3.1 სახეობათა სიმდიდრე.....                                                                                                                                                                                                                                                                                                          | 59         |
| 4.3.2 სახეობრივი მრავალფეროვნების ინდექსი.....                                                                                                                                                                                                                                                                                         | 63         |
| 4.3.3 ფლორისტული მსგავსების ინდექსი.....                                                                                                                                                                                                                                                                                               | 65         |
| 4.3.4 სახეობათა დაფარულობის ცვლილება და დომინანტი სახეობები.....                                                                                                                                                                                                                                                                       | 66         |
| 4.4 მცენარეულობის თერმული ინდიკატორი (S) და თერმოფილიზაციის ინდექსი (D).....                                                                                                                                                                                                                                                           | 72         |
| 4.5 ინდიკატორი სახეობები.....                                                                                                                                                                                                                                                                                                          | 76         |
| <b>დისკუსია.....</b>                                                                                                                                                                                                                                                                                                                   | <b>82</b>  |
| <b>დასკვნა და რეკომენდაციები.....</b>                                                                                                                                                                                                                                                                                                  | <b>92</b>  |
| <b>ბიბლიოგრაფია.....</b>                                                                                                                                                                                                                                                                                                               | <b>94</b>  |
| <b>დანართები.....</b>                                                                                                                                                                                                                                                                                                                  | <b>114</b> |
| დანართი 1. გლორიას სამონიტორინგო მწვერვალებზე დაფიქსირებული სახეობების სრული სია. გამუქებული სახეობები კავკასიის ენდემებია. (AL-სახეობის გავრცელების ქვედა ზღვარი, AC-სახეობის გავრცელების ცენტრი, AU-სახეობის გავრცელების ზედა ზღვარი). სახეობათა რანგი: m-მთის, tl-ტყის ზედა საზღვრის, al-ალპური, ni-ნივალური, id-განუსაზღვრელი..... | 114        |
| დანართი 2. სახეობათა განაწილება კლასტერებზე 2001 წელს. (მცენარეთა სახელები მოცემულია შემოკლებულად Elevatio-ჰიფსომეტრული სიმაღლე, Presence-არის სახეობა, Absence-არ არის სახეობა).....                                                                                                                                                  | 118        |

## ცხრილების ჩამონათვალი

|                                                                                                                                                                                                                                                                                                         |    |
|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----|
| ცხრილი 1. ყაზბეგის რეგიონის კლიმატური პირობების დახასიათება.....                                                                                                                                                                                                                                        | 24 |
| ცხრილი 2. კვლევის ადგილების დახასიათება.....                                                                                                                                                                                                                                                            | 32 |
| ცხრილი 3. ბრაუნ-ბლანკეს დაფარულობის კლასის ტრანსფორმაცია პროცენტებში (%).....                                                                                                                                                                                                                           | 38 |
| ცხრილი 4. ნიადაგის საშუალო წლიური ტემპერატურის ცვლილების სტატისტიკური ცხრილი.....                                                                                                                                                                                                                       | 45 |
| ცხრილი 5. ნიადაგის საშუალო წლიური ტემპერატურის ცვლილება სხვადასხვა ჰიფსომეტრულ სიმაღლეზე.....                                                                                                                                                                                                           | 48 |
| ცხრილი 6. ANOVA-ს ტესტის შედეგები. მწვერვალებს შორის განსხვავება ეკოლოგიური მახასიათებლების (საშუალო წლიური ტემპერატურის (საშუალო ტ), ივნისის მინიმალური ტემპერატურის (ივნ.მინ.ტ) და წლიური მინიმალური ტემპერატურის (მინიმ.ტ.)) მიხედვით 2002 (ა) და 2008 (ბ) წელს. (sig- სარწმუნოების კოეფიციენტი..... | 50 |
| ცხრილი 7. . ნიადაგის საშუალო წლიური ტემპერატურის (°C) ცვლილება 2002-2008 წლებში ჩრდილოეთ და სამხრეთ ფერდობებზე.....                                                                                                                                                                                     | 51 |
| ცხრილი 8. GDD-ის ინდექსის ცვლილება ჩრდილოეთ და სამხრეთ ფერდობებზე 2002-2007 წლებში.....                                                                                                                                                                                                                 | 53 |
| ცხრილი 9. 2002-2008 წლებში GDD ცვლილების სტატისტიკური ცხრილი.....                                                                                                                                                                                                                                       | 54 |
| ცხრილი 10. მცენარეთა რანგის სიხშირის ცვლილება 2001-2008 წლებში ცენტრალურ კავკასიონზე ( $P<0.05$ , ↑-გაზრდა, ↓ - შემცირება, z-სტანდარტული გადახრის ინდექსი).....                                                                                                                                         | 58 |
| ცხრილი 11. სახეობათა სიმდიდრე ოთხ მწვერვალზე, 1მ <sup>2</sup> ფართობებზე (საშუალო და სტანდარტული გადახრა). „ახალი“ და „დაკარგული“ სახეობების რაოდენობა.....                                                                                                                                             | 59 |
| ცხრილი 12. „ახალი“ და „დაკარგული“ სახეობები ოთხ სამონიტორინგო მწვერვალზე.....                                                                                                                                                                                                                           | 60 |

|                                                                                                                                                                                                                                                      |    |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----|
| ცხრილი 13. პირსონის კორელაცია (Pearson's correlation) სახეობათა სიმდიდრეს, ნიადაგის საშუალო ტემპერატურას, GDD-სა და ჰიფსომეტრულ სიმაღლეს შორის.....                                                                                                  | 62 |
| ცხრილი 14. სახეობათა მიერ დაკავებული ფართობების რაოდენობის ცვლილება 2001-2008 წლებში. ( <i>mo-tl-al</i> - მთის-ტყის ზედა საზღვრის-ალპური, <i>tl-al</i> - ტყის ზედა საზღვრის-ალპური, <i>al-sn</i> - ალპურ-სუბნევალური, <i>sn</i> - სუბნევალური.)..... | 63 |
| ცხრილი 15. ოთხი სამონიტორინგო მწვერვალის ფლორისტული მსგავსება გამოხატული ჟაკარდის ინდექსით.....                                                                                                                                                      | 66 |
| ცხრილი 16. სახეობათა დაფარულობის სარწმუნო ცვლილება 2001-2008 წლებში.....                                                                                                                                                                             | 67 |
| ცხრილი 17. დომინანტი სახეობების სიმრავლისა და სიხშირის რანგი 2001 და 2008 წლებში (PCORD სტატისტიკური პროგრამის სახეობათა დომინანტობის ტესტი).....                                                                                                    | 70 |
| ცხრილი 18. სიმაღლის გრადიენტის მიხედვით თერმოფილიზაციის ინდიკატორის ცვლილების სტატისტიკური ცხრილი.....                                                                                                                                               | 74 |
| ცხრილი 19. კორელაცია S ინდექსსა და სხვა ეკოლოგიურ მახასიათებლებს შორის .....                                                                                                                                                                         | 75 |
| ცხრილი 20. ოთხ მწვერვალის (CP1, CP2, CP3, CP4) ოთხ ექსპოზიციაზე (აღ. ჩრდ. სამხ. დას.) სახეობების ფარდობითი რაოდენობა (%) და ფარდობითი სიხშირე (%).....                                                                                               | 78 |

## გრაფიკების ჩამონათვალი

|                                                                                      |    |
|--------------------------------------------------------------------------------------|----|
| გრაფიკი 1. ნიადაგის საშუალო წლიური ტემპერატურის (C°) ცვლილება 2002-2008 წლებში ..... | 44 |
|--------------------------------------------------------------------------------------|----|

|                                                                                                                                                                                                                                                                                     |    |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----|
| გრაფიკი 2. ნიადაგის საშუალო წლიური მინიმალური ტემპერატურის ცვლილება 2002-2008 წლებში CP1-CP4 მწვერვალებზე.....                                                                                                                                                                      | 46 |
| გრაფიკი 3. ზამთრის ტემპერატურის ცვლილება 2002-2008 წლებში CP1 მწვერვალის პერმანენტულ ნაკვეთებზე.....                                                                                                                                                                                | 47 |
| გრაფიკი 4. ნიადაგის საშუალო წლიური ტემპერატურის $T(^{\circ})$ ცვლილება 2002 (1) და 2008 (2) წლებში ოთხ ჰიფსომეტრულ სიმაღლეზე (Elevatio-ჰიფსომეტრული სიმაღლე; r-კორელაციის კოეფიციენტი).....                                                                                         | 48 |
| გრაფიკი 5. ივნისის საშუალო დღიური ტემპერატურის ცვლილება 2002-2008 წლებში.....                                                                                                                                                                                                       | 49 |
| გრაფიკი 6. GDD ინდექსის ცვლილება ჰიფსომეტრული სიმაღლის მიხედვით. (1-CP1; 2-CP2; 3-CP3; 4-CP4).....                                                                                                                                                                                  | 52 |
| გრაფიკი 7. GDD ინდექსის ცვლილება 2002 და 2007 წელს ჰიფსომეტრული სიმაღლის მიხედვით. (Elevatio-ჰიფსომეტრული სიმაღლე; r-კორელაციის კოეფიციენტი).....                                                                                                                                   | 52 |
| გრაფიკი 8. GDD ინდექსის ცვლილება 2002-2007 წლებში.....                                                                                                                                                                                                                              | 54 |
| გრაფიკი 9. სამონიტორინგო ფართობებზე სახეობათა სხვადასხვა ფუნქციური ჯგუფის პროცენტული განაწილება.....                                                                                                                                                                                | 55 |
| გრაფიკი 10. აღწერილი სახეობების განაწილება ოჯახების მიხედვით.....                                                                                                                                                                                                                   | 56 |
| გრაფიკი 11. ენდემური სახეობების განაწილება ოჯახების მიხედვით.....                                                                                                                                                                                                                   | 56 |
| გრაფიკი 12. სახეობათა სასიცოცხლო ფორმების პროცენტული განაწილება CP1-CP4 მწვერვალზე. (p-ზაფხულმწვანე ფანეროფიტები, n-ზაფხულმწვანე ნანოფანეროფიტები, j-ზამთარმწვანე ნანეროფიტები, z-მერქიანი ხამეფიტები, c-ბალახოვანი ხამეფიტები, h-ჰემიკრიპტოფიტები, g-გეოფიტები, t-ტეროფიტები)..... | 57 |
| გრაფიკი 13. სხვადასხვა რანგის მცენარეთა პროცენტული განაწილება(1-ნივალური, 2-სუბნივალური, 3-ალპური, 4-ტყის ზედა საზღვრიდან-ალპურემდე, 5-ტყის ზედა საზღვრის, 6- მთის-ტყის ზედა საზღვრამდე).....                                                                                       | 58 |

|                                                                                                                                                                                                                                                                                                                                               |    |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----|
| გრაფიკი 14. ახალი სახეობების პროცენტული განაწილება სამ მწვერვალზე (CP1, CP2, CP4) ექსპოზიციის მიხედვით (North-ჩრდილოეთი, East-აღმოსავლეთი, South-სამხრეთი, West-დასავლეთი).....                                                                                                                                                               | 61 |
| გრაფიკი 15. შენონ-ვინერის ინდექსის ცვლილება 2001 (ლურჯი ხაზი) და 2008 (წითელი ხაზი) წლებში CP1-CP4 მწვერვალზე.....                                                                                                                                                                                                                            | 64 |
| გრაფიკი 16. შენონ-ვინერის ინდექსის ცვლილება ოთხ მწვერვალზე 2001 და 2008 წლებში (1-CP1,2-CP2,3-CP3,4-CP4).....                                                                                                                                                                                                                                 | 65 |
| გრაფიკი 17. დაფარულობის მოხედვით დომინანტი სახეობები 2001 (ა) და 2008 (ბ) წელს.....                                                                                                                                                                                                                                                           | 69 |
| გრაფიკი 18. კლასტერების საერთო დაფარულობის ცვლილება 2001-2008 წელს CP1-CP4 მწვერვალზე.( ა)-CP1, ბ)-CP2,გ)-CP3, დ)-CP4.....                                                                                                                                                                                                                    | 72 |
| გრაფიკი 19. S ინდექსის ცვლილება 2001-2008 წლებში ოთხ მწვერვალზე (CP1,CP1,CP3,CP4) .....                                                                                                                                                                                                                                                       | 73 |
| გრაფიკი 20. . მცენარეულობის თერმული ინდიკატორის (S) ცვლილება ოთხ მწვერვალზე (CP1-CP4).....                                                                                                                                                                                                                                                    | 74 |
| გრაფიკი 21. მცენარეულობის თერმული ინდიკატორის ინდექსის ცვლილება 2001 და 2008 წლებში.....                                                                                                                                                                                                                                                      | 75 |
| გრაფიკი 22. კანონოკურ (ანუ სტანდარტულ) კომპონენტთა ანალიზი (CCA). მცენარეულობის თერმოფილური ინდიკატორისა (S) და სხვა ეკოლოგიური მახასიათებლების დამოკიდებულების გრაფიკები. (Thermic vegetation indicator- მცენარეულობის თერმული ინდიკატორი. June mean of daily minimum - ივნისის მინიმალური ტემპერატურა, GDD-ზრდის სეზონის ხანგრძლივობა)..... | 76 |

## სურათების ჩამონათვალი

|                                                                                                                                   |    |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----|
| სურათი 1. კავკასია, დიდი კავკასიონი, ცენტრალური კავკასიონი, ყაზბეგის რეგიონი (პუნქტირით), გუდაურის მიდამოები (უწყვეტი ხაზით)..... | 23 |
| სურათი 2. ნაკვეთი CP1 მწვერვალზე.....                                                                                             | 33 |
| სურათი 3. CP1 მწვერვალი.....                                                                                                      | 33 |
| სურათი 4. CP2 მწვერვალი.....                                                                                                      | 33 |
| სურათი 5. ნაკვეთი CP2 მწვერვალზე.....                                                                                             | 33 |
| სურათი 6. CP3 მწვერვალი.....                                                                                                      | 34 |
| სურათი 7. ნაკვეთი CP3 მწვერვალზე.....                                                                                             | 34 |
| სურათი 8. CP4 მწვერვალი.....                                                                                                      | 34 |
| სურათი 9. ნაკვეთი CP4 მწვერვალზე.....                                                                                             | 34 |
| სურათი 10. მწვერვალებისა (a) და სამონიტორინგო ნაკვეთების (b) სტანდარტული სქემა.....                                               | 36 |
| სურათი 11. 3x3 მ-იანი კლასტერი ველზე (მარჯვნივ სქემა).....                                                                        | 36 |
| სურათები 12 და 13. ტემპერატურის ავტომატური მინილოგერები.....                                                                      | 40 |

## აბრევიატურა

მაქ. - მონაცემის მაქსიმალური მნიშვნელობა.

ინდ. მაჩ - ინდიკატორული მაჩვენებელი

CCA - კანონიკურ კომპონენტთა ანალიზი (Canonical Correspondence Analysis)

CP1, CP2, CP3, CP4 - პერმანენტული სამონიტორინგო მწვერვალები 2240 მ-დან 3024 მ-მდე.

CV% - ვარიაციის კოეფიციენტი (Variation coefficient)

D - თერმოფილიზაციის ინდექსი (Thermophilization indicator)

df - თავისუფლების ხარისხი (Degree of freedom)

GDD - ზრდის სეზონის ხანგრძლივობა (Growing degree day)

GLORIA- EUROPE – Global Observation Research Initiative in Alpine Environments

H - შენონ-ვინერის ინდექსი

J - ევენესი

N - ჩრდილოეთი, S - სამხრეთი, E - აღმოსავლეთი, W - დასავლეთი

P - სარწმუნოების კოეფიციენტი

r - პირსონის კორელაციის კოეფიციენტი (Pearson Correlation)

R<sup>2</sup> - დეტერმინაციის კოეფიციენტი

S - თერმული ინდიკატორი (Thermic indicator)

SD - სტანდარტული გადახრა (Standart Deviation)

S<sub>J</sub>- ჟაკარდის ინდექსი

VI - სახეობის ინდიკატორული მაჩვენებელი

z - სტანდარტული გადახრის ინდექსი

## შესავალი

კლიმატის გლობალური ცვლილება (დათბობა) და მისი შესაძლო შედეგები თანამედროვეობის უმთავრესი ეკოლოგიური პრობლემაა (Körner, 1995, 2002, 2009, 2014; Messerli, Ives, 1997; Callaway, 1998; Sala et al., 2000; Grabherr et al., 2001, 2009; Ozenda, Borel, 2003; Pauli et al., 2004; Körner et al., 2005; Larcher, 2009, 2010, 2012).

21-ე საუკუნეში მაღალმთის ბიოტა განსაკუთრებული ინტერესის საგანი გახდა. 2002 წელი გამოცხადდა მაღალმთის საერთაშორისო წლად. დედამიწის მოსახლეობის თითქმის ნახევარი დამოკიდებულია მთებში წყლის რესურსებზე, ამიტომ მაღალმთის ბიოტის მთლიანობა და ფუნქციური მნიშვნელობა გადამწყვეტ როლს თამაშობს კაცობრიობის კეთილდღეობაში (კიორნერი, 2008).

მაღალმთის ეკოლოგიური პირობების დიდი მრავალფეროვნება განაპირობებს ფლორისა და მცენარეულობის მრავალფეროვნებასაც. აქ მცენარეთა ზრდა-განვითარება ობიექტურად არახელსაყრელ გარემოში მიმდინარეობს და მცირე ფართობზეც კი რადიკალურად განსხვავებული გარემო პირობებია შექმნილი (ლარხერი, 2006; კიორნერი, 2008). მცენარეთა მრავალფეროვნების მიხედვით მაღალმთა “ ცხელ წერტილადაა” აღიარებული, რადგან აქ დასახლებულია მრავალი იშვიათი, რელიქტური, ენდემური და გადაშენების საფრთხეში მყოფი სახეობა (Grabherr et al., 2000; Pauli et al., 1999; Körner, 2004a; Theurillat, Guisan, 2002; Barthlott et al., 2005, 2007; Mutke, Barthlott, 2005). აქ სახეობრივ მრავალფეროვნებასთან ერთად აღინიშნება მცენარეების შიდასახეობრივი გენეტიკური მრავალფეროვნებაც (Packer, 1974; Gugerli et al., 1999). გარდა იმისა, რომ ალპურ მცენარეთა მრავალფეროვნება მნიშვნელოვანი ბიოლოგიური საგანძურია, არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი როლი ეგზოგენური პროცესების (ზვავი, მეწყერი, ღვარცოფი, ნიადაგის ეროზია და სხვ.) შერბილებაში და მტკნარი წყლის ბალანსის რეგულაციაში (კიორნერი, 2008).

ბოლო დროს მიმდინარე კლიმატური ცვლილებების (მეტი ნალექი, თოვლის საფარის სიმძლავრისა და ხანგრძლივობის შემცირება, მისი განაწილების ცვლილება) მიმართ მაღალმთა ერთ-ერთ ყველაზე სენსიტიურად არის მიჩნეული (Guisan, Theurillat, 2001; Ozenda, Borel, 2003). თუკი დღეს არსებული პროგნოზების, ანუ

სხვადასხვა მოდელის თანახმად, 2100 წლისთვის ტემპერატურის მატება 1,5°C-დან 5,6°C-მდე (IPCC, 2001, 2007; Houghton et al., 2001; McCarthy et al., 2001) ნაწილობრივ გამართლდა, მაშინ ეს გამოიწვევს მაღალმთის მცენარეთა მრავალფეროვნებაში კარდინალურ ცვლილებებს (Sala et al., 2000; Bakken et al., 2002; Dullinger et al., 2008, Pauli et al. 2012). შეიცვლება გარემოს მალიმიტირებელი ეფექტი (ე.წ. კლიმატური ფილტრი), რაც გამოიწვევს დაბალი სიმაღლეებიდან მაღალმთაში სახეობათა მიგრაციას (კიორნერი, 2008).

მრავალმა დაკვირვებამ, მაგალითად, ალპებში (Gottfried et al., 1994; Grabherr et al., 1994, 2001; Körner, 1998; Walter et al., 2005a,b და სხვ.) სკანდინავიის მთებში (Klanderud, Birks, 2003), კლდოვან მთებში (Callaway, 1998) და დიდ კავკასიონზე (Nathutsrishvili 2001, 2003, Nathutsrishvili et al., 2004a,b, 2005, 2009) აჩვენა, რომ ზოგიერთი მცენარის არეალი, გავრცელების თავისებურებანი და სიცოცხლისუნარიანობა იცვლება (ან შეიცვლება) კლიმატის დათბობის შედეგად. ბევრად უფრო მძაფრია ადამიანის უშუალო ზემოქმედება მაღალმთის მცენარეთა მრავალფეროვნებაზე. მსოფლიო მასშტაბით ტყის ზედა საზღვართან არსებული მაღალმთის სარტყლის და საძოვრების დეგრადაცია შემაშფოთებელ მასშტაბებს აღწევს. ალპური მცენარეულობისთვის განსაკუთრებით სახიფათოა, როცა ეს ორი ფაქტორი - ანთროპოგენური და კლიმატის გლობალური ცვლილება - ერთმანეთს თანხვედბა.

ამ ცვლილებებზე დასაკვირვებლად და მაღალმთის მცენარეულობის შესაძლო ტრანსფორმაციის მოდელირებისთვის აუცილებელია მცენარეთა მრავალფეროვნებაზე ხანგრძლივი მონიტორინგის დაწყება (Grabherr et al., 2001; Pauli et al., 2004; Kikvidze et al., 2005; Dullinger et al., 2007; Erschbamer et al., 2010).

ასეთი კვლევების აქტუალობა ასახულია ევროკავშირის პროექტებში GLORIA-EUROPE (Global Observation Research Initiative in Alpine Environments) და GLORIA-WORLDWIDE. ეს პროექტები ითვალისწინებენ მუდმივი სამონიტორინგო ქსელის შექმნას მთელი დედამიწის მასშტაბით და ალპურ მცენარეთა მრავალფეროვნებაზე ხანგრძლივ პერსპექტივაში (50 წელზე მეტი) დაკვირვებას (3-5 წლიანი ინტერვალებით) (Grabherr et al., 2001; Pauli et al., 2004).

კვლევის კონცეფცია დაკავშირებულია კლიმატის გლობალური ცვლილების შედეგად მაღალმთაში მცენარეულობის მოსალოდნელ ტრანსფორმაციასთან ჰიფსომეტრული და ექსპოზიციური გრადიენტების მიხედვით (Grabherr et al., 2001; Pauli et al., 2004, 2012; Gottfried et al., 2012; Körner, 2014). ცნობილია, რომ მაღალმთის ეკოსისტემები ყველაზე სენსიტიურია კლიმატის ცვლილების მიმართ და ყველაზე კარგად ასახავს მის მოსალოდნელ შედეგებს როგორც ახლო, ისე საშუალო პერსპექტივაში (Körner, 2003, 2009, 2013; Grabherr et al., 2009; Larcher, 2012). კვლევა ჩატარდა საერთაშორისო სამონიტორინგო ქსელის (GLORIA-EUROPE და GLORIA-WORLDWIDE) ფარგლებში. ანალიზი განხორციელდა სივრცითი გრადიენტის (ჰორიზონტალური, ანუ გეოგრაფიული მხარეების და ჰიფსომეტრული) მიხედვით კლიმატის ცვლილებაზე მაღალმთის სახეობათა საპასუხო რეაქციების საფუძველზე. გამოყენებულ იქნა GLORIA-ს პროექტის ფარგლებში 2001-2008 წწ მოპოვებული ფაქტობრივი მასალა.

კვლევის მიზანია კლიმატის გლობალური ცვლილების (დათბობის) ფონზე ყაზბეგის რეგიონის (ცენტრალური კავკასიონი) მაღალმთის მცენარეულობის ტრანსფორმაციის ტენდენციების დადგენა.

გამომდინარე კვლევის მიზნიდან, დასახულ იქნა შემდეგი ამოცანები:

1. კვლევის რეგიონში პერმანენტული სამონიტორინგო ნაკვეთების ოთხ მთავარ ექსპოზიციაზე (N, E, S, W) 2001 და 2008 წწ რიზოსფეროს -10 სმ ჰორიზონტში ტემპერატურის ცვლილებების ანალიზი;
2. სამონიტორინგო ნაკვეთების ოთხ მთავარ ექსპოზიციაზე (N, E, S, W) და ჰიფსომეტრულ გრადიენტზე 2001 და 2008 წწ მოპოვებული ფაქტობრივი მასალის ფლორისტული ანალიზი;
3. ფაქტობრივი მასალის საფუძველზე მცენარეული საფარის სტანდარტული რაოდენობრივი მაჩვენებლების (მცენარეულობის და ცალკეულ სახეობათა პროექციული დაფარულობა, სახეობათა სიმდიდრე, მრავალფეროვნების ინდექსები – შენონ-ვინერი, ევენესი) და ფლორისტული მსგავსების მაჩვენებლების ანალიზი;

4. სხვადასხვა ექსპოზიციასა და აბსოლუტურ სიმაღლეზე მცენარეულ საფარში ენდემურ სახეობათა წილის დადგენა;
5. სხვადასხვა ექსპოზიციაზე და აბსოლუტურ სიმაღლეზე მცენარეულ საფარში ინდიკატორი სახეობების გამოვლენა;
6. ფაქტობრივი მასალის საფუძველზე ჰიფსომეტრული და ჰორიზონტალური გრადიენტის მიხედვით მცენარეულ მრავალფეროვნებაზე კლიმატის გლობალური ცვლილების გავლენის რისკების შეფასება.

## თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა

### 1.1 კლიმატის გლობალური ცვლილება და მისი ეკოლოგიური პერსპექტივები

მე-18 საუკუნის შუა წლებიდან, ანუ „ინდუსტრიული რევოლუციის“ პერიოდის დასაწყისიდან, ატმოსფეროში შეინიშნება  $\text{CO}_2$ -ის კონცენტრაციის თანდათანობითი მატება. მე-20 საუკუნის შუახნიდან ეს პროცესი საგრძნობლად გაძლიერდა და ამჟამად წელიწადში საშუალოდ 1.3  $\mu\text{L/L}$  შეადგენს, რაც დაფიქსირებულია ანტარქტიდის კლიმატური სადგურისა და მაუნა ლოას (ჰავაის კუნძულები) ობსერვატორიის მიერ, სადაც სისტემატური დაკვირვებები 1958 წლიდან მიმდინარეობს (IGBP, 1990; Larcher, 1995, 2003). პრეინდუსტრიულ პერიოდთან შედარებით, ატმოსფეროში  $\text{CO}_2$ -ის კონცენტრაცია დღეს თითქმის 18%-ით მომატებულია (IPCC, 2007; Vautard et al., 2014). ანთროპოგენური ფაქტორის (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ომები, იარაღის გამოცდა, ტყის ჭრა და სხვ.) ინტენსიფიკაციის შედეგად ატმოსფეროში წელიწადში 6 მილიარდ ტონამდე  $\text{CO}_2$  გამოიყოფა. ამის პარალელურად ჰაერში მოიმატა მეთანის შემცველობამაც. აღსანიშნავია, რომ  $\text{CO}_2$ -ის კონცენტრაციის ბუნებრივი ცვლილება საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია. მაგალითად, თუკი დღესვე შეწყდება ატმოსფეროში  $\text{CO}_2$ -ის გამოყოფა, მისი კონცენტრაცია პრეინდუსტრიული პერიოდის დონეს ბუნებრივად მხოლოდ 100 წლის შემდეგ დაუბრუნდება.

ცნობილია, რომ  $\text{CO}_2$  წყლის ორთქლთან, მეთანთან ( $\text{CH}_4$ ), ოზონთან ( $\text{O}_3$ ) და აზოტის ორჟანგთან ( $\text{N}_2\text{O}$ )(გაზებთან, რომელთაც მოლეკულაში ერთ ატომურ ბმაზე მეტი აქვთ), ანუ ე.წ. ბუნებრივ სათბურის გაზებთან ერთად განაპირობებს დედამიწის კლიმატის რეგულაციას. ეს გაზები მზის მოკლეტალღოვან რადიაციას დედამიწის ზედაპირამდე თითქმის შეუფერხებლად ატარებენ, ხოლო ინფრაწითელი რადიაციის დაახლოებით 90%-ს კი - შთანთქავენ. ერთზე მეტი სუსტი ატომური ბმები ვიბრირებენ და სითბოს გამოყოფენ. ეს იწვევს ჰაერის ქვედა ფენების გათბობას, ანუ ბუნებრივ „სათბურისმაგვარ ეფექტს“. ამის გამო დედამიწაზე გაბატონებულია სიცოცხლისთვის ხელსაყრელი ტემპერატურები. მრავალი ათასწლეულის მანძილზე დედამიწაზე დამყარდა წონასწორობა მზიდან მიღებულ და დედამიწის მიერ

გაცემულ ენერგიებს შორის, რამაც განაპირობა თანამედროვე კლიმატის ჩამოყალიბება და სტაბილიზაცია. ადამიანის გააქტიურებულმა საქმიანობამ განაპირობა როგორც „სათბურის ეფექტის“ გამომწვევი ბუნებრივი გაზების ემისიის ზრდა, ასევე „ინდუსტრიული გაზების“, განსაკუთრებით კი ფტორ-ქლორ-ნახშირწყალბადების მატება, რის გამოც სულ უფრო მეტი სითბო რჩება დედამიწისპირა ატმოსფეროში (დაახლოებით 6 კმ-იან ფენაში) და იზრდება მისი ტემპერატურა. ასე დაიწყო დედამიწაზე კლიმატის გლობალური ცვლილების პროცესი - ჰაერის ტემპერატურის ზრდა.

არსებობს მონაცემები, რომ დედამიწის საშუალო ტემპერატურამ მე-20 საუკუნის შუახნიდან დღემდე  $0.7^{\circ}\text{C}$ -ით მოიმატა, ხოლო ჰაერის საშუალო ტემპერატურამ 1850 წელთან შედარებით -  $1.1^{\circ}\text{C}$ -ით. პროგნოზების მიხედვით, 2030 წლისთვის ჰაერის საშუალო ტემპერატურა, 1750 წელთან შედარებით, შეიძლება  $3^{\circ}\text{C}$ -ითაც კი გაიზარდოს (Larcher, 2003). მთელი დედამიწის მასშტაბით ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე დღეისათვის შექმნილია კლიმატის გლობალური ცვლილების ერთმანეთისგან განსხვავებული პროგნოზული მოდელები (IGBP, WMO, GCMS, IPCC, CCSR/NIES, CCCma, CSIRO, Hadley Centre, GFDL, MPIM, NCAR PCM, NCAR CSM, GCMS და სხვ.). ყველაზე ოპტიმისტური პროგნოზის მიხედვით, მომავალ 30-50 წელიწადში ტემპერატურა საშუალოდ  $1-1.5^{\circ}\text{C}$ -ით აიწევს. General Calculation (GCMS)-ის, NCAR PCM და NCAR CSM მოდელები კი პროგნოზირებენ ტემპერატურის  $2.3-2.5^{\circ}\text{C}$ -ით გაზრდას და  $\text{CO}_2$ -ის კონცენტრაციის გაორმაგებას. ყველაზე პესიმისტური მოდელები (Hadley Centre, CCCma, CSIRO და CCSR/NIES) 2100 წლისთვის ვარაუდობენ ტემპერატურის გაზრდას  $3.8-5.6^{\circ}\text{C}$ -ით და ასევე  $\text{CO}_2$ -ის კონცენტრაციის გაორმაგებას (IPCC, 2001; Houghton et al., 2001; McCarthy et al., 2001). NASA-ს მიხედვით, ყველაზე ცხელი წლები აღინიშნა 1990 წლის შემდგომ. მათ შორის, აღსანიშნავია 1998, 2002, 2003 და 2005 განსაკუთრებით ცხელი წლები. უკანასკნელი საუკუნეების განმავლობაში სწორედ 2005 წელია ყველაზე ცხელი. ტემპერატურის მატება მე-20 საუკუნეში თანაბარი არ ყოფილა: პირველი მკვეთრი ზრდა აღინიშნა მის პირველ ნახევარში, ხოლო მეორე - უფრო ძლიერი - უკანასკნელი 30 წლის მანძილზე. ამ ორ პიკს შორის იყო ერთგვარი სტაბილიზაცია და ზოგიერთ

შემთხვევაში, სუსტი დაწევაც კი. ნიშანდობლივია, რომ კლიმატის განუხრელ დათბობაზე მიუთითებს არა იმდენად საშუალო წლიური ტემპერატურა, რამდენადაც ზამთრის მინიმალური ტემპერატურების შემცირება, რაც განსაკუთრებით შესამჩნევია ევროპასა და აზიაში (Körner, 2003). რასაკვირველია, დედამიწაზე ადრეულ ეპოქებშიც არსებობდა მნიშვნელოვანი ტემპერატურული ფლუქტუაციები, რომლებსაც რეგულარული ხასიათი ჰქონდა (Webb, 1986; Roeckner, 1992; Webb, Bartlein, 1992). უკანასკნელი გამყინვარება (ვიურმის პერიოდი) 1500 წლის წინ დამთავრდა. მაშინ ცენტრალურ ევროპაში ჰაერის საშუალო ტემპერატურა 10°C-ით უფრო დაბალი იყო, ვიდრე ეს დღეს არის.

ატმოსფეროში CO<sub>2</sub>-ის კონცენტრაციის დღევანდელი დონე შენარჩუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინდუსტრიალიზაციის ტემპები 3-ჯერ მაინც შემცირდება, რაც ალბათ არარეალურია. უფრო რეალურია წამყვანი ინდუსტრიული ქვეყნების მიერ მაღალი ტექნოლოგიების განვითარება და წარმოებაში დანერგვა, თუმცა გლობალური მასშტაბით მას მცირე დადებითი ეფექტი მოჰყვება.

ნიშანდობლივია, რომ მთელი დედამიწისთვის ტემპერატურის საშუალოდ გამოთვლილი მატება სულაც არ ასახავს იმ პროცესებს, რომელთაც რეგიონული ხასიათი აქვთ. რეგიონული თავისებურებები დამოკიდებულია რადიაციის ბალანსზე და, განსაკუთრებით, ჰაერის მასების დინამიკასა და ოკეანის დინებებზე (Larcher, 2003; Körner, 2003).

ცვლილებები აღინიშნება არა მხოლოდ ჰაერის, არამედ წყლის ტემპერატურაშიც. მსოფლიო ოკეანის საშუალო ტემპერატურამ უკვე საგრძნობლად აიწია და 17.5°C-ს მიუახლოვდა. წყლის ტემპერატურის ცვლილება, ისევე როგორც ჰაერისა, არაერთგვაროვანია. მაგალითად, ბოლო 90 წლის განმავლობაში ატლანტის ოკეანის ტემპერატურამ 1°C-ით მოიმატა, ხოლო ნორვეგიის ზღვისამ - 2°C-ით. გლობალური დათბობის შედეგად, შესაძლოა, გაქრეს გოლფსტრიმის დინება, რომელსაც სუბტროპიკებიდან და ტროპიკებიდან დიდძალი სითბო გადააქვს არქტიკის მიმართულებით. ამჟამად დინების ძალა უკვე 10%-ითაა შემცირებული (UNFCCC, 2010). მომავალ 100 წელიწადში ამ დინების სრული გაქრობის პერსპექტივა 50%-ს აჭარბებს, ხოლო 2200 წლისთვის მისი გაქრობის ვარაუდი 70%-ზე მეტია.

გოლფსტრიმის დინების შემცირება, ძირითადად გრენლანდიისა და არქტიკის ყინულების დნობის გამო ხდება, რაც, თავის მხრივ, იწვევს კლიმატის ცვლილებებს. ანტარქტიდაში თავმოყრილია დედამიწის ყინულის მარაგის დაახლოებით 90%. მისი დნობის სიჩქარე უკვე შემაშფოთებელ სიდიდეს აღწევს: ბოლო 50 წელიწადში ანტარქტიდის ყინულის ფარის ფართობი 13000 კმ<sup>2</sup>-ით შემცირდა (CEC, 2007; Dosio et al., 2012). ყინულის ასეთი ტემპით დნობა მსოფლიო ოკეანის დონის რამდენიმე მეტრით აწევას გამოიწვევს, აქედან გამომდინარე ყველა უარყოფითი შედეგით (Larcher 1995, 2003).

ჰაერისა და მსოფლიო ოკეანის წყლის გათბობის შედეგად უნდა მოიმატოს აორთქლებამ, მაგრამ ოკეანე ინერციის შედეგად (მის სიღრმეში არსებული ცივი წყლის უზარმაზარი მარაგის გამო) კიდევ დიდხანს შეინარჩუნებს ამჟამინდელთან მიახლოებულ ტემპერატურას. ამიტომ აორთქლების ინტენსივობა შეიცვლება და ატმოსფერო ვერ მიიღებს დამატებით წყლის ორთქლს. ამით დაეცემა კონდენსაციის ალბათობა და, შესაბამისად, შემცირდება წვიმები. დადგება “თანამედროვე გვალვის” პერიოდი. ყოველივე ეს დაკავშირებული იქნება თოვლის რეჟიმთან, ნიადაგისა და გრუნტის წყლების რაოდენობასთან (Larcher, 1995, 2003).

ნავარაუდევია, რომ 2100 წლისთვის დედამიწაზე მოსახლეობა 14 მილიარდს მიაღწევს. ასეთი მატება გამოიწვევს ენერგიის დანახარჯების ადექვატურ ზრდას და სითბოს რაოდენობის კოლოსალურ მომატებას (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 3.8°C-დან 5.6°C-მდე; (IPCC, 2001; Houghton et al., 2001; McCarthy et al., 2001), რასაც, ცხადია, გლობალური მასშტაბით მრავალი უარყოფითი მოვლენა მოჰყვება, კერძოდ: წყალდიდობები სანაპირო ზოლებში; პოლინეზიაში და მიკრონეზიაში მრავალი პატარა კუნძულის ჩაძირვა; ბევრგან მანგრის მცენარეულობის განადგურება; მარჯნის რიფების, მათ შორის, ავსტრალიის დიდი ბარიერული რიფის ბინადართა დაღუპვა; წყალმოვარდნები მთისა და ბარის მდინარეებში; მყინვარების უკან დახევა, ზოგიერთის გაქრობა, თოვლის საფარის სიმძლავრისა და ხანგრძლივობის შემცირება, რაც საბოლოო ჯამში, მტკნარი წყლის ბალანსის დარღვევას გამოიწვევს; ზვავების, მეწყერების, ეროზიული მოვლენების გახშირება; სათიბ-სამოვრების რეჟიმის დარღვევა და მათი გადანაცვლება უფრო მაღალ ჰიფსომეტრულ სიმაღლეებზე; ტყის

ზედა საზღვრის სტრუქტურის დარღვევა, რაც დაბლობის ჰიდროლოგიურ რეჟიმზე უარყოფითად იმოქმედებს; მცენარეული სარტყლების საშუალოდ 700 მ-ით ზემოთ გადანაცვლება; ხანძრების რიცხვის ზრდა; გაუდაბნოების პროცესების განვითარდება და მოსავლიანობის შემცირება; ადრეგაზაფხულის გვალვების გახშირება და მცენარეთა თესლით გამრავლების შეზღუდვა; სოკოვანი დაავადებების გახშირება; მავნებლების გამრავლება; განვითარებად ქვეყნებში 1.5 მილიარდ ადამიანს დაემუქრება შიმშილით გამოწვეული ლეტალური შედეგი.

კლიმატის ცვლილების ეფექტი მინიმალური იქნება ტროპიკულ მცენარეულობაზე და მაქსიმალური - მაღალმთის, ბორეალური ტყეებისა და ტუნდრის მცენარეულობაზე. ცნობილია, რომ ხე-მცენარეები და ბალახოვან მცენარეთა უმეტესობა გარემო ფაქტორების მკვეთრ ცვლილებაზე ვერ პასუხობენ შეგუებით - ისინი, როგორც წესი, იცვლიან არეალს. წინასწარი შეფასებიდან გამომდინარე, მარტო ევროპის ალპებში დაიღუპება 120 სახეობაზე მეტი მცენარე. უპირველეს ყოვლისა, გადაშენების საფრთხე დაემუქრებათ ვიწრო თერმულ დიაპაზონთან შეგუებულ მცენარეებს (უმეტეს შემთხვევაში, დღეს სწორედ ისინი განიხილებიან როგორც იშვიათი სახეობები). ასეთებია: ადრე გაზაფხულის გეოფიტები, თოვლისა და მყინვარისპირა მცენარეები, “ალპური ხალების” სახეობები, სუბალპური მაღალბალახეულობის წარმომადგენლები. ძლიერ სენსიტიურთა კატეგორიას განეკუთვნებიან, აგრეთვე ხიონოფიტები, ანუ ის მცენარეები, რომელთა ნორმალური ცხოველმოქმედებისათვის და, ხშირ შემთხვევაში, გადარჩენისთვის აუცილებელია ხანგრძლივი თოვლის საფარი. ასეთებია, მაგალითად, *Rhododendron*-ის გვარის წარმომადგენლები, რომლებიც კავკასიაში ტყის ზედა საზღვრის ერთ-ერთ უმთავრეს კომპონენტს წარმოადგენენ. მაღალმთის მცენარეები გაზრდილი ულტრაიისფერი რადიაციის გაზრდილი ინტენსივობით არ დაზიანდებიან, სამაგიეროდ, ამ მხრივ დიდი საფრთხე ელის ტუნდრის ჯუჯა ბუჩქნარ მცენარეულობას. შეიცვლება და დაირღვევა ცალკეული ეკოსისტემის ენერგეტიკული ბალანსი. ეკოსისტემებში ორგანიზმთა შორის ურთიერთობის დამყარებას და ამით ეკოსისტემის ჩამოყალიბებას ათასეულობით წელიწადი სჭირდება. კლიმატის შეცვლა გაცილებით უფრო სწრაფად მოხდება, ვიდრე მცენარეთა შორის ახალი

ურთიერთობების ჩამოყალიბება. ამიტომ დღევანდელი სახით არსებული ხანგრძლივი ევოლუციის შედეგად ჩამოყალიბებული მცენარეთა თანასაზოგადოებები შეიცვლება (Körner, 1992, 2003; Grabherr et al., 1994; Larcher, 1995, 2003; Holten, 2003; Theurillat, 1995; Sala et al., 2000; Osenda, Borel, 2003; Walter et al., 2005a, b).

## **1.2 მაღალმთა როგორც კლიმატის გლობალური ცვლილების ინდიკატორი**

მაღალმთა ყოველთვის ძალიან მიმზიდველი იყო ფიტოეკოლოგიური კვლევებისთვის. გასული საუკუნის 40-იან წლებამდე მაღალმთის მცენარეთა კვლევა მხოლოდ ევროპის ზომიერ სარტყელში მიმდინარეობდა. კ. გესნერის (რომელმაც 1555 წელს დალაშქრა მთა პილატუსი) ნაშრომი - "Description Montis fracti" - დღესაც აქტუალურია იქაური მცენარეულობის აღწერის თვალსაზრისით (Grabherr, 1997; Zoller, 2000).

მე-19 საუკუნეში კერნერის მიერ ტიროლში ჩატარებული ნაშრომები პირველი ექსპერიმენტული კვლევებია (Kerner, 1869). ბევრად მოგვიანებით ბონიესა და ვაგნერის შრომებმა საფუძველი ჩაუყარა მაღალმთაში ეკოფიზიოლოგიურ კვლევებს (Bonier, 1890a, 1895; Wagner, 1892). აღსანიშნავია ინსბრუკის ჯგუფის მრავალწლიანი შრომები ა. პიზეკის ხელმძღვანელობით (Pizek, 1960). მათ შეისწავლეს ტყის ზედა საზღვრისა და მის ზემოთ გავრცელებული მცენარეების ეკოლოგიური ასპექტები (Pizek, Larcher, 1954; Friedel, 1961; Tranquillini, 1964, 1979). უფრო მოგვიანებით ვ. ლარხერის (Larcher, 1977) ჯგუფმა დაიწყო ალპურ სარტყელში ეკოსისტემების შესწავლა, რაც საერთაშორისო ბიოლოგიური პროგრამის (MAB - „ადამიანი და ბიოსფერო“) უმთავრესი შემადგენელი ნაწილი იყო (Larcher, 1981, 2008; Cernusca, Seeber, 1981; Cernusca, 1989 და სხვ.). ასევე მნიშვნელოვანია სკანდინავიასა (Turesson, 1925; Dahl, 1986; Sonesson et al., 1991 და სხვ.) და შოტლანდიის მთებში ჩატარებული კვლევები (Callaghan, 1976; Woodward, 1983; Friend, Woodward, 1990 და სხვ.).

კლიმატის დათბობა დედამიწის ყველა ეკოსისტემაზე მოახდენს მეტ-ნაკლებ გავლენას, მაგრამ განსაკუთრებით მკვეთრ და ბევრ სხვა ბიომთან შედარებით სწრაფ ცვლილებებს უნდა ველოდოთ მაღალმთაში - როგორც არქტიკული და ზომიერი, ისე ტროპიკული სარტყლების.

თუკი კლიმატის დათბობის ზოგიერთი მოდელი (თუნდაც ყველაზე ოპტიმისტური, ან ზომიერთან მიახლოებული) გამართლდა, ანუ მომავალ 20-30 წელიწადში ატმოსფეროს საშუალო ტემპერატურამ  $1.5-2.5^{\circ}\text{C}$ -ით მოიმატა, მოხდება მყინვარების სერიოზული უკან დახევა. Skywatch-media.com-ის მონაცემებით, 2009 წელს, 2000 წელთან შედარებით, დედამიწის მყინვარების 10% უკვე გაქრა, ხოლო მრავალი მათგანის ფართობი მნიშვნელოვნად შემცირდა. ზომიერი სარტყლის მთებში მყინვარების დნობის თანამედროვე ტემპი წელიწადში საშუალოდ 1.5 მ-ს აღემატება.

ევროპის მთებში თითქმის ყველგან მკვეთრად შეიზღუდება ალპური სარტყელი, მაგრამ განსაკუთრებით დრამატული ცვლილებები ნივალურ სარტყელშია მოსალოდნელი. მუდმივი თოვლისა და ყინულის სარტყელი შემორჩება მხოლოდ მონბლანის მასივზე, დასავლეთ შვეიცარიასა და ნაწილობრივ - ტიროლის ალპებში (ავსტრია). ბევრი სამთო-სათხილამურო სპორტის ცენტრი გაუქმდება. მთებში გახშირდება ზვავები, მეწყერები, ღვარცოფები და ეროზიული მოვლენები (Osenda, Borel, 2003; Walter et al., 2005a, b).

შესაბამისად, მნიშვნელოვანი ცვლილებებია მოსალოდნელი მაღალმთის მცენარეულ საფარში. მაღალმთის სასიცოცხლო ზონაში ანუ ტყის ზედა საზღვრის ზემოთ მდებარე არეში (Körner, 2012a) მცენარეთა სახეობრივი მრავალფეროვნების ხარისხი განსაკუთრებით დიდია (Grabherr et al, 1995, 2000b; Nakhutsrishvili, 1999, 2013; Burga et al., 2004; Körner, 2009, 2013). ეს მოვლენა მრავალი ფაქტორითაა განპირობებული. მრავალი ავტორის ნაშრომებში გამოყოფილია შემდეგი მიზეზები: გეოგრაფიული იზოლაცია, ტექტონიკური მოძრაობები, კლიმატური ცვლილებები, გამყინვარება, ჰაბიტატებისა მიკროჰაბიტატების დიფერენციაციის მაღალი ხარისხი, მიგრაციის ცვალებადი ისტორია, ევოლუცია და სხვ. (Agakhanyans, Breckle, 1995; Körner, 1995, 2003; Spehn, Körner, 2009). მაღალმთის მცენარეული

თანასაზოგადოებები ერთ-ერთ ყველაზე უფრო სენსიტურად მიიჩნევა, ვინაიდან მათი არსებობა დაკავშირებულია ჰაერისა და განსაკუთრებით, ნიადაგის დაბალ ტემპერატურებთან (Körner, Larcher, 1988; Körner, 1999, 2011, 2013; Guisan, Theurillat, 2001; Ozenda, Borel, 2003). მაღალმთის მცენარეთა მრავალფეროვნებაზე ყველაზე ძლიერ გავლენას ახდენს ორი ფაქტორი. ესენია: (1) მაღალმთის მიწათსარგებლობის ტიპი, განსაკუთრებით ექსტენსიური მოვება და (2) გლობალური დათბობა. ამ ცვლილების მთავარ ინდიკატორად მიიჩნევენ მაღალმთის ნიადაგების სტაბილურობას. ფერდობზე ნიადაგი მხოლოდ მცენარეული საფარის არსებობის დროს ჩერდება. შესაბამისად, მაღალმთაში ანთროპოგენული ფაქტორების ზემოქმედების შეფასების კრიტერიუმად, ქ. კიორნერის აზრით, მიჩნეული უნდა იქნეს ნიადაგის მცენარეულობით დაფარულობა და ინტაქტური ფესვთა სისტემა (კიორნერი, 2008). მაღალმთაში მრავალი იშვიათი, რელიქტური, ენდემური და ეკონომიკური მნიშვნელობის მცენარე გვხვდება (Grabherr et al., 1995; Körner, 1995; 2002a,b; Barthlott et al., 1996; Nakhutsrishvili, Gagnidze, 1999; Schatz et al., 2009; Nakhutsrishvili et al., 2013a). მცენარეთა ზრდა-განვითარება ობიექტურად არხელსაყრელ გარემოში მიმდინარეობს, სადაც ძალიან მცირე ფართობზეც კი კარდინალურად განსხვავებულული ეკოლოგიური და ედაფური პირობებია შექმნილი, რაც მოითხოვს მცენარეთა ფუნქციურ მრავალფეროვნებასაც. ეს უკანასკნელი გამოხატულია ბიოქიმიური და ფიზიოლოგიური მექანიზმებით განპირობებული ადაპტაციური სტრატეგიების მრავალფეროვნებაში (Larcher, Nakhutsrishvili, 1982; Körner, 1995; Larcher, 1995; აბდალაძე, 2011). ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მაღალ ჰიფსომეტრულ სიმაღლეებზე მცენარეთა ნორმალური ფუნქციონირება საკმაოდ შეზრუდულია ჰაბიტატის ფიზიკური კომპონენტებით (ლარხერი, 2006; კიორნერი, 2008).

განსაკუთრებით აღსანიშნავია მცენარისპირა მცენარეები, რომლებიც იზრდებიან საკვებს მოკლებულ მოძრავ სუბსტრატზე და საზრდოობენ მხოლოდ მცენარის ნაღვრით წყლებში გახსნილი საკვები ნივთიერებებით. მცენარეების ზემოთ გადანაცვლების პერსპექტივა ამ მცენარეთათვის შეიძლება კატასტროფული გამოდგეს, ვინაიდან მათ მხოლოდ გარკვეულ სიმაღლემდე შეეძლებათ მცენარის

„მიდევნება“ (Körner, 1999; კიორნერი, 2008). ზომიერი სარტყლის ტყის ზედა საზღვრის ზემოთ მდებარე არე გაცილებით უფრო სენსიტიურია, ვიდრე მთის შედარებით დაბალ სიმაღლეებზე განვითარებული თანასაზოგადოებები (Körner, 1992, Pauli et al., 2004), მაგრამ უშუალოდ ტყის ზედა საზღვრის ეკოტონის თანასაზოგადოებები (მარადმწვანე გართხმული ბუჩქნარი, ჯუჯა ბუჩქნარი, ტანბრეცილი ტყე, მაღალბალახეულობა) ყველა პარამეტრით შეფასებულია როგორც ყველაზე სენსიტიური (Larcher, 1995, 2003; Körner, 1999; Nakhutsrishvili, 2013).

ტემპერატურის მომატებით გამოწვეული გარემო ფაქტორების მალიმიტირებელი ეფექტის შემცირება ხელს შეუწყობს შედარებით დაბალი სიმაღლეებიდან „დამპყრობელ“ სახეობათა შეჭრას და გამოიწვევს საკუთრივ სუბნივალურ მცენარეთა უფრო დიდ სიმაღლეზე მიგრაციას. მიგრაციის რეალური ხარისხი დამოკიდებული იქნება მის კონკრეტულ გზებზე. ზოგიერთი მოსაზრების თანახმად (Grabherr et al., 1995; Gottfried et al., 1999) სახეობათა მასობრივი ვერტიკალური მიგრაციის მისაღებ ალტერნატივად შეიძლება ჩაითვალოს მათ მიერ ეკოლოგიური თვალსაზრისით მისაღები კონკრეტული ნიშის დაკავება, თუნდაც იგივე სიმაღლის განსხვავებულ ექსპოზიციაზე (მაგალითად, სამხრეთ ექსპოზიციიდან ჩრდილო-დასავლეთ ან ჩრდილოეთ ექსპოზიციის ფერდობზე მიგრაცია). ასეთ ცვლილებებს ხელს შეუწყობს მიკროტოპოგრაფიულად ძლიერ დიფერენცირებული სუბნივალურ-ნივალური სარტყლის რელიეფი (Körner, 2011, 2013). ეს კი შექმნის იმის წინამძღვრებს, რომ გლობალური ცვლილებების ეპოქაში მაღალმთის მცენარეთა სახეობრივმა მრავალფეროვნებამ არ განიცადოს სერიოზული გენეტიკური ეროზია (Scherrer, Körner, 2010, 2011; Scherrer et al., 2010), რადგან ნაკლებად ადაპტირებული სახეობები ადექვატურ ნიშებში გადაინაცვლებენ (Grabherr et al., 1995; Gottfried et al., 1999). თუკი გავითვალისწინებთ მაღალმთის მცენარეთა უმეტესობის სტრესისადმი რეზისტენტულობას, მეტაბოლური და ზრდის პროცესებისთვის საჭირო ტემპერატურის ფართო დიაპაზონს, გადარჩენისთვის მათ საკმაოდ კარგი პერსპექტივები უნდა გააჩნდეთ (Larcher et al., 2008; Körner, 2003; Larcher, 2012).

მრავალმა დაკვირვებამ, მაგალითად, ევროპის ალპებში (Gottfried et al., 1994; Grabherr et al., 2001; Körner, 1998a; Walter et al., 2005a, b; Erschbammer et al., 2011), სკანდინავიის მთებში (Klanderud, Birks, 2003), ჩრდილოეთ ამერიკის კლდოვან მთებში (Price, Barry, 1997; Callaway, 1998) და დიდ კავკასიონზე (Nakhutsrishvili, 2003; Nakhutsrishvili et al., 2004; Dullinger et al., 2008; Erschbammer et al., 2010; Nakhutsrishvili et al., 2013b; Gottfried et al., 2012; Pauli et al., 2012) აჩვენა, რომ ზოგიერთი მცენარის არეალი, გავრცელების თავისებურებანი და სიცოცხლისუნარიანობა გარკვეულ ცვლილებებს უკვე ამჟამად განიცდის.

განსაკუთრებით ინფორმატიულია ისეთი დაკვირვებები, როდესაც ერთი და იგივე თანასაზოგადოებებზე (და ერთი და იმავე ადგილზე) ხდება სახეობრივი მრავალფეროვნების შედარება დროის დიდი ინტერვალით. დეტალურმა ანალიზმა აჩვენა, რომ მაგალითად, ტიროლის ალპებში (ავსტრია) განვითარებულია ისეთი სახეობებიც, რომლებიც არ ფიგურირებდნენ მე-19 საუკუნის ბოლოს ამავე თანასაზოგადოებების თავდაპირველ აღწერებში. დადგინდა, რომ მათ შედარებით დაბალი სიმადლეებიდან განიცადეს მიგრაცია უფრო მაღალ სიმადლეებზე (Grabherr et al., 1994, 2001), რაც ადასტურებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ კლიმატის გლობალური ცვლილება არა რაიმე ჰიპოთეტური მოვლენაა, არამედ უკვე რეალურად მიმდინარე პროცესია და ის უკვე ახდენს გარკვეულ გავლენას სახეობათა არეალზე და მაღალმთაში მცენარეთა განაწილებაზე (Walter et al., 2002; Parmesan, Yohe, 2003; Root et al., 2003).

მსგავს ცვლილებებზე დასაკვირვებლად და მაღალმთის მცენარეულობის შესაძლო ტრანსფორმაციის მოდელირებისთვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია *in situ* მონიტორინგი მცენარეთა მრავალფეროვნებაზე ჰიფსომეტრული გრადიენტის მიხედვით (Grabherr et al., 2001; Dullinger et al., 2008).

GLORIAS- ს პროექტის ფარგლებში ჩატარებულმა კვლევებმა ნათლად აჩვენა, რომ ტემპერატურის მომატება მაღალმთაში იწვევს გარკვეულ ცვლილებებს მცენარეთა მრავალფეროვნებაში და აღინიშნება ცალკეულ სახეობათა ვერტიკალური მიგრაცია. აღსანიშნავია ავსტრიის მაღალმთაში ჩატარებული კვლევების შედეგები (Pauli et al., 2007, 2010). საკვლევი რაიონის (1994–2004 წლებში აღინიშნა

ტემპერატურის მომატება 0,8°C-ით) მაღალმთაში ადგილი ჰქონდა დაბალი სიმაღლეების მცენარეთა ჰაბიტატის გაფართოებას, მაშინ როცა აღინიშნა იმ სახეობათა რიცხვის შემცირება, რომლებიც შეგუებულნი იყვნენ უფრო ცივ საარსებო გარემოს. საფრთხე დაემუქრა ისეთ სახეობებს, როგორიცაა: *Cerastium uniflorum*, *Luzula spicata*, *Saxifraga bryoides*. ეს ტენდენცია აღნიშნული იყო უფრო ადრეულ კვლევებშიც (Gottfried et al., 1998, Pauli et al., 1999). მაღალმთის მცენარეთა განვითარებაზე სერიოზულ გავლენას ახდენს არა მარტო ტემპერატურის მომატება, არამედ თოვლის საფრის ხანგრძლივობაც. (Jonas et al., 2008).

მცენარეთა ვერტიკალური მიგრაცია და სახეობათა სიმდიდრის მატება დაფიქსირდა ცენტრალური იტალიის მაღალმთაში (Stanischi et al., 2005), სადაც გამოავლინდა ალპურ სარტყელში მცენარეთა სახეობრივი მრავალფეროვნების ზრდა, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ექსპოზიციაზე. ჩრდილოეთ ექსპოზიცია უფრო ნაკლებად მდიდარია სახეობებით და უფრო კონსერვატულია. აქაც აღინიშნა უფრო ცივი ჰაბიტატის მცენარეთა რიცხვის შემცირება და საფრთხის ქვეშ აქაც აღმოჩნდნენ მაღალ სიმაღლეზე გავრცელებული ენდემები (*Vitaliana primuliflora*, *Viola maglensis*, *Saxifraga italica*). პაროლომ და როსიმ (Parolo, Rossi 2008) 2003-2005 წლებში იტალიის ალპებში აღრიცხული სახეობათა რაოდენობა შეადარეს იგივე ტერიტორიაზე 1954-1958 წლებში მიღებულ შედეგებს. სახეობათა რაოდენობამ მოიმატა და სახეობათა მესამედის არიელმა გადაინაცვლა უფრო მაღალ ჰიფსომეტრულ სიმაღლეზე.

საინტერესო მონაცემები მიღებული იქნა სამხრეთ და ცენტრალურ ალპებში ჩატარებული კვლევების შედეგად (Erschbamer et al., 2003, 2006, 2010, 2011). ამ რეგიონში აღინიშნა მცენარეთა მრავალფეროვნების ცვლილება ტყის ზედა სარტყლიდან ალპურ სარტყლამდე, ტყის ელემენტების შეჭრა ალპურ მდელოებზე, რაც ამ უკანასკნელს გარკვეული საფრთხე შეუქმნა. უფრო სტაბილური ჩრდილოეთ ექსპოზიცია აღმოჩნდა, ნიადაგის განუვითარებლობისა და უფრო დაბალი ტემპერატურის გამო. ერთი ენდემური სახეობა (*Potentilla nitida*) კი გაქრა.

ასევე ყურადსაღები შედეგებია მიღებული ავსტრალიის მაღალმთაში GLORIA-ს პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევებისას (Pickering et al., 2008). აქ აღინიშნა სახეობათა სიმდიდრის ზრდა ვერტიკალური გრადიენტის მიხედვით.

ტემპერატურის მომატებამ და თოვლის საფრის შემცირებამ გამოიწვია ისეთი სასიცოცხლო ფორმების რაოდენობის გაზრდა, როგორიცაა ბუჩქები. ავსტრალიის მაღალმთაში, სადაც არ არსებობს ნივალური სარტყელი, კლიმატის ცვლილება ყველაზე მეტად ემუქრება ალპურ მცენარეებს (Pickering et al., 2008). მსგავსი შედეგი მიიღეს ნორვეგიის მაღალმთაში (Michelsen et al. 2010). GLORIA-ს სამონიტორინგო ნაკვეთებზე, 2001-2008 წლებში დაბალ ჰიფსომეტრულ სიმაღლეზე გაიზარდა ისეთი მცენარეების სიმდიდრე და დაფარულობა, როგორიცაა ბუჩქები და მარცლოვნები, ხოლო ლიქენების - შემცირდა.

2010 და 2012 წლებში გამოქვეყნდა ევროპის მაღალმთიანი რეგიონების მონიტორინგის შედეგები (Pauli et al, 2010, 2012), სადაც აღნიშნულია, რომ 2001-2008 წლებში ამ რეგიონში ტემპერატურის მატებამ გამოიწვია მაღალმთის მცენარეულობის სიმდიდრისა და დაფარულობის ცვლილება, ზოგიერთი სახეობა საერთოდ გაქრა. ამ პროცესებზე პირდაპირ მოქმედებს თოვლის საფრისა და ზრდის სეზონის (GDD) ხანგრძლივობის ცვლილება. საგანგაშო შედეგები იქნა მიღებული ხმელთაშუაზღვის რეგიონში, სადაც აღინიშნა სახეობების რაოდენობის შემცირება.

საქართველოს მაღალმთაში კლიმატის ცვლილების შესაძლო ეკოლოგიური პერსპექტივები და მცენარეულობის მოსალოდნელი ტრანსფორმაციის ზოგიერთი ტენდენცია (მათ შორის: მცენარეულობის ვერტიკალური ზონალობისა და ბუნებრივი ეკოსისტემების სტრუქტურის ცვლილება; ქსეროფიტიზაცია; მედიტერანიზაცია; ადვენტიზაცია; ლაუროფილიზაცია და სხვ.) გაანალიზებულია GLORIAS-ს პროექტის დაწყებამდე გამოქვეყნებულ რამდენიმე ნაშრომში (Nakhutsrishvili et al., 1999a,b; ნახუცრიშვილი 1999; საქართველოს მეორე ეროვნული შეტყობინება გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისთვის, 2009). ცენტრალურ კავკასიონზე 2004-2009 წწ ჩატარდა ტყის ზედა საზღვრის ეკოტონის კვლევა, რამაც გამოავლინა ტანბრეცილი არყნარი ტყის დომინანტის *Betula litwinowii*-ის თესლწარმოქმნის პროცესის გაძლიერება, მისი ახალგაზრდა და მოზარდი ინდივიდების მატება, დეკასთან ფაცილიტაციური ურთიერთობების გავლენა ახალგაზრდა ინდივიდების დამკვიდრებაზე და ზოგადად, არყნარი ტყის გარკვეული ექსპანსია ჩრდილოეთის ექსპოზიციის იმ ფერდობებზე, სადაც ის გაჩეხვისა და ჭარბი ძოვების გამო ადრე

წარმოდგენილი არ იყო (Nakhutsrishvili et al., 2004a,b; Akhalkatsi et al., 2004, 2006; Abdaladze et al., 2005; Hughes et al., 2009). ყაზბეგის რაიონში (ცენტრალური კავკასიონი) 2001 წლიდან დაიწყო GLORIA-ს პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები და პირველი სამონიტორინგო ციკლის უმთავრესი შედეგები უკვე გამოქვეყნებულია (Dullinger et al., 2007; Erschbamer et al., 2010, 2013; გიგაური და სხვ. 2011; Gottfried et al., 2012; Pauli et al., 2012; Gigauri et al., 2013, 2014; Nakhutsrishvili et al 2013).

### *1.3 GLORIA-ს პროექტის ისტორია*

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თანამედროვე მსოფლიოში კლიმატის გლობალური დათბობა და მისი გავლენა მცენარეულობაზე, მათ შორის მაღალმთის მცენარეულობაზე, ყველაზე აქტუალური ეკოლოგიურ პრობლემათაგან ერთ-ერთია (Körner, 1998; Grabherr et al., 2001; Pauli et al., 2004). ამასთან დაკავშირებით, მრავალი პროგნოზი და მოსაზრებაა გამოთქმული. არსებობს სხვადასხვა მოდელი, როგორც ოპტიმისტური (2100 წლისთვის ატმოსფეროს ტემპერატურის გლობალური მომატება 1.5°C-ით), ისე პესიმისტური (ტემპერატურის გაზრდა ეტაპობრივად 5.6°C) (IPCC, 2001; Houghton et al., 2001; McCarthy et al., 2001; Vautard et al., 2014). ყველანაირი გათვლებით მოსალოდნელია მცენარეულობის სერიოზული ტრასფორმაცია, რაც გულისხმობს უახლოეს რამდენიმე ათწლეულში ტაქსონომიური მრავალფეროვნების მნიშვნელოვან ცვლილებას (Grabherr et al., 1994, 2010; Sala et al., 2000; Bakkenes et al., 2002; Dullinger et al., 2008; Grabherr 2009; Spehn, Rudmann-Maurer, 2010; Körner, 2012b, 2013 ).

ამ ცვლილებებზე დასაკვირვებლად და მაღალმთის მცენარეულობის შესაძლო ტრანსფორმაციის მოდელირებისთვის 2001 წელს საფუძველი ჩაეყარა ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილ პროექტებს (GLORIA-EUROPE და მოგვიანებით - GLORIA-WORLDWIDE), რომლებიც ითვალისწინებენ მუდმივი სამონიტორინგო ქსელის შექმნას მთელი დედამიწის მასშტაბით (ყველა მაღალმთიან რეგიონში) და

ხანგრძლივ პერსპექტივაში (50 წელი და მეტი) დაკვირვებას (7 წლიანი ინტერვალებით) ალპურ მცენარეთა მრავალფეროვნებაზე (Pauli et al., 2004).

GLORIA-ს პროექტში გამოყენებული მეთოდი შემუშავდა და დაიხვეწა 1997-1999 წლებში ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის მაღალმთის კვლევის ინსტიტუტში, ხოლო მისი დაწყება დაკავშირებული იყო ისეთ პროგრამებთან, როგორიცაა: Mountain Research Initiative (MRI) და The Global Terrestrial Observation System (GTOS) (Becker, Bugmann, 1997, 1999). 1997 წელს ავსტრიის ეკოლოგიისა და კონსერვაციული ბიოლოგიის ინსტიტუტის მიერ (პროფ. გ. გრაბჰერის ხელმძღვანელობით) წამოყენებული იქნა კონცეფცია - მაღალმთაში მცენარეთა მრავალფეროვნების შესწავლის შესახებ ჰიფსომეტრული და ეკოლოგიური გრადიენტების მიხედვით (Grabherr et al., 2000, 2001).

2000 წელს აღნიშნული პროექტი წარდგენილ იქნა შვეიცარიაში პირველ საერთაშორისო კონფერენციაზე. პირველი დაკვირვებები ამ პროგრამის ფარგლებში ჩატარდა 2001-2002 წლის ზაფხულში. შესწავლილ იქნა 13 ევროპული ქვეყნის 18 მაღალმთიანი რეგიონი (მათ შორის, კავკასიიდან მხოლოდ საქართველო). 2004 წელს GLORIA-ს პროექტში ჩაერთნენ სხვა ქვეყნებიც და ამ წელს უკვე 24 მაღალმთიან რეგიონში ჩატარდა კვლევა. 2005 წელს იუნესკოსთან თანამშრომლობის შედეგად გაიზარდა პროექტში მონაწილე ქვეყნების რიცხვი და მან მიიღო უკვე გლობალური ხასიათი (GLORIA-WORLDWIDE). 2006 წელს უკვე 5 კონტინენტის 47 ქვეყანაში მიმდინარეობდა მაღალმთის მცენარეთა მრავალფეროვნებაზე მონიტორინგი. მომდევნო აღწერა ევროპის მასშტაბით GLORIA-ს პროექტის ფარგლებში ჩატარდა 2008 წელს. ეს მონაცემები ამჟამად დამუშავების და პუბლიკაციის პროცესშია. 2015 წელს ჩატარდება მონიტორინგის მორიგი ეტაპი.

ბიომებს შორის მაღალმთა ყველაზე სენსიტიურია კლიმატის ცვლილების მიმართ და ყველაზე კარგად ასახავს ამ ცვლილებების შედეგებს (Grabherr et al., 1994; Körner, 2013). მიზეზი რამდენიმეა:

1. მაღალმთის ბიომი უნიკალურია სხვადასხვა გეოგრაფიულ სარტყელში და სხვადასხვა სიმაღლეზე; მოიცავს რა ყველა სასიცოცხლო ზონას, მცირე

ფართობზეც კი კარდინალურად განსხვავებული კლიმატური და ედაფური პირობებია შექმნილი (Walter, 1985);

2. მაღალმთა "ცხელ წერტილად" არის მიჩნეული მაღალი ენდემიზმის გამო (Hedberg, 1969; Pawlowski, 1970; Grabherr, 2009), ამიტომ კლიმატის ცვლილებით გამოწვეული პოტენციური დანაკარგები (გენეტიკური ეროზიის რისკი) უფრო მნიშვნელოვანია;
3. მაღალმთის ეკოსისტემები შედარებით მარტივია, განსაკუთრებით დიდ სიმაღლეზე, სადაც უმთავრესად მოქმედებს აბიოტური ფაქტორები. ბიოტური ფაქტორების მოქმედება სიმაღლის მატებასთან ერთად მცირდება. ამიტომ ეს ეკოსისტემები უფრო მგრძნობიარეა კლიმატის ცვლილების მიმართ (Körner, 1994, 2013);
4. მაღალმთაში ანთროპოგენული ფაქტორი უფრო ამძაფრებს კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ შედეგებს (Körner, 2014).

GLORIA-ს პროექტის ძირითადი ამოცანები ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს (Grabherr et al., 2000, 2001):

1. შეგროვდეს სტანდარტული რაოდენობრივი მაჩვენებლები სახეობათა სიმდიდრის, პროექციული დაფარულობის და სტრუქტურის შესახებ სხვადასხვა ექსპოზიციაზე ჰიფსომეტრული გრადიენტის მიხედვით;
2. შეფასდეს მცენარეული მრავალფეროვნების ცვლილების შესაძლო რისკები (მოპოვებული მასალის საფუძველზე) ვერტიკალური და ჰორიზონტალური გრადიენტების მიხედვით;
3. განხორციელდეს ხანგრძლივი დაკვირვება, რადგან მცენარეთა მრავალფეროვნების ცვლილება და მცენარეთა მიგრაციის გზები შეიძლება გამოვლინდეს 5-20 წლის შუალედში მაშინ, როცა მცენარეული საფარის მთლიანი სტრუქტურის შეცვლის პროგნოზირება შესაძლებელია მხოლოდ 20-50 წლის ინტერვალში.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, GLORIA-ს პროექტი 2001 წლიდან საქართველოშიც მიმდინარეობს და პირველი შედეგები უკვე გამოქვეყნებულია (იხ. გვ. 22).

სხადასხვა ქვეყნის მაღალმთას ბევრი საერთო აქვს, ამიტომ განსაკუთრებით აქტუალურია მსოფლიო მასშტაბით მეცნიერთა თანამშრომლობა მოპოვებული მასალის შედარების ურთიერთგაცვლისა და მოქმედების საერთო გეგმის დასახვის მიზნით.

#### **1.4 კლიმატის ცვლილება კავკასიაში**

კლიმატის მიმდინარე ცვლილება საქართველოში უკვე თვალნათლივ შეინიშნება და გამოიხატება მრავალ ასპექტში („საქართველოს 1-ლი ეროვნული შეტყობინება კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისათვის“, 1998; „საქართველოს მე-2 ეროვნული შეტყობინება კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისათვის“, 2009). ასე, მაგალითად, დღეისათვის კავკასიონზე აღრიცხული 2033 დიდი და მცირე მყინვარის საერთო ფართობი უკვე 32-ჯერ ნაკლებია, ვიდრე 2500 წელთან შედარებით. უკანასკნელი 70-80 წლის განმავლობაში შეიმჩნევა კავკასიონის ქედის სამხრეთი ფერდობების მყინვარების სისტემური უკანდახევა და მისი ტემპიც (საშუალოდ 1.5 მ/წელიწადში) ისეთივეა, როგორც ევროპის ალპებში. მყინვარების საერთო ფართობი 1881-1976 წლებში 796 კმ<sup>2</sup>-ით შემცირდა. ეს პროცესი ამჟამად უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს. თბილისში ზაფხულში ანომალური ტემპერატურები აღინიშნა 1913, 1938, 1957, 1961, 1998, 2000 და 2006 წლებში, თუმცა 41-43°C ჰაერის ტემპერატურამ მხოლოდ 2006 წელს მიაღწია, რაც ნორმიდან 4-5°C-ით გადახრას ნიშნავს (წინა პერიოდებში ნორმიდან გადახრა 2-3°C-ს არ აღემატებოდა). მთაში, მაგალითად, მდ. ცხენისწყლის აუზში ღვარცოფების აქტივაცია ბოლო 50-60 წლის განმავლობაში 4-ჯერ გაიზარდა, ხოლო რაჭაში უკანასკნელ პერიოდში 43%-ით მოიმატა დამეწყრილ ტერიტორიათა რაოდენობამ.

კლიმატის ცვლილება საქართველოში, როგორც სხვა პოლიკლიმატურ ქვეყნებსა და რეგიონებში, არაერთგვაროვანი იქნება („საქართველოს 1-ლი ეროვნული შეტყობინება კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისათვის“, 1998; „საქართველოს მე-2 ეროვნული შეტყობინება კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისათვის“, 2009), რასაც ხელს შეუწყობს შავი ზღვის ფაქტორი და ქედების კონფიგურაცია. შავი ზღვის ერთ-ერთი ცირკულაციური პროცესის შედეგად წყლის

ნაკადს ზღვის ქვედა ფენებიდან ამოაქვს ცივი წყალი („აპფელინგი“), რაც ხმელეთთან წყლის ტემპერატურის შემცირებას იწვევს. გლობალური დათბობა ამ პროცესს გააქტიურებს: ნაპირებთან სულ უფრო მეტი ცივი წყალი ამოვა სიღმიდან. ეს კი ხმელეთის მიმდებარე ტერიტორიებზე ტემპერატურის შემცირებას გამოიწვევს. გაციებული ჰაერის აღმოსავლეთისკენ გადაადგილებას ლიხის ქედი უშლის ხელს. ამიტომ დასავლეთ საქართველოს დაბლობში მოსალოდნელია აცივება, ხოლო აღმოსავლეთში - დათბობა.

საქართველოში კლიმატის მომავალი ცვლილების სცენარის აგებისას გამოყენებულ იქნა ოთხი მოდელით (PRECIS, HadAM3P, ECHAM4, MAGICC/SCENGEN) გამოთვლილი საშუალო მონაცემები. კლიმატის ცვლილების სცენარების შეჯერებით როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში 2100 წლისთვის საშუალო წლიური ტემპერატურის  $3-5^{\circ}\text{C}$ -ით ტემპერატურის მატებას თან ერთვის ნალექების წლიური ჯამის 9-13%-იანი კლება და ჰაერის ფარდობითი ტენიანობის 6%-იანი შემცირება. პროცესი განსაკუთრებით მწვავე ხასიათს ზაფხულის პერიოდში მიიღებს, სადაც ტემპერატურის მატების და ნალექების კლების ტენდენციაც გაცილებით მკვეთრად იქნება გამოხატული, ვიდრე წლის სხვა პერიოდებში. თითქმის 30%-ით გაიზრდება გვალვიანი პერიოდების ხანგრძლივობა. მდინარეთა წყლის ჩამონადენის 9%-ით კლებაა მოსალოდნელი. ეს პარამეტრი მკვეთრად გაიზრდება ზაფხულში და 41%-ს მიაღწევს („საქართველოს მე-2 ეროვნული შეტყობინება კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისათვის“, 2009).


მთელ კავკასიაში ალპურ-ნივალური სარტყელი შენარჩუნდება დიდი კავკასიონის მხოლოდ ცენტრალურ ნაწილში (სვანეთი, რაჭა, ხევი). სუბნივალური სარტყელი 2900-2950 მ-ის ნაცვლად დაიწყება 3600-3650 მ-დან და საგრძნობლად შევიწროვდება. 1800 მ-ის სიმაღლეზე თოვლის საფარის ხანგრძლივობა ნაცვლად 6 თვისა მხოლოდ 3-3.5 თვე იქნება. ასეთი ცვლილებები, რა თქმა უნდა, მცენარეულობის მკვეთრ ტრანსფორმაციას გამოიწვევს (Nakhutsrishvili et al., 2004a, b; 2009; Akhalkatsi et al., 2006).

## თავი 2. კვლევის რეგიონის მოკლე დახასიათება

### 2.1 მდებარეობა

ცენტრალური კავკასიონი დიდი კავკასიონის ის მონაკვეთია, რომელიც იალბუზისა და მყინვარწყვერის მთების მერიდიანებს შორის მდებარეობს (დას.-ით მისი საზღვრები გადის მდ. ყუბანის ზედა წელზე, მდ.-ების ნენსკრასა და ენგურის გასწვრივ სოფ. ჯვრამდე, ხოლო აღმ.-ით – მდ. თერგის გაყოლებაზე) და ქმნის კავკასიონის მთიანეთის ყველაზე მაღალ, განიერ და გეომორფოლოგიურად რთულ ნაწილს (მარუაშვილი, 1969).

საკვლევი ტერიტორია, რომლის ძირითადი ნაწილი მოიცავს ჯვრის უღ.-სა და სოფ. გუდაურის მიდამოებს, ადმინისტრაციულად შედის ყაზბეგის რეგიონის შემადგენლობაში (სურ. 1). განსხვავებით მისი უდიდესი ნაწილისგან, რომელიც დიდი კავკასიონის ჩრდ. მაკროფერდობზე მდებარეობს, გუდაურის რეგიონი მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ მაკროფერდობზეა. სამონიტორინგო ოთხი ნაკვეთიდან მხოლოდ ერთია მთავარი წყალგამყოფი ქედის ჩრდ. მაკროფერდობზე - სოფ. კობსა და ჯვრის უღ. შორის. რეგიონის ფართობი 1081.7 კმ<sup>2</sup>-ია.



სურ. 1. კავკასია, დიდი კავკასიონი, ცენტრალური კავკასიონი, ყაზბეგის რეგიონი (პუნქტირით), გუდაურის მიდამოები (უწყვეტი ხაზით)

### 2.2 ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები

ყაზბეგის რეგიონი რთული ტექტონიკური ბუნებით ხასიათდება. რელიეფის ძირითადი მორფომეტრიული და მორფოლოგიური ერთეულები ტექტონიკური და

მძლავრი ეროზიულ-აკუმულაციური პროცესების ურთიერთქმედებით არის შექმნილი. ძალიან ფართოდ გავრცელებულია ვულკანური ფორმები, რომლებიც პლიოცენ-პლეისტოცენურ და ჰოლოცენურ პერიოდს მიეკუთვნებიან. განსხვავებით ყაზბეგის რეგიონის დიდი ნაწილისგან, გუდაურის რაონში არ გვხვდება იურული ქანები. რელიეფის სახეს ქმნიან შიშველი, წვეტიანი, კლდოვანთხემიანი ქედები და მათ შორის მოქცეული ეროზიულ-ტექტონიკური წარმოშობის ვიწრო ხეობები. ტოპოგრაფიული ზედაპირი ძლიერ დანაწევრებულია. აღსანიშნავია, რომ ყაზბეგის რეგიონის ყველაზე მაღალი მწვერვალები (4000 მ-ზე მეტი სიმაღლის), მათ შორის, მყინვარწვერი (5033 მ ზღ. დ-დან), მდებარეობენ არა მთავარ წყალგამყოფ, არამედ გვერდით ქედზე. ჯვრის უღ. (2395 მ ზღ. დ.) მიმდებარე მწვერვალები სიმაღლით 3800 მ-ს არ აღემატებიან. რეგიონის მდინარეების სათავეებში მნიშვნელოვანი როლი მეოთხეულ მყინვარებს შეუსრულებია, რის შედეგადაც გაჩენილია ტროგები, ცირკები და მორენები (Maryashvili, 1971; Nakhutsrishvili, 1974; აბდალაძე და სხვ., 1998; Nakhutsrishvili et al., 2005).

## **2.3 ნიადაგები**

ყაზბეგის რეგიონში შემდეგი სახის ძირითადი ნიადაგური საფარია განვითარებული: მთა-ტყე-მდელოს და მთა-მდელოს, რომლებიც აერთიანებენ სხვადასხვა ტიპის, ქვეტიპისა და გვარის 10-ზე მეტ ნაირსახეობას (საბაშვილი, 1965; Nakhutsrishvili, 1971; ურუშაძე, 1997).

## **2.4 კლიმატი**

ყაზბეგის რეგიონის ტერიტორიაზე კლიმატის თავისებურებანი განპირობებულია: მაღალი ჰიფსომეტრული სიმაღლით, რთული მორფოლოგიითა და დიდი კავკასიონის ჩრდილოეთ მაკროფერდობზე მდებარეობით (Kordzhakhia, 1961; Nakhutsrishvili, 2003; Nakhutsrishvili et al., 2005).

ზოგადად, რეგიონის კლიმატი ხასიათდება გრილი მოკლე ზაფხულით და ხანგრძლივი სუსხიანი ზამთრით. ჯვრის უღ.-ის მეტეოსადგურის (2395 მ ზღ. დ.) მრავალწლიანი მონაცემების თანახმად, ჰაერის საშუალო ტემპერატურა 0.3°C-ია. აბსოლუტური მაქსიმუმი 27°C-ია; ივლის-აგვისტოს საშუალო ტემპერატურა 12°C აღწევს, ხოლო ყველაზე ცივი თვის - იანვრის - მინუს 11°C. აბსოლუტური მინიმუმი მინუს 35°C-ია. დღეების რაოდენობა დადებითი ტემპერატურით წელიწადში 118-ია. თოვლის საფარის ხანგრძლივობა 7 თვემდეა და მაქსიმალურ სიღრმეს (150-200 სმ) მარტში აღწევს (ცხრ.1)

ჩრდილოეთის ექსპოზიციის რელიეფის დებრესიებში თოვლი მთელი ზაფხულის განმავლობაში რჩება. სავეგეტაციო სეზონის ხანგრძლივობა 120-130 დღეს აღწევს. ჰაერის ფარდობითი ტენიანობა საშუალოდ 75%-ია.

ცხრილი 1. ყაზბეგის რეგიონის კლიმატური პირობების დახასიათება.

| მცენარეული<br>სარტყელი         | სიმაღლე<br>ზღ. დ.-<br>დან (მ) | კლიმატის<br>ტიპი     | ზაფხული                       | ზამთარი                        | თბილის<br>თვეების<br>(ივლისი-<br>აგვისტო)<br>ტემპ. (°C) |       | ცივი<br>თვეების<br>(იანვარი-<br>თებერვალი)<br>ტემპ. (°C) |      | თოვლის<br>საფარის<br>ხანგრ-<br>ძლივობა<br>(თვე) | თოვლის<br>საფარის<br>მაქს.<br>სიმაღლე<br>(სმ) | ნალექების<br>საშ.<br>წლიური<br>რაოდ.<br>(მმ) | სხვა ინფორმაცია                                                                                                                  |
|--------------------------------|-------------------------------|----------------------|-------------------------------|--------------------------------|---------------------------------------------------------|-------|----------------------------------------------------------|------|-------------------------------------------------|-----------------------------------------------|----------------------------------------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
|                                |                               |                      |                               |                                | საშ.                                                    | მაქს. | მინ.                                                     | საშ. |                                                 |                                               |                                              |                                                                                                                                  |
| მთის ტყის<br>ზედა<br>სუბალპური | 1500-1900                     | ზომიერად<br>მშრალი   | ხანმოკლე<br>და გრილი          | შედარებით<br>მშრალი და<br>ცივი | 14-18                                                   | 33    | -28                                                      | -5   | 3-5                                             | ±80                                           | 780-800                                      | ჰაერის ტენიანობა<br>ზაფხულში იორეკრ<br>მეტია, ვიდრე<br>ზამთარში; აგვისტოში<br>უღრუბლო ცხელი<br>დღეები 70%-ია და<br>ხშირია გვალვა |
| სუბალპური;<br>ალპური           | 1900-2600                     | ზომიერად<br>ნესტიანი | ხანმოკლე<br>და გრილი          | შედარებით<br>მშრალი და<br>ცივი | 10-14                                                   | 33    | -30                                                      | -11  | 5-7                                             | 115-120<br>მარტში                             | 1000-1500                                    | ნისლიანი დღეების<br>რაოდენობა წელიწადში<br>135-ია; ხშირია ქარები                                                                 |
| ალპური;<br>სუბნი-<br>ვალური    | 2600-3400                     | ზომიერად<br>მშრალი   | რეალური<br>ზაფხული<br>არ არის | მკაცრი და<br>ხანგრძლივი        | 10                                                      | 31    | -30                                                      | -12  | 7-8                                             | ±200                                          | 800-1000                                     | ზაფხულში ხშირია<br>დილის წყინეები;<br>ამინდი ხშირად<br>გვალვადობს დღის<br>განმავლობაში; ხშირია<br>ქარები                         |
| სუბნი-<br>ვალური;<br>ნივალური  | >3400                         | ზომიერად<br>ნესტიანი | ზაფხული<br>არ არის            | მუდმივი<br>თოვლი და<br>ყინული  | 2.2                                                     | 15    | -33                                                      | -14  | 12                                              | >200                                          | 1000-1200                                    | ქარიშხლიანი დღეების<br>რიცხვი ყოველთვიურად<br>12-ია; ნალექიანი<br>(თოვლი) დღეების<br>რიცხვი წელიწადში 170-<br>ია                 |

ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 1450 მმ-ია, რაც მნიშვნელოვნად აღემატება ყაზბეგის რეგიონის დანარჩენ ნაწილში (სიმაღლეების იგივე ინტერვალში) ნალექების წლიურ რაოდენობას (765 მმ). ნისლიანი დღეების რაოდენობა დიდია და

წელიწადში 135-ს აღწევს. გაბატონებულია მთა-ხეობის ტიპის ქარები. ამინდი დღის განმავლობაში სწრაფად და ხშირად ცვალებადობს.

უფრო მაღალ სიმაღლეებზე (2800-3200 მ ზღ. დ.) კლიმატი ტენიანია, თითქმის ზაფხულის გარეშე. იანვარ-თებერვლის საშუალო ტემპერატურა მინუს 14°C აღწევს, ხოლო ივლის-აგვისტოსი - 10°C. თოვლის საფარის ხანგრძლივობა 7-8 თვეა და 200 სმ სიღრმისაა. გაბატონებულია დასავლეთის ძლიერი ქარები.

## ***2.5 რეგიონის მცენარეული საფარის მოკლე დახასიათება***

საქართველოს მაღალმთის მცენარეულობა მეტად მრავალფეროვანია, რაც განპირობებულია კავკასიის მთების ევროპისა და აზიის შესაყარზე მდებარეობით, კლიმატის კონტრასტულობით და რელიეფის ძლიერი დანაწევრებით (კეცხოველი, 1935, 1959; Гроссгейм, 1948; Харадзе, 1960; Джанелидзе, Маргалитадзе, 1977; Долуханов, 1966a,b; Dolukhanov, 1978; Tumajanov, 1980; Nakhutsrishvili, 1999, 2000, 2003, 2013; Nakhutsrishvili et al., 2004a, b, 2005, 2006 და სხვ.). ქვემოთ მოცემული ანალიზი აღნიშნულ შრომათა მიხედვით არის წარმოდგენილი.

რეგიონის ფლორისა და მცენარეულობის დიდი მრავალფეროვნება აღნიშნულია მრავალ ნაშრომში: Харадзе (1965 b), Долуханов (1966 a,b), Нахуцришвили (1974, 1988), Dolukhanov (1978), Ketskhoveri et al. (1975), Sakhokia, Kutsishvili (1975), სახოკია (1983), Нахуцришвили, Гамцелидзе (1984), Ivanishvili (1998), Zazanashvili et al., (1995); Nakhutsrishvili (1998, 1999, 2003, 2013); ნახუცრიშვილი (2000), Nakhutsrishvili et al. (2005, 2006) და სხვ. ხაზგასმულია, რომ ეს მრავალფეროვნება განპირობებულია რთული და დანაწევრებული რელიეფით, განსხვავებული ლანდშაფტებითა და სუბსტრატით, მიკროკლიმატის ნაირგვარობით. ჩვენს მიერ რეგიონის ფლორისა და მცენარეულობის მოკლე დახასიათება მოცემულია ზემოთაღნიშნული ავტორების მიხედვით და ყურადღება გამახვილებულია გუდაურის მთის მცენარეულ საფარზე.

მცენარეული სარტყლებიდან გვხვდება: მთის ტყის (1000-1500 მ ზღ. დ.), მთის ტყის ზედა (1500 - 1700-1750 მ ზღ. დ.), სუბალპური (1700-1750 – 2450-2500 მ ზღ. დ.),

ალპური (2450-2500 – 2950-3000 მ ზღ. დ.), სუბნივალური (2950-3000 – 3550-3600 მ ზღ. დ.) და ნივალური (> 3600 მ ზღ. დ.).

ყაზბეგის რეგიონის ფლორა ჭურჭლოვან მცენარეთა 1100 სახეობაზე მეტს ითვლის (Sakhokia, Kutsishvili, 1975), რაც საქართველოში გავრცელებულ მცენარეთა (დაახლოებით 4100 სახეობა; (Gagnidze, 2005)) თითქმის 27%-ს შეადგენს. რეგიონი მდიდარია კავკასიის ენდემური სახეობებითა და ენდემური გვარებით, მათ შორის მონოტიპური. ფლორის მრავალფეროვნებას ხაზს უსვამს, აგრეთვე 11 კავკასიური ენდემური გვარიდან 6-ის არსებობა (Nakhutsrishvili, 1998,1999, 2013; გაგნიძე 2000).

მთის ტყის ზედა სარტყელი მხოლოდ დარიალისა და ხდის ხეობებში, აგრეთვე გუდაურის რეგიონში - სოფ. მლეთასა და ქუმლისციხეს შორის გვხვდება. ამ ტყეებს ქმნიან: *Fagus orientalis*, *Quercus macranthera*, *Sorbus caucasigena*, აგრეთვე ტირიფის სახეობები, თხილი, სხვადასხვა ბუჩქები და სხვ.

წიწვოვანი ტყე, რომელსაც *Pinus kochiana* ქმნის, გუდაურის რეგიონში წარმოდგენილი არ არის. ის მხოლოდ ყაზბეგის რეგიონის ჩრდილოეთ ნაწილში - დარიალის ხეობაში მიუდგომელ კლდეებზეა განვითარებული.

სუბალპური არყნარი ტყე (*Betula litwinowii*, *B. raddeana*, *B. pendula*, *Sorbus caucasigena*, *Salix caprea*, *S. kuznetzowii*, *S. apoda*, *S. Kazbekensis* და სხვ.) მრავალსაუკუნოვანი მძლავრი ანთროპოგენული ზემოქმედების შედეგად ძლიერ გაჩანაგებულია და ჩრდილოეთის ექსპოზიციის ფერდობებზე მხოლოდ ფრაგმენტების სახითაა შემორჩენილი. ტყის ზედა საზღვართან, თოვლის მძლავრი დაწოლის გამო, ამ ტყეს ტანბრეცილი ფორმა “Krummholz” აქვს მიღებული. გუდაურის რეგიონში (სამხრეთ მაკროფერდობზე) არყნარი ტყე არ გვხვდება. მისი მცირე დერივატები მხოლოდ ჩრდილოეთ მაკროფერდობზე ჯვრის უღ. მიდამოებშია შემორჩენილი.

განსაკუთრებით უნდა გამოიყოს სუბალპური სარტყლის ტყის ზედა საზღვრის მცენარეულობა, რომელიც გამოირჩევა ფლორისტული და ფიტოცენოზური მრავალფეროვნებით, ენდემური და რელიქტური სახეობების სიუხვით. აქ გვხვდება: ტანბრეცილი ტყე, განრთხმული ბუჩქნარი, მაღალბალახეულობის ელემენტები, ფართოფოთლოვანი და მკვრივკორდიანი მდელოები.

რეგიონის თითქმის ყველა ხეობაში უხვთოვლიან ჩრდილოეთის ექსპოზიციის და მრავალფეროვანი ინკლინაციის (15-75°) ფერდობებზე, ზღ. დ-დან 1900-2900 მ-ის ფარგლებში განვითარებულია ნახევრადგართხმული ვეგეტატიურად მოძრავი ღეროების მქონე მარადმწვანე ბუჩქის, მესამეული რელიქტის - დეკას (*Rhododendron caucasicum*) ხშირ შემთხვევაში გაუვალი (პროექციული დაფარულობა 90-100%) რაყები. დეკა მკვეთრად გამოხატული ხიონოფიტია, თვით ამ ეკოსისტემის სტაბილურობა და არსებობა დამოკიდებულია თოვლის საფარის სიმძლავრეზე და ხანგრძლივობაზე. დამახასიათებელი სახეობებიდან აღსანიშნავია ბუჩქები: *Vaccinium myrtillus*, *V. vitis-idaea*, *Empetrum hermaphroditum*, *Daphne glomerata*, აგრეთვე ბალახოვანი მცენარეები: *Anemone fasciculata*, *Calamagrostis arundinacea*, *Pyrola minor*, *P. rotundifolia*, *Stachys macrantha* და სხვ. დეკიანების ფლორისტული შემადგენლობა ღარიბია (სახეობათა რიცხვი 25-27-ს არ აღემატება). გუდაურის რეგიონში დეკიანები მხოლოდ ჩრდილოეთის ექსპოზიციის მაკროფერდობზეა განვითარებული, ხოლო სამხრეთ მაკროფერდობზე მცირედ დახრილ რელიეფზე (5-15°) და 1900-2250 მ-ის ინტერვალში გვხვდება მესამეული რელიქტი *Rhododendron luteum*-ის მიერ შექმნილი ფოთოლმცვენი ბუჩქნარი, ის ტყის პირებზე და ტყეებში იზრდება, ხოლო ნატყევარ ადგილებში ხშირ რაყებს ქმნის.

ტყის ზედა საზღვრის ეკოტონი (გარდამავალი არე სუბალპურ ტყესა და მის ზემოთ მდებარე მდელოებს შორის) ერთ-ერთი ყველაზე მგრძნობიარეა კლიმატის ცვლილებისადმი. ამასთან, სწორედ ამ მცენარეულობას აქვს განსაკუთრებული ეკოლოგიური მნიშვნელობა: ზვავ-, მეწყერ- და ღვარცოფსაწინააღმდეგო ფუნქციები; სუფთა მტკნარი წყლის ყველაზე დიდი ბუნებრივი რეზერვუარი; მდინარეებში წყლის რეჟიმის რეგულაცია.

ღვიაანი თანასაზოგადოებები (*Juniperus communis*-ის დომინირებით), განსხვავებით ყაზბეგის რეგიონის სხვა ტერიტორიებისა, გუდაურის მიდამოებში არ არის წარმოდგენილი.

გუდაურის მიდამოებში არ არის წარმოდგენილი ტყის ზედა საზღვრის ეკოტონისთვის დამახასიათებელი სუბალპური მაღალბალახეულობა (*Aconitum*,

*Cicebrita, Delphinium, Heracleum, Senecio* და სხვა გვარების წარმომადგენლები), რომელიც ყაზბეგის რეგიონის სხვა ადგილებში მხოლოდ ფრაგმენტულად გვხვდება,

სახეობებით მდიდარ (40-50 და მეტი) სუბალპური მდელოს (1750-2500 მ ზღ. დ.) მცენარეულობაში გვხვდება ფაშარკორდიანი პარკოსან-ნაირბალახოვან-მარცვლოვანი და მკვრივკორდიანი ნაირბალახოვან-მარცვლოვანი თანასაზოგადოებები. ყველაზე ხშირია მდელოს მცენარეულობის ისეთი ფორმაციები, როგორიცაა: Bromopsieto-Agrostideta (*Bromopsis variegata, Agrostis planifolia, A. tenuis*) - უმნიშვნელოდ დამრეც სამხრეთის ექსპოზიციის ფერდობებზე; Calamagrostideta (*Calamagrostis arundinacea*) - ჩრდილო-დასავლეთის ფერდობებზე და ტყის პირებზე; Hordeta (*Hordeum violaceum*-Herbae mixta) - გავაკეხულ რელიეფზე და უმნიშვნელო ინკლინაციის (2-12°-მდე) მქონე ფერდობებზე, გამოტანის კონუსებზე; Festuceta (*Festuca varia, Carex meinshauseniana*) - ჩრდილო-დასავლეთის და სამხრეთ-დასავლეთის დამრეც (30-45°) ქვალორდიან ფერდობებზე; Festuceta (*F. rupicola, F. ovina, F. valesiaca*) - ყველაზე ქსეროფილურ ფერდობებზე და ქვალორდიან ნიადაგებზე; Bromopsieto-Helictotrichoneta (*Bromopsis variegata, Helictotrichon asiaticus*) - ქსეროფილურ სამხრეთის ფერდობებზე; Bromopsieto-Festuceta (*Bromopsis biebersteinii, Festuca varia*) - სამხრეთის და სამხრეთ-დასავლეთის ექსპოზიციის ფერდობებზე; Astragaleto-Bromopsieta (*Astragalus captiosus, Bromopsis variegata*) - სამხრეთის ექსპოზიციის მშრალ და ეროზირებულ დამრეც ფერდობებზე; Bromopsieto-Triseteta (*Bromopsis riparia, Trisetum flavescens*) - სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის ექსპოზიციის მცირე დახრილობის მქონე ქვალორდიან ფერდობებზე; Festuceto-Koelerieta (*Festuca ovina, Koeleria luersenii*) - მშრალ ადგილებში; Nardeta (*Nardus stricta*) - საშუალოდ დამრეც და თითქმის ყველა ექსპოზიციის ფერდობებზე; Dryadeta (*Dryas caucasica*) - ჩრდილოეთის ექსპოზიციის ქვიან და ნოტიო ფერდობებზე; Deschampsieta (*Deschampsia caespitosa*) და Hordeto-Phragmiteta (*Hordeum violaceum, Phragmites australis*) - ტენიან ადგილებში; Equiseto-Phragmiteta (*Equisetum palustre, Phragmites australis*)-დაჭაობებულ ადგილებში და წყალჭარბ ტერიტორიებზე.

სუბალპური სარტყელში მეზოფილურ პირობებში ტიპურია ფართოფოთლოვანი მდელოები: *Inuleta* (*Inula orientalis*), *Trollieta* (*T. patulus*), *Anemoneta* (*A. fasciculata*), *Betoniceta* (*B. macrantha*) და სხვ.

ეკლიან-ტრაგაკანტული მცენარეულობა - *Astragaleta* (*Astragalus denudatus*) გვხვდება სამხრეთის ექსპოზიციის მშრალ კლდეებზე და ქვა-ღორღიან სუბსტრატზე, თუმცა გუდაურის რ-ში წარმოდგენილი არ არის. მისთვის დამახასიათებელია: *Oxytropis cyanea*, *Astragalus kasbek*, *Artemisia sosnowskyi*, *Stipa tirsia*, *Festuca valesiaca*, *Scutellaria leptostegia* და სხვ.

სუბალპური სარტყლისთვის დამახასიათებელია აგრეთვე მშრალი და ნოტიო კლდეების და ფიქლოვანი ნაშალის მცენარეულობა.

ალპური სარტყლის (2450-2500 – 2950-3000მ ზღ. დ.) მცენარეულობა უმთავრესად წარმოდგენილია მკვრივკორდიანი მარცვლოვანი - *Festuceta* (*Festuca varia*, *F. supina*), *Nardeta* (*Nardus stricta*), ისლიანი - *Cariceta* (*Carex tristis*) და კობრეზიანი - *Kobresieta* (*Kobresia capilliformis*, *K. persica*) თანასაზოგადოებებით. *Festuceta varia* გვხვდება მხოლოდ ციცაბო სამხრეთ ფერდობებზე, ხოლო *Festuceta supina*, *Cariceta* და *Kobresieta* - ქედების ქარიან თხემებზე და მეტ-ნაკლებად სწორი რელიეფის პირობებში. ამ მცენარეული სარტყლის ქვედა ნაწილში ტენიან, სწორ ადგილებში და სუსტად დახრილ რელიეფზე (5-10°) ინტენსიურად გამოვილ მდელოებზე ფართოდ გავრცელებულია "მეორადი ალპური ხალები", რომელთა შორის წამყვანია: *Alchemilla*-ს, *Plantago*-ს, *Sibbaldia*-ს, *Nardus*-ის, *Carex*-ის და სხვა სახეობები. "თოვლისპირა ალპური ხალები", ძირითადად, ნაირბალახებისგან შექმნილი დაჯგუფებებია, რომლებიც ვითარდება მყინვარული რელიეფის, კერძოდ კარული ცირკის პირობებში ჰორიზონტალურ რელიეფზე, სადაც ნიადაგის სოლიფლუქციური პროცესები აღინიშნება და იკვებებიან თოვლისგან ნაჟური წყლით. ეს თანასაზოგადოებები მდელოსგან ორლებნიანთა სიჭარბით განსხვავდებიან. ალპური ხალების კიდევ ერთი ნაირსახეობაა "ალპური ხალი ღორღიან სუბსტრატზე", რომელსაც შედარებით მცირე ფართობები უკავიათ მყინვარის შემდგომ ადგილებში (კარულ ცირკებში, მორენებს შორის), უმთავრესად ტენიან, სწორ ან მცირედ დაქანებულ რელიეფზე და ღორღიან ადგილებში.

გავრცელებულია ლაქებად 2600-2900 მ-ის ფარგლებში. სუბნივალური სარტყლისთვის (2950-3000 და 3600-3650მ.ზდ.დ.) დამახასიათებელია მცენარეულობის ფრაგმენტული გავრცელება კლდის ან ნაშალის ცალკეული მიკროდაჯგუფების სახით, მცენარეული საფარის სტრუქტურის გამარტივება და ხავსებისა და ლიქენების ფართო წარმომადგენლობა. მცენარეთა მიკროდაჯგუფებების ფორმირება დამოკიდებულია რელიეფის კონფიგურაციაზე, სუბსტრატზე და იმ ეკოლოგიურ პირობებზე, რომელსაც ქმნის დამკორდებელი მცენარე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მცენარეულ მიკროდაჯგუფებებს ნანოცენოზები ეწოდება. დამახასიათებელია მცენარეული აგრეგაციები და სემიაგრეგაციები, რომელთა შექმნაში ერთი ან რამდენიმე სახეობის პოპულაციები მონაწილეობს. დამახასიათებელია: *Saxifraga moschata*, *S. exarata* (კლდეებზე), *Delphinium caucasicum*, *Cerastium kazbek*, *Alopecurus dasyanthus* (მეტ-ნაკლებად მოძრავ ნაშალზე), *Veronica minuta*, *Scrophularia minima* (სუსტად მოძრავ ნაშალებზე), *Symphyloloma graveolens*, *Aetheopappus caucasicus*, *Arenaria lychnidea* (ქვადორდიან ადგილებში) და სხვ. ტიპიურ სუბნივალურ მცენარეებთან ერთად ამ სარტყლის ქვედა ნაწილში გვხვდება ალპური სახეობებიც. კვლევის რეგიონში (იგულისხმება ყაზბეგის რეგიონი მთლიანად) ყველაზე მაღალ ჰიფსომეტრულ სიმაღლეს (4000 მ ზდ. დ.) ორი სახეობა აღწევს: *Alopecurus dasyanthus* და *Cerastium kazbek*.

საქართველოს ალპური მცენარეულობა, კავკასიის მრავალფეროვანი ეკორეგიონის ფონზეც კი, გამოირჩევა ფლორისტული და ცენოტური სიმდიდრით. ეს, პირველ რიგში, განპირობებულია კავკასიის მთების გეოგრაფიული მდებარეობით (ევროპისა და აზიის განსხვავებული გენეზისის ფიტოლანდშაფტების შესაყარზე), რელიეფის ძლიერი დანაწევრებით, კლიმატურ-ედაფური პირობების კონტრასტულობით და სხვ. (Nakhutsrishvili, 1999, 2013). ყაზბეგის რეგიონში დიდია როგორც ფლორისტული და ბიოტოპოლოგიური მრავალფეროვნება, ისე იშვიათი, ენდემური და რელიქტური სახეობების რიცხვი (Nakhutsrishvili et al., 2005). ამასთანავე, ალპური სასიცოცხლო ზონა“ ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი ობიექტია გარემო პირობებთან მცენარეთა ადაპტაციის მექანიზმების შესწავლის თვალსაზრისით (ლარხერი, 2006; კიორნერი, 2008).

ყაზბეგის რეგიონი საუკუნეების მანძილზე განიცდიდა მძლავრ ანთროპოგენურ ზემოქმედებას (ტყეების გაჩეხვა, ექსტენსიური მოვება, თიბვა, სხვადასხვა მშენებლობა და კომუნიკაციების გაყვანა ეკოლოგიური ნორმების დაცვისა და აღდგენითი ღონისძიებების გატარების სრული იგნორირებით და სხვ.), რამაც გამოიწვია არა მხოლოდ ბუნებრივი მცენარეულობის სახეცვლილება, არამედ საფრთხე შეუქმნა ბევრი იშვიათი სახეობის პოპულაციას. საფრთხეში მყოფ ალპურ მცენარეთა მრავალფეროვნების, პოპულაციური სტრუქტურის, დინამიკისა და ეკოლოგიის ზოგიერთი ასპექტის შესწავლა აქტუალურია კლიმატის მიმდინარე გლობალური ცვლილების (დათბობის) ფონზე (Nakhutsrishvili et al., 2005, 2006, 2013; Dullinger et al., 2007; Erschbammer et al., 2009, 2010, 2013; Larcher, 2012; Pauli et al., 2012; Nakhutsrishvili, 2013; Körner, 2014). ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია სტენოეკური სახეობების (მცენარეები, რომლებიც მხოლოდ განსაზღვრულ ეკოლოგიურ პირობებში იზრდებიან) შესწავლა, ვინაიდან მაღალმთაში ისინი ყველაზე სენსიტურთა კატეგორიას განეკუთვნებიან. ეს სახეობები ბიოკლიმატური ინდიკატორებია და ამდენად, მათი როლი მცენარეულობაზე კლიმატის ცვლილების ზეგავლენის შეფასების საკითხში განსაკუთრებულია.

### **თავი 3. კვლევის მეთოდები**

#### **3.1 კვლევის ადგილები**

გამოკვლევები ჩატარდა გუდაურისა და ჯვრის უღ.-ის მიდამოებში (ცენტრალური კავკასიონი) საერთაშორისო სამონიტორინგო ქსელის (GLORIA-EUROPE) ფარგლებში.

კვლების ადგილები და სამონიტორინგო ნაკვეთები შერჩეულია ამ პროექტისთვის საწყის ეტაპზე (2001წ.) აპრობირებული და საერთაშორისო სამონიტორინგო ქსელში შემავალი ყველა სხვა რეგიონისთვის სტანდარტული მეთოდის შესაბამისად (Pauli et al., 1999, 2003, 2004; Grabherr, 2000a; Gottfried et al., 2012; [www.gloria.ac.at](http://www.gloria.ac.at)). საწყის ეტაპზე ეს გულისხმობს: მთათა ერთსა და იმავე

სისტემაში ერთმანეთთან მაქსიმალურად ახლოს ოთხი სხვადასხვა სიმაღლის მწვერვალის შერჩევას, რომელთაც კარგად ექნებათ გამოხატული ოთხივე გეოგრაფიული მხარე (ექსპოზიცია) და დაფარული იქნება შესაბამისი მცენარეული სარტყლისთვის (ტყის ზედა საზღვრის ეკოტონი, ქვედა ალპური, ზედა ალპური, სუბნივალური) ტიპური ბუნებრივი მცენარეულობით.

ცენტრალური კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე ჯვრის უღ. მიდამოებში 2001 წ. GLORIA-ს პროექტისთვის შერჩეული ოთხი სამონიტორინგო ნაკვეთიდან (სრული ინფორმაცია იხ. ცხრ. 2) პირველი (CP1) მდებარეობს სოფ. კობის სიახლოვეს მდ. ბიდარას მარჯვენა შესართავის მარცხენა ტერასაზე, ტყის ზედა საზღვრის ეკოტონში, სადაც ტანბრეცილი არყნარი ტყე ძლიერ დეგრადირებულია და წარმოდგენილია არყის (*Betula litwinowii*) მხოლოდ ცალკეული მცირე ზომის ინდივიდებით (სურ. 2 და 3). მეორე ნაკვეთი (CP2) განლაგებულია ჯვრის უღ.-ის უმაღლესი წერტილის მაჩვენებელის სიახლოვეს ცენტრალური საავტომობილო მაგისტრალის სამხრეთით მდებარე მთაზე (სურ. 4 და 5).

ცხრილი 2. კვლევის ადგილების დახასიათება

| კვლევის ადგილი | სიმაღლე (მ ზღ. დ-დან) | გეოგრაფიული კოორდინატები    | მწვერვალის ფართობი (მ²) | მცენარეული სარტყელი        | მიწათსარგებლობის ტიპი |
|----------------|-----------------------|-----------------------------|-------------------------|----------------------------|-----------------------|
| CP1            | 2240                  | N 44°29'35";<br>E 42°32'33" | 1085.77                 | ტყის ზედა საზღვრის ეკოტონი | ბუნებრივი             |
| CP2            | 2477                  | N 44°27'33";<br>E 42°29'57" | 9628.81                 | ქვედა ალპური               | ყოფილი სამოვარი       |
| CP3            | 2815                  | N 44°30'04";<br>E 42°29'44" | 14974.31                | ზედა ალპური                | ყოფილი სამოვარი       |
| CP4            | 3024                  | N 44°30'36";<br>E 42°29'49" | 3429.60                 | სუბნივალური                | ბუნებრივი             |

კვლევის მესამე ადგილი (CP3) მდებარეობს გუდაურის სამთო-სათხილამურო ტრასის მიდამოებში, მეორე საბაგირო გზის ზედა სადგურის ჩრდილო-დასავლეთით

(სურ. 6 და 7). ბოლო, მეოთხე ნაკვეთია (CP4) გუდაურის სამთო-სათხილამურო ტრასის ორი უმაღლესი წერტილიდან ერთ-ერთის (მთა კუდების აღმოსავლეთი მწვერვალი) მიდამოები (სურ. 8 და 9).



სურათი 2. CP1 ნაკვეთის მწვერვალი



სურათი 3. CP1 ნაკვეთი მწვერვალზე



სურათი 4. CP2 ნაკვეთის მწვერვალი



სურათი 5. CP2 ნაკვეთი მწვერვალზე



სურათი 6. CP3 ნაკვეთის მწვერვალი



სურათი 7. CP3 ნაკვეთი  
მწვერვალზე



სურათი 8. CP4 ნაკვეთის მწვერვალი



სურათი 9. CP4 ნაკვეთი  
მწვერვალზე

თითოეული სამონიტორინგო ნაკვეთისთვის განისაზღვრა: (1) გეოგრაფიული კორდინატები და (2) სიმაღლე ზღ. დ-დან - გლობალური პოზიციური სისტემის - GPS-ის („*Etrex Summit*“, Garmin, Switzerland) მეშვეობით, რომელშიც დამოიყენება რუკა WGS 84); (3) ფერდობის ექსპოზიცია - კომპას-კლინომეტრით („*Recta DP 6*“,


Switzerland). თითოეული შესწავლილი ფიტოცენოზი დაფიქსირდება ციფრულ ფორმატში და შექმნა შესაბამისი ფოტოარქივი.

თითოეულ კვლევის ადგილზე გამოყოფილ იქნა სამონიტორინგო ნაკვეთები (Pauli et al., 2004, 2014) კვლევის ადგილის უმაღლესი წერტილიდან ოთხივე გეოგრაფიული მხარის მიმართულებით (N, E, S, W) გადაიზომა 5 მ და შეიქმნა სამონიტორინგო სექტორები (სურ. 9), სადაც დაფიქსირდა მცენარეულობის აღწერის ადგილები – 3 X 3 მ-იანი პერმანენტული კვადრატები. თითოეული ასეთი კვადრატი დაყოფილ იქნა 9 ნაწილად ანუ კლასტერად (თითოეულის ფართობით 1 მ²). მცენარეულობის აღწერა ხდებოდა ასეთი ბადის ოთხ განაპირა ფართობზე: 1.1, 1.3, 3.1, 3.3 (სურ. 10, 11), ანუ ერთ ექსპოზიციაზე აღიწერებოდა პერმანენტული 4 სამონიტორინგო ნაკვეთი. სულ მცენარეულობის აღწერა ჩატარდა 64 საექსპერიმენტო ნაკვეთზე, რაც სრულად უზრუნველყოფს მონაცემთა რეპრეზენტატულობას და საიმედოობას.


GLORIA-ს პროექტის მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოს (Pauli et al., 2004, 2014; [www.gloria.ac.at](http://www.gloria.ac.at)) მიხედვით სამონიტორინგო ნაკვეთები აკმაყოფილებდნენ შემდეგ კრიტერიუმებს:

1. მდებარეობა მათათა ერთსა და იმავე სისტემაში;
2. მდებარეობა ერთმანეთთან ახლოს;
3. მდებარეობა ერთსა და იმავე ტრანსექტზე;
4. მდებარეობა სხვადასხვა მცენარეულ სარტყელში (რათა მოცემული იყოს რაგიონის მაღალმთის მცენარეულობის ყველა ტიპი - ტყის ზედა სარტყლიდან ნივალურამდე);
5. გეოგრაფიულ მხარეთა (ოთხივე ექსპოზიციის – N, E, S, W) მკაფიო გამოხატულება (რათა გათვალისწინებული იყოს მიკროკლიმატის გავლენა და მცენარეულობის კომპოზიცია);
6. სამონიტორინგო ნაკვეთების სტანდარტულობა (აუცილებელია, რომ აღწერები ჩატარდეს არა მხოლოდ ერთსა და იმავე ფართობზე, არამედ მკაცრად განსაზღვრულ ერთსა და იმავე ადგილზე, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა რეპრეზენტატულობას);

7. რეპრეზენტატიულობა (საექსპერიმენტო ნაკვეთების დიდი რიცხვი – 64, რაც უზრუნველყოფს სტატისტიკურ საიმედოობას);



სურათი 10. მწვერვალებისა (a) და სამონიტორინგო ნაკვეთების (b) სტანდარტული სქემა



სურათი 11. 3 x 3 მ-იანი კლასტერი ველზე (მარცხნივ) და მისი სქემა (მარჯვნივ)

### **3.2 მცენარეთა ნომენკლატურა, იდენტიფიკაცია და სასიცოცხლო ფორმები**

მცენარეთა სახეობების იდენტიფიცირება მოხდა „საქართველოს მცენარეების სარკვევის“ I (1964) და II ტომების (1969) და „საქართველოს ფლორის“ I-XV ტომების (1970–2009) მიხედვით. მცენარეთა ნომენკლატურა მოცემულია მ.სახოკიასა და ე.ხუციშვილის (Sakhokia, Khutsishvili, 1975) მიხედვით. სახეობათა ნომენკლატურა შეესაბამება საერთაშორისო ნომენკლატურას ([www.eu-nomen.eu/portal/search.php](http://www.eu-nomen.eu/portal/search.php); [www.theplantlist.org](http://www.theplantlist.org).) საჭიროების შემთხვევაში გამოყენებულ იქნა თბილისის ბოტანიკური ბაღისა და ბოტანიკის ინსტიტუტის და სტეფანწმინდის ალპური ეკოლოგიის ინსტიტუტის ჰერბარიუმში დაცული ნიმუშები.

მცენარეთა სასიცოცხლო ფორმები დადგინდა რაუნკიერის (Raunkier, 1934) და გოვერტის და სხვ. (Govaerts et al., 2000) მიხედვით.

### **3.3 მცენარეულობის პროექციული დაფარულობა და ფიტოსოციოლოგიური აღწერები**

მცენარეთა პროექციული დაფარულობა ყოველი სამონიტორინგო ნაკვეთის თითოეული პერმანენტული კვადრატისთვის შეფასდა ვიზუალური დაკვირვების მეთოდით და გამოისახა %-ში (Kennedy, Addison, 1987; Frey, Lösch, 2004; Perez-Harguindegug, 2013).

ფიტოსოციოლოგიური დაკვირვებები შესრულდა ბრაუნ-ბლანკეს სტანდარტული ტესტის შესაბამისად (Braun-Blanquet, 1964; Frey, Lösch, 2004), რის საფუძველზეც შედგა ფიტოცენოზებში სახეობათა სრული ნუსხა და დადგინდა ბრაუნ-ბლანკეს სახეობრივი სიმრავლის ინდექსები, შემდგომში ეს ინდექსები გადაყვანილ (ცხრ. 3) იქნა ცალკეულ სახეობათა %-ულ დაფარულობაში (იხ. დანართი). მცენარეული საფარის აღწერა ჩატარდა ყველა სამონიტორინგო ნაკვეთის თითოეული კლასტერისთვის ოთხივე პერმანენტულ კვადრატში. თითოეულ სახეობას საერთაშორისო სამონიტორინგო ქსელის (GLORIA-EUROPE) მიერ მინიჭებული აქვს სპეციალური კოდი.

ცხრილი 3. ბრაუნ-ბლანკეს დაფარულობის კლასის ტრანსფორმაცია პროცენტებში (%)

| ბრაუნ-ბლანკეს<br>დაფარულობის<br>კლასი | დაფარულობის<br>ფარგლები (%) | საშუალო<br>დაფარულობა<br>(%) |
|---------------------------------------|-----------------------------|------------------------------|
| 5                                     | 75-100                      | 87.5                         |
| 4                                     | 50-72                       | 62.5                         |
| 3                                     | 25-50                       | 37.5                         |
| 2                                     | 2-25                        | 15.0                         |
| 1                                     | 1-5                         | 2.5                          |
| +                                     | <1                          | 0.1                          |
| ++                                    | <<1                         | –                            |

### 3.4 მცენარეთა მრავალფეროვნება, ევენესი და ჟაკარდის ინდექსი

სახეობრივი მრავალფეროვნება მცენარეული თანასაზოგადოების მნიშვნელოვანი მახასიათებელია. ის გულისხმობს სახეობის რიცხვს მოცემულ ტერიტორიაზე და მის ფარდობით სიმრავლეს, რომელიც წარმოდგენილია სახეობის სიმრავლითა და მრავალფეროვნებით.

მრავალფეროვნების შეფასებისას განხილულ უნდა იქნეს სახეობის სიმდიდრე. სახეობის სიმდიდრე ეს არის თანასაზოგადოებაში ფართობის ერთეულზე ( $1\text{მ}^2$ ) არსებული სახეობების საერთო რიცხვი. მისი განსაზღვრა ხდება ბადის საშუალებით, (გათვალისწინებული უნდა იყოს ცხოველთა ფეკალიებითა და დატკეპნით გამოწვეული დაზიანება). ამ ინდექსის განსაზღვრისას მხედველობაში არ მიიღება ცალკეულ ინდივიდთა რიცხვი, ასევე არ ხდება ხავსებისა და ლიქენების იდენტიფიცირება. სახეობის მრავალფეროვნების შეფასებისას გამოყენებული იქნა შენონ-ვინერის ინდექსი, რომელიც ზომავს წესრიგს (ან მოუწესრიგებლობას) მოცემული სისტემის შიგნით და გამოითვლება პროცენტული დაფარულობიდან.

მისი ტრანსფორმაცია შესაძლოა მოხდეს ბრაუნ-ბლანკეს სქემიდან. ფორმულას აქვს შემდეგი სახე:

$$H = - \sum_{i=1}^s (p_i \ln p_i) \quad (1)$$

სადაც,  $s$  = სახეობათა რაოდენობა;  $p_i$  = მოცემული  $i$  სახეობის დაფარულობის პროცენტული წილი საერთო დაფარულობაში (Krebs, 1989; Zur, 1984; Kent, Coker 1992). ამ ფორმულიდან ასევე გამოითვალა ევენესი:

$$J = \frac{H'}{H_{\max}} = \frac{\sum_{i=1}^s (p_i \ln p_i)}{\ln s} \quad (2)$$

სადაც,  $H$  = შენონ-ვინერის ინდექსი;  $H_{\max}$  = შენონ-ვინერის ინდექსის მაქსიმალური მნიშვნელობა;  $s$  = სახეობათა რაოდენობა;  $p_i$  = მოცემული  $i$  სახეობის დაფარულობის პროცენტული წილი საერთო დაფარულობაში.

სახეობათა რიცხოვნობისა და შენონ-ვინერის ინდექსის გამოითვალა თითოეული შესწავლილი ფიტოცენოზის სახეობათა ნუსხიდან.

ჟაკარდის ფლორისტული მსგავსების ინდექსის საშუალებით დადგინდა სამონიტორინგო ფართობებს შორის მსგავსების მატრიცა. ჟაკარდის ინდექსი (Kent, Coker, 1992) გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$S_J = \frac{a}{a+b+c} \quad (3)$$

სადაც  $S_J$  = ჟაკარდის კოეფიციენტი;

$a$  = სახეობათა რიცხვი ორ სამონიტორინგო ფართობზე;

$b$  = სახეობათა რიცხვი პირველ ფართობზე;


$c$  = სახეობათა რიცხვი მეორე ფართობზე.

ჟაკარდის ინდექსის მათემატიკური მნიშვნელობა მერყეობს 0-დან 1-მდე. რაც უფროა ახლოა მიღებული მნიშვნელობა 1-თან, მით მეტია ფლორისტული მსგავსება.


### 3.5 ტემპერატურული ლოგერების დამონტაჟება

მაღალმთის მცენარეულობა განსაკუთრებით განიცდის გლობალური დათბობით გამოწვეულ ტემპერატურისა და თოვლის საფრის ცვალებადობის

გავლენას. ნიადაგის ტემპერატურის გასაზომად, GLORIA-ს პროექტის ფარგლებში აპრობირებული მეთოდის შესაბამისად, გამოიყენებოდა მონაცემთა ავტომატური მინი-ლოგერები („Onset StowAway Tidbit“ -20/+50°C, USA ) (სურ. 12), რომლებიც მოთავსებული იყო სამონიტორინგო ნაკვეთებზე თითოეული ექსპოზიციის 3მ x 3მ კვადრატების შუაში, 10 სმ სიღმეზე (Gottfried et al., 1999). ეს ლოგერები ნიადაგის ტემპერატურას ზომავენ 1 წთ-ში ერთხელ და იმახსოვრებენ ყოველი საათის გასაშუალოებულ მონაცემს, ანუ დღის განმავლობაში თითოეული კლასტერისთვის გვაქვს 24 მონაცემი, რომლებიც თავის მხრივ 1 440 გაზომვის შედეგია. თითოეულ კლასტერში წლის განმავლობაში გროვდება 8 784 მონაცემი. სულ კვლევის ადგილისთვის წელიწადში გროვდება 140 544 მონაცემი. ლოგერების მონაცემთა აღრიცხვა და საჭიროების შემთხვევაში ლოგერების გამოცვლა ხდებოდა 5 წელიწადში ერთხელ. 2008 წლიდან აღნიშნული მინილოგერები შეიცვალა კიდევ უფრო მაღალი ტექნოლოგიებით (*GEO-Precision, USA*) (სურ. 13), რომელთაც არ ესაჭიროებათ კომპიუტერთან შესაერთებლად ნიადაგიდან ამოღება, არამედ კომპიუტერთან კავშირს ამყარებენ ნიადაგიდანვე კომპიუტერის დაახლოებით 20 მ-ში მიახლოების შემთხვევაში (ეს გარემოება იცავს კლასტერებს დაზიანებისგან). ახალი მინილოგერები ნაცვლად 5 წლისა ავტომატურ რეჟიმში მუშაობენ უკვე 10 წლის განმავლობაში. ტემპერატურული მონაცემების საშუალებით გამოვითვალეთ GDD (growing degree day) ინდექსი (Molau and Mølgaard, 1996). GDD გამოთვლისას განისაზღვრა ის პერიოდი, როცა ნიადაგის ტემპერატურა 2°C მეტი იყო.



სურ.12 ტემპერატურის მინილოგერები „Onset StowAway Tidbit“



სურ.13 ტემპერატურული მინილოგერი „GEO-Precision“

### 3.6 სახეობათა რანგი, მცენარეულობის თერმული ინდიკატორი (S) და თერმოფილიზაციის ინდექსი (D)

საერთაშორისო სამონიტორინგო ქსელის მიერ თითოეულ სახეობას მისი ბიოკლიმატური პოზიციის შესაბამისად მიენიჭა შემდეგი რანგი (Gottfried et al., 2012):

რანგი1 (AR-1) - სახეობები, რომლებიც გავრცელებულია ძირითადად ნივალურ სარტყელში.

რანგი2 (AR-2) - სახეობები, რომლებიც გავრცელებულია ალპური სარტყლიდან ნივალურ სარტყლამდე.

რანგი3 (AR-3) - სახეობები, რომლებიც გავრცელებულია ძირითადად ალპურ სარტყელში.

რანგი4 (AR-4) - სახეობები, რომლებიც გავრცელებულია ტყის ზედა სარტყლიდან ალპურ სარტყლამდე.

რანგი 5 (AR-5) - სახეობები, რომლებიც ძირითადად გვხვდება ტყის ზედა სარტყელში.

რანგი 6 (AR-6) - გავრცელებულია მთის ზონიდან ტყის ზედა საზღვრამდე.

სახეობის რანგიდან თითოეული კვადრატისთვის (სახეობის დაფარულობის პროცენტული მაჩვენებლების გათვალისწინებით) გამოითვალა „მცენარეულობის თერმული ინდიკატორი“ (S ინდექსი), რომელიც ახასიათებს კონკრეტული კვადრატის „თერმოფილურ“ თუ „კრიოფილურ“ სტატუსს (Gottfried et al., 2012). ის გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$S = \frac{\sum AR(\text{species } i) \times \text{cover}(\text{species } i)}{\sum \text{cover}(\text{species } i)} \quad (4)$$

სადაც, AR (species i) = i სახეობის რანგია; cover (species i) = i სახეობის დაფარულობა.

ამ მონაცემის გამოყენებით თითოეული კვადრატისთვის ასევე გამოითვლება თერმოფილიზაციის D ინდექსი:

$$D = S_{\text{present}} - S_{\text{historical}} \quad (5)$$

სადაც,  $S_{\text{present}} = 2008$  წელს აღებული მონაცემების შედეგად გამოთვლილი თერმული ინდიკატორი;  $S_{\text{historical}} = 2002$  წელს აღებული მონაცემების შედეგად გამოთვლილი თერმული ინდიკატორი.

D ინდექსის ცვალებადობა (მისი შემცირება ან გაზრდა) კლიმატის ცვლილების მნიშვნელოვანი მახასიათებელია (Gottfried et al., 2002).

### **3.7 სტატისტიკური ანალიზი**

ყველა მიღებულ ფაქტობრივ მონაცემზე სტატისტიკური ანალიზი ჩატარდა პროგრამა SPSS 13.0-ისა (ANOVA;  $P < 0.05$ ) და PC-ORD 5-ის საშუალებით. მონაცემთა საშუალო, მედიანა და სტანდარტული გადახრა გამოითავსა ANOVA ტესტით.  $18^2$  ფართობებზე სახეობათა სიმდიდრის შედარება 2001 და 2008 წლებში მოხდა ბინომინალური ტესტის გამოყენებით. ის სახეობები, რომლებიც 2001 წელს მხოლოდ ერთი ფართობი ეკავათ, მხედველობაში არ იქნა მიღებული. მონაცემების ნორმალური განაწილება შემოწმდა შაპირო-ვილკის (Shapiro-Wilk test) ტესტით. თუ პარამეტრები (სახეობათა დაფარულობა, სიხშირე) განაწილება არ იყო ნორმალური ვიყენებდით არა-პარამეტრულ ვილკოქსონის (Wilcoxon's signed-rank test) ტესტს. რეგრესიული ანალიზის (Regression Analysis) საშუალებით შეფასდა ტემპერატურის ცვლილება წლებისა და ექსპოზიციის მიხედვით. ასევე დადგინდა კორელაცია სახეობათა სიმდიდრესა და სხვა კლიმატურ მახასიათებლებს შორის. ინდიკატორი სახეობების გამოვლენა მოხდა PC-ORD 5 პროგრამის ინდიკატორ სახეობათა ანალიზის ტესტის (Indicator Species Analysis-ISA) საშუალებით (Dufrene and Legendre, 1997), ხოლო დომინანტი სახეობების დამოვლენა - Dominance Curve ტესტის საშუალებით. ამ ტესტის შედეგად მიღებული გრაფიკი არის 2D ფორმატის, სადაც სახეობათა მაღალი სიმრავლის რანგს შეესაბამება რიცხვი 1 და ა.შ.

### **3.8 მონაცემთა ბაზა**

კვლევის სავსე ნაწილის დასრულების შემდეგ შედგა მონაცემთა ბაზა (Excel-ის ცხრილებში), რომელიც მოიცავს: ეკოტოპოლოგიურ მონაცემებს (გეოგრაფიული

კოორდინატები, ჰიფსომეტრული სიმაღლე, ექსპოზიცია, ფერდობის ინკლინაცია), სახეობათა ნუსხებს, ფიტოსოციოლოგიური კვლევის შედეგებს, მცენარეული საფარის პროექციული დაფარულობის მაჩვენებელს და ელექტრონულ ფოტოარქივს.


## თავი 4. შედეგები

### 4.1 ნიადაგის საშუალო წლიური ტემპერატურისა და GDD-ს ცვლილება

ნიადაგის საშუალო ტემპერატურის მონაცემების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ ტემპერატურა ვარირებს როგორც წლების მიხედვით, ისე სხვადასხვა ჰიფსომეტრულ სიმაღლეზე. ყველაზე მაღალი საშუალო წლიური ტემპერატურა დაფიქსირდა 2002 წელს ოთხივე ექსპოზიციაზე. შემდეგ წლებში ტემპერატურამ დაიკლო და შედარებით სტაბილური გახდა. ამას მიაწინებს როგორც ჩვენს მიერ გამოყენებული ლოგერების მონაცემები ( $P < 0.001$ ) (გრაფ.1), ისე საქართველოს მასშტაბით გლობალური კვლევის შედეგები (Elizbarashvili, Elizbarashvili, 2002 a).

ქვემოთ მოცემული გრაფიკის სტატისტიკურ ცხრილში ნათლად ჩანს საშუალო ტემპერატურის ცვლილება 2002-2008 წლებში (ცხრ. 4).

გრაფიკი 1. ნიადაგის საშუალო წლიური ტემპერატურის (C°) ცვლილება 2002-2008 წლებში




ცხრილი 4. ნიადაგის საშუალო წლიური ტემპერატურის ცვლილების სტატისტიკური ცხრილი.

| წლები | მინიმალური | მაქსიმალური | საშუალო | სტდ.გად.. | სტდ. შეცდ. |
|-------|------------|-------------|---------|-----------|------------|
|       | T°C        | T°C         |         |           |            |
| 2002  | 10.9       | 14.7        | 12.43   | 1.118     | 0.395      |
| 2003  | -0.38      | 4.86        | 2.99    | 1.639     | 0.579      |
| 2004  | -0.93      | 5           | 2.79    | 1.771     | 0.626      |
| 2005  | -0.52      | 3.64        | 2.54    | 1.313     | 0.464      |
| 2006  | 1.98       | 6.18        | 3.79    | 1.376     | 0.486      |
| 2007  | 0.82       | 5.07        | 3.14    | 1.426     | 0.504      |
| 2008  | -4.75      | 3.32        | 0.95    | 2.695     | 0.952      |

როგორც მე-4 ცხრილიდან ჩანს, მონიტორინგის პერიოდში ასევე არ მომატებულა ნიადაგის საშუალო წლიური მინიმალური ტემპერატურა, მხოლოდ CP1 მწვერვალზე აღინიშნა ამ მაჩვენებლის სარწმუნო მცირე მომატება ( $P<0.001$ ) (გრაფ. 2).

საშუალო წლიური ტემპერატურა 2002-2008 წლებში იცვლებოდა სარწმუნოდ, განსაკუთრებულად მაღალი იყო ეს მონაცემი 2002 წელს ყველა სამონიტორინგო მწვერვალზე, ხოლო ყველაზე დაბალი 2008 წელს.





გრაფიკი 2. ნიადაგის საშუალო წლიური მინიმალური ტემპერატურის ცვლილება 2002-2008 წლებში CP1-CP4 მწვერვალებზე



CP1 მწვერვალზე ნიადაგის საშუალო მინიმალური ტემპერატურის დინამიკა კარგად ჩანს ზამთრის საშუალო თვიური ტემპერატურების ცვლილების გრაფიკზე (გრაფ.3). აღნიშნულ მწვერვალზე თოვლის საფრის ხანგრძლივობა მკვეთრად არ შემცირებულა, 2003-2004 წლის ზამთარში თოვლის საფრის ხანგრძლივობა უფრო

ხანმოკლე იყო სხვა წლებთან შედარებით. ხოლო ნიადაგის საშუალო თვიური ტემპერატურა 2002-2003 წლებში უფრო დაბალი ( $>-10^{\circ}\text{C}$ ), ვიდრე 2007-2008-ის ზამთარში.

გრაფიკი 3. ზამთრის ტემპერატურის ცვლილება 2002-2008 წლებში CP1 მწვერვალის პერმანენტულ სამონიტორინგო ნაკვეთებზე




ნიადაგის საშუალო ტემპერატურების სხვაობა ყველაზე მაღალ CP4 (3024 მ.ზღ.დ.) მწვერვალსა და ყველაზე დაბალ CP1 (2240 მ. ზღ. დ) მწვერვალს შორის შეადგენდა მხოლოდ  $0.04^{\circ}\text{C}$ , ხოლო ამ მონაცემის მაქსიმალურ მნიშვნელობებს შორის სხვაობა -  $0.01$ -ს, მაშინ როცა ეს მონაცემი უფრო ცივ 2008 წელს იყო  $3.29^{\circ}\text{C}$ . (ცხრ. 5 ).

ცხრილი 5. ნიადაგის საშუალო ტემპერატურის ცვლილება სხვადასხვა ჰიფსომეტრულ სიმაღლეზე

| 2002      |         |        |             |          |           |
|-----------|---------|--------|-------------|----------|-----------|
| მწვერვალი | საშუალო | სტდ.   | სტანდ.შეცდ. | მინიმუმი | მაქსიმუმი |
| გადახრა   |         |        |             |          |           |
| CP1       | -0.884  | 0.2072 | 0.0518      | -1.00    | -0.54     |
| CP2       | 0.705   | 0.2945 | 0.0736      | 0.42     | 0.99      |
| CP3       | 0.420   | 0.0041 | 0.0004      | 0.42     | 0.42      |
| CP4       | 0.625   | 0.1859 | 0.0882      | -1.00    | -0.53     |
| 2008      |         |        |             |          |           |
| CP1       | 0.624   | 0.2679 | 0.0669      | 2.23     | 3.22      |
| CP2       | 0.783   | 0.3479 | 0.8698      | 2.52     | 2.94      |
| CP3       | 0.783   | 0.3250 | 0.0812      | 0.22     | 0.41      |
| CP4       | -0.232  | 0.8186 | 0.2047      | -4.75    | -0.07     |

გრაფიკი 4. ნიადაგის საშუალო წლიური ტემპერატურის  $T(^{\circ}C)$  ცვლილება 2002 (1) და 2008 (2) წლებში ოთხ ჰიფსომეტრულ სიმაღლეზე (Elevation- ჰიფსომეტრული სიმაღლე; კორელაციის კოეფიციენტი)





ტემპერატურის მიხედვით არ იყო სარწმუნო, ასევე არ არის სარწმუნო 2008 წელს განსხვავება CP1 და CP4 მწვერვალებს შორის მინიმალური ტემპერატურის მიხედვით (ცხრ. 6 ა, ბ). სარწმუნოების კოეფიციენტი მეტია 0.05-ზე (გამუქებული რიცხვები მე-6 ცხრილის ა და ბ ვარიანტში). რაც შეეხება უკიდურეს მწვერვალებს შორის განსხვავებას ივნისის ტემპერატურის მიხედვით, აქ მაღალია მონაცემის სარწმუნოება როგორც 2002, ისე 2008 წლებში.

ცხრილი 6. ANOVA-ს ტესტის შედეგები. მწვერვალებს შორის განსხვავება ეკოლოგიური მახასიათებლების (საშუალო წლიური ტემპერატურის (საშუალო ტ), ივნისის მინიმალური ტემპერატურის (ივნ.მინ.ტ) და წლიური მინიმალური ტემპერატურის (მინიმ.ტ.)) მიხედვით 2002 (ა) და 2008 (ბ) წელს. (sig- სარწმუნოების კოეფიციენტი.

ა)

| 2002         |     |     |             |              |              |                           |             |
|--------------|-----|-----|-------------|--------------|--------------|---------------------------|-------------|
| მწვერვალი    |     |     | საშუალო მნ. | სტანდ. შეცდ. | Sig.         | 95% სარწმუნოები ინტერვალი |             |
|              |     |     |             |              |              | ქვედა ზღვარი              | ზედა ზღვარი |
| საშუალო ტ.   | CP1 | CP2 | -2.250      | 0.196        | 0.000        | -2.64                     | -1.86       |
|              |     | CP3 | -1.750      | 0.196        | 0.000        | -2.14                     | -1.36       |
|              |     | CP4 | -0.062      | 0.196        | <b>0.751</b> | -0.45                     | 0.33        |
| ივნ. მინ. ტ. | CP1 | CP2 | -0.01750    | 0.06629      | 0.793        | -.1501                    | .1151       |
|              |     | CP3 | 0.10250     | 0.06629      | 0.127        | -.0301                    | .2351       |
|              |     | CP4 | -0.24750    | 0.06629      | 0.000        | -.3801                    | -.1149      |
| მინიმ. ტ.    | CP1 | CP2 | -8.000      | 0.946        | 0.000        | -9.89                     | -6.11       |
|              |     | CP3 | -10.250     | 0.946        | 0.000        | -12.14                    | -8.36       |
|              |     | CP4 | -0.250      | 0.946        | <b>0.793</b> | -2.14                     | 1.64        |

2008

ბ)

| მწვერვალები |     |     | საშუალო მნიშ. | სტანდ. შცდ. | Sig.         | 95% ინტერვალი |             |
|-------------|-----|-----|---------------|-------------|--------------|---------------|-------------|
|             |     |     |               |             |              | ქვედა ზღვარი  | ზედა ზღვარი |
| საშუალო ტ.  | CP1 | CP2 | 0.60312       | 0.35767     | 0.097        | -0.1123       | 1.3186      |
|             |     | CP3 | 0.70062       | 0.35767     | 0.055        | -0.0148       | 1.4161      |
|             |     | CP4 | 4.59312       | 0.35767     | 0.000        | 3.8777        | 5.3086      |
| ივნ.მინ.ტ.  | CP1 | CP2 | 0.43075       | 0.21659     | 0.051        | -0.0025       | 0.8640      |
|             |     | CP3 | 2.71600       | 0.21659     | 0.000        | 2.2828        | 3.1492      |
|             |     | CP4 | 3.03400       | 0.21659     | 0.000        | 2.6008        | 3.4672      |
| მინიმ.ტ.    | CP1 | CP2 | -0.16250      | 1.70494     | 0.924        | -3.5729       | 3.2479      |
|             |     | CP3 | -6.04000      | 1.70494     | 0.001        | -9.4504       | -2.6296     |
|             |     | CP4 | 3.25000       | 1.70494     | <b>0.061</b> | -0.1604       | 6.6604      |


ნიადაგის საშუალო წლიური ტემპერატურები ვარირებდა როგორც წლების , ისე ექსპოზიციის მიხედვით. აღნიშნული მონაცემი განსხვავდება სამხრეთ და ჩრდილოეთ ექსპოზიციაზე, თუმცა ეს განსხვავება ნაკლებ შესამჩნევი იყო CP1 მწვერვალზე და შედარებით მეტად შესამჩნევი CP4-ზე (ცხრ. 7).

ცხრილი 7. ნიადაგის საშუალო წლიური ტემპერატურის (°C) ცვლილება 2002-2008 წლებში ჩრდილოეთ და სამხრეთ ფერდობებზე

| მწვერვალი | ექსპოზიცია | 2002  | 2003  | 2004  | 2005  | 2006 | 2007 | 2008  |
|-----------|------------|-------|-------|-------|-------|------|------|-------|
| CP1       | ჩრდილოეთი  | 11.68 | 3.54  | 3.7   | 3.04  | 4.32 | 3.82 | 2.31  |
|           | სამხრეთი   | 11.68 | 3.55  | 3.63  | 3.28  | 6.18 | 1.85 | 3.2   |
| CP2       | ჩრდილოეთი  | 12.98 | 4     | 3.48  | 2.98  | 3.48 | 4.2  | 3.32  |
|           | სამხრეთი   | 14.17 | 4.86  | 5     | 3.1   | 5.1  | 5.07 | 2.94  |
| CP3       | ჩრდილოეთი  | 12.87 | 3.49  | 2.9   | 2.88  | 3.5  | 3.08 | 0.41  |
|           | სამხრეთი   | 13.36 | 3.29  | 2.78  | 2.09  | 3.45 | 3.65 | 0.52  |
| CP4       | ჩრდილოეთი  | 10.69 | -0.38 | -0.93 | -0.52 | 1.98 | 0.82 | -4.74 |
|           | სამხრეთი   | 11.28 | 1.59  | 1.74  | 2.89  | 2.38 | 1.99 | -0.07 |


GDD ინდექსის გამოთვლისას აღინიშნა ჰიფსომეტრული სიმაღლის მიხედვით ამ მონაცემის სარწმუნო ცვლილება ( $P < 0.001$ ) (გრაფ. 6).

გრაფიკი 6. GDD ინდექსის ცვლილება ჰიფსომეტრული სიმაღლის მიხედვით. (1-CP1; 2-CP2; 3-CP3; 4-CP4)



თოვლის დნობა CP1 მწვერვალზე იწყება აპრილის დასაწყისში, სავეგეტაციო პერიოდი გრძელდება ოქტომრის ბოლომდე და მხოლოდ ნოემბერში ეცემა ტემპერატურა  $2^{\circ}\text{C}$ -ზე დაბლა. მთლიანად ეს პერიოდი CP1-ზე მოიცავს  $213.25 \pm 20.18$  დღეს. ყველაზე მაღალ მწვერვალზე (CP4) აღნიშნული პერიოდი უფრო მოკლეა -  $175.8 \pm 11.64$  დღე. GDD ინდექსის მონაცემების ანალიზი ასევე ჩატარდა PC-ORD სტატისტიკური პროგრამით. მე-7 გრაფიკზე უფრო ნათლად ჩანს GDD ცვლილება ჰიფსომეტრული სიმაღლის მიხედვით 2002 და 2007 წლებში და კორელაციის კოეფიციენტები.

გრაფიკი 7. GDD ინდექსის ცვლილება 2002 (ა) და 2007 (ბ) წელს ჰიფსომეტრული გრადიენტის მიხედვით (Elevation- ჰიფსომეტრული სიმაღლე; r-კორელაციის კოეფიციენტი)



ა



ბ

GDD-ს ინდექსი განსხვავდება ჩრდილოეთ ( $146 \pm 2.78$ ) და სამხრეთ ფერდობებზე ( $154 \pm 3.48$ ). მე-8 ცხრილიდან ჩანს, რომ ჩრდილოეთ ექსპოზიციაზე GDD უფრო ნაკლებია, ვიდრე თბილ ფერდობებზე (C1, C2, C3 -ის სამხრეთ და C4-ის აღმოსავლეთ ექსპოზიციებზე).

ცხრილი 8. GDD-ის ინდექსის ცვლილება ჩრდილოეთ და სამხრეთ ფერდობებზე 2002-2007 წლებში


| მწვერვალი | ექსპოზიცია | 2002 | 2003 | 2004 | 2006 | 2007 |
|-----------|------------|------|------|------|------|------|
| CP1       | ჩრდილოეთი  | 163  | 163  | 141  | 151  | 152  |
|           | სამხრეთი   | 169  | 168  | 158  | 155  | 155  |
| CP2       | ჩრდილოეთი  | 158  | 163  | 147  | 156  | 152  |
|           | სამხრეთი   | 168  | 165  | 183  | 170  | 177  |
| CP3       | ჩრდილოეთი  | 153  | 145  | 146  | 147  | 148  |
|           | სამხრეთი   | 157  | 147  | 149  | 150  | 150  |
| CP4       | ჩრდილოეთი  | 140  | 125  | 122  | 123  | 138  |
|           | სამხრეთი   | 137  | 127  | 132  | 133  | 142  |

GDD-ს ინდექსი 2002-2007 წლებში სარწმუნოდ იცვლებოდა ( $t = 0.21$ ,  $df = 13$ ,  $P < 0.001$ ), თუმცა არ აღინიშნა ზრდის ტენდენცია. ეს ნათლად ჩანს სტატისტიკური ცხრილიდან. (ცხრ. 9) და ორდინაციული გრაფიკიდან (გრაფ. 8).

ცხრილი 9. 2002-2008 წლებში GDD ცვლილების სტატისტიკური ცხრილი.

|      | საშ.    | სტ.გად. | სტ.შეც | t    | d | საშუალო<br>f განსხვავება | 95%<br>სარწმუნოების<br>ინტერვალი |        | P      |
|------|---------|---------|--------|------|---|--------------------------|----------------------------------|--------|--------|
|      |         |         |        |      |   |                          | დაბალი                           | მაღალი |        |
|      |         |         |        |      |   |                          |                                  |        |        |
| 2002 | 1.556E2 | 11.913  | 4.208  | 36.9 | 7 | 155.62                   | 145.67                           | 165.57 | 0.001  |
| 2003 | 1.503E2 | 17.212  | 6.085  | 24.7 | 7 | 150.37                   | 135.98                           | 164.76 | 0.001  |
| 2004 | 1.147E2 | 18.156  | 6.419  | 22.9 | 7 | 147.25                   | 132.07                           | 162.42 | <0.001 |
| 2006 | 1.148E2 | 14.456  | 5.107  | 29.0 | 7 | 148.12                   | 136.04                           | 160.20 | 0.002  |
| 2007 | 1.151E2 | 11.656  | 4.117  | 36.8 | 7 | 151.75                   | 142.01                           | 161.48 | 0.001  |


გრაფიკი 8. GDD-ს ინდექსის ცვლილება 2002-2007 წლებში



## 5.2 სამონიტორინგო ნაკვეთების ფლორისტული შემადგენლობა, სახეობათა რანგი და სასიცოცხლო ფორმები


ფლორისტული აღწერები ჩატარდა 2001 და 2008 წელს ოთხივე სამონიტორინგო მწვერვალზე (CP1, CP2, CP3, CP4). პირველი აღწერისას დაფიქსირდა ჭურჭლოვან მცენარეთა 138 სახეობა, რომლებიც მიეკუთვნებიან 32 ოჯახს. პროცენტულად დომინირებენ ნაირბალახოვნები და მარცვლოვნები. რამდენიმე ან მხოლოდ ერთი სახეობებით არიან წარმოდგენილი პარკოსნები, ისლები და ბუჩქები (გრაფ. 9). მათ შორის ორლებნიანები 86.4%-ია, ხოლო ერთლებნიანები - 13.6%.

გრაფიკი 9. სამონიტორინგო ფართობებზე სახეობათა სხვადასხვა ფუნქციური ჯგუფის პროცენტული განაწილება




ყველაზე მეტი სახეობებით წარმოდგენილია ოჯახები: Asteraceae (21 სახეობა) და Poaceae (16 სახეობა). მხოლოდ ერთ სახეობა გვხვდება აღწერებში შემდეგი ოჯახებიდან: Betulaceae, Crassulaceae, Empetraceae, Liliaceae, Orchidaceae, Salicaceae, Valerianaceae (გრაფ. 10).

გრაფიკი 10. აღწერილი სახეობების განაწილება ოჯახების მიხედვით




138 სახებიდან 51 სახეობა კავკასიის ენდემია (36.7 %). ყველაზე მეტი კავკასიის ენდემით წარმოდგენილია ოჯახები - Asteraceae და Rosaceae (გრაფ.11).

გრაფიკი 11. ენდემური სახეობების განაწილება ოჯახების მიხედვით




ოთხივე მწვერვალზე დაფიქსირებულ სახეობებს შორის აშკარად დომინირებენ ჰემიკრიპტოფიტები (82%). მცირე პროცენტითაა წარმოდგენილი ისეთი სასიცოცხლო ფორმები, როგორიცაა: მერქნიანი ხამეფიტები (2%), ბალახოვანი გეოფიტები (4%) და ტეროფიტები (4%) (გრაფ. 12).

გრაფიკი 12. სახეობათა სასიცოცხლო ფორმების პროცენტული განაწილება CP1-CP4 მწვერვალზე. (**p**-ზაფხულმწვანე ფანეროფიტები, **n**-ზაფხულმწვანე ნანოფანეროფიტები, **j**-ზამთარმწვანე ნანეროფიტები, **z**-მერქნიანი ხამეფიტები, **c**-ბალახოვანი ხამეფიტები, **h**-ჰემიკრიპტოფიტები, **g**-გეოფიტები, **t**-ტეროფიტები)



CP1-CP4 მწვერვალეებზე სხვადასხვა რანგის მცენარეთა პროცენტული განაწილება მოცემულია მე-13 გრაფიკზე. ქვედა სიმაღლეზე, რა თქმა უნდა, მაღალია ტყის ზედა საზღვრის მცენარეების პროცენტული წილი. სამონიტორინგო ნაკვეთების სრული ფლორისტული სია სინონიმებისა და ენდემურობის აღნიშვნით მოცემულია დანართ 1 -ში.

გრაფიკი 13. სხვადასხვა რანგის მცენარეთა პროცენტული განაწილება (1-ნივალური, 2-სუბნივალური, 3-ალპური, 4-ტყის ზედა საზღვრიდან-ალპურამდე, 5-ტყის ზედა საზღვრის, 6-მთის-ტყის ზედა საზღვრამდე)



მონიტორინგის პერიოდში, 2008 წელს მხოლოდ მთის-ტყის ზედა საზღვრის მცენარეების (რანგი-5) სიხშირე გაიზარდა სარწმუნოდ (ცხრ. 10)

ცხრილი 10. მცენარეთა რანგის სიხშირის ცვლილება 2001-2008 წლებში ცენტრალურ კავკასიონზე ( $P < 0.05$ , ↑- გაზრდა, ↓-შემცირება, z-სტანდარტული გადახრის ინდექსი)

| რანგი | ტენდენცია | z     | P            |
|-------|-----------|-------|--------------|
| 1     | ↓         | 0.899 | 0.217        |
| 2     | ↑         | 0.574 | 0.542        |
| 3     | ↑         | 0.167 | 0.753        |
| 4     | ↑         | 1.892 | 0.058        |
| 5     | ↑         | 2.561 | <b>0.012</b> |
| 6     | ↑         | 1.732 | 0.162        |

### 4.3. სახეობათა სიმდიდრე, მრავალფეროვნება და დაფარულობა

#### 4.3.1 სახეობათა სიმდიდრის ცვლილება

ცენტრალური კავკასიონის სამონიტორინგო ნაკვეთებზე 2001 წელს სახეობათა სიმდიდრე უფრო მაღალი იყო CP1 და CP2 მწვერვალებზე, ვიდრე მაღალ ჰიფსომეტრულ სიმაღლეზე (CP3, CP4) (ცხრ.11). 2008 წელს განმეორებითი აღრიცხვისას სახეობათა სიმდიდრე გაიზარდა როგორც ყველა მწვერვალზე, ისე საშუალოდ 1მ<sup>2</sup> ფართობებზეც.

2008 წელს განმეორებითი აღრიცხვისას დაფიქსირდა 15 „ახალი“ სახეობა, რომლებიც არ შეგვხვდნენ წინა აღრიცხვისას 2001 წელს. მხოლოდ ოთხი სახეობა არ იქნა განმეორებით აღმოჩენილი: ორი სახეობა CP2 მწვერვალზე - *Alchemilla chlorosericea* და *Euphrasia minima* და ასევე ორი CP3 -ზე: *Alchemilla sericata* და *Anthoxantum odoratum* (ცხრ. 11, 12).

ცხრილი 11. სახეობათა სიმდიდრე ოთხ მწვერვალზე, 1მ<sup>2</sup> ფართობებზე (საშუალო და სტანდარტული გადახრა). „ახალი“ და „დაკარგული“ სახეობების რაოდენობა


| მწვერვალი | სიმაღლე<br>ზღ. დ-დან<br>(მ) | სახეობების<br>რაოდენობა |      | სახეობების რაოდენობა (1მ <sup>2</sup> ) |              | „ახალი“<br>სახეობები | „დაკარგული“<br>სახეობები |
|-----------|-----------------------------|-------------------------|------|-----------------------------------------|--------------|----------------------|--------------------------|
|           |                             | 2001                    | 2008 | 2001                                    | 2008         |                      |                          |
| CP1       | 2240                        | 59                      | 63   | 12.5 ± 2.87                             | 15.5 ± 3.12  | 4                    | 0                        |
| CP2       | 2477                        | 71                      | 77   | 17.6 ± 3.29                             | 21.06 ± 3.17 | 8                    | 2                        |
| CP3       | 2815                        | 15                      | 13   | 9.12 ± 1.2                              | 10.8 ± 1.68  | 0                    | 2                        |
| CP4       | 3024                        | 29                      | 32   | 5.25 ± 2.5                              | 6.65 ± 3.2   | 3                    | 0                        |

| მწვერვალი | „ახალი“ სახეობები                                                                                                                                                                                                                            | „დაკარგული სახეობები“                                       |
|-----------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------|
| CP1       | <i>Cirsium obvallatum</i><br><i>Betulla litwinowii</i><br><i>Gentianella caucasea</i><br><i>Erigeron orientalis</i>                                                                                                                          | არ დაკარგულა სახეობები                                      |
| CP2       | <i>Daphne mezereum</i><br><i>Chaerophyllum aureum</i><br><i>Trifolium repens</i><br><i>Coeloglossum virida</i><br><i>Anemonastrum fasciculatum</i><br><i>Geranium ruprechtii</i><br><i>Trifolium canescens</i><br><i>Plantago lanceolata</i> | <i>Alchemilla chlorosericeae</i><br><i>Euphrasia minima</i> |
| CP3       | (no new taxa)                                                                                                                                                                                                                                | <i>Alchemilla sericata</i><br><i>Anthoxantum odoratum</i>   |
| CP4       | <i>Taraxacum porphyranthum</i><br><i>Scrophularia minima</i><br><i>Androsace albana</i>                                                                                                                                                      | არ დაკარგულა სახეობები                                      |

2008 წელს CP1 მწვერვალის ჩრდილოეთ ექსპოზიციაზე დაფიქსირდა *Betula litwinowii* (montane-treeline-alpine sp.), ხოლო სამხრეთ ექსპოზიციაზე *Cirsium obvallatum* და *Gentianella caucasea* (treeline-alpine sp.). CP2 მწვერვალზე ახალი სახეობების უმეტესობა შეგვხვდა ჩრდილოეთ ფერდობზე (*Daphne mezereum*, *Chaerophyllum aureum*, *Anemonastrum fasciculatum*, *Geranium ruprechtii*), ორი სახეობა იქნა აღმოჩენილი სამხრეთ ფერდობზე (*Trifolium repens*, *Coeloglossum viride*) და ორიც აღმოსავლეთ ექსპოზიციაზე (*Trifolium canescens*, *Plantago lanceolata*). CP4 მწვერვალის აღმოსავლეთ ექსპოზიციაზე აღმოჩნდა ორი „ახალი“ სახეობა (montane-treeline-alpine range) - *Taraxacum porphyranthum* და *Androsace albana*, დასავლეთ ფერდობზე კი-

*Scrophularia minima* (alpine-nival range). „ახალი“ სახეობების სიმაღლისა და ექსპოზიციის მიხედვით პროცენტული განაწილება მოცემულია მე-14 გრაფიკზე.

გრაფიკი 14. ახალი სახეობების პროცენტული განაწილება სამ მწვერვალზე (CP1, CP2, CP4) ექსპოზიციის მიხედვით (North-ჩრდილოეთი, East-აღმოსავლეთი, South-სამხრეთი, West-დასავლეთი)



„ახალი სახეობების“ რანგი ძირითადად იყო ტყის ზედა საზღვრისა და ალპური, მხოლოდ ერთი სახეობა-*Scrophularia minima* -იყო ალპურ-სუბნივალური.

სახეობათა სიმდიდრე მონიტორინგის პერიოდში (2001-2008) 1მ<sup>2</sup> ფართობებზე გაიზარდა 6.9-ით ქვედა ჰიფსომეტრულ სიმაღლეზე (CP1) და 1.5-ით ზედა მწვერვალზე (CP4). ჩვენს მიერ დადგინდა საწმუნო სწორხაზოვანი კავშირი სახეობათა სიმდიდრესა და ჰიფსომეტრულ სიმაღლეს შორის, სახეობათა სიმდიდრე მცირდება სიმაღლის ზრდასთან ერთად. ის დადებით კორელაციაშია ნიადაგის საშუალო ტემპერატურასა და GDD ინდექსსა. ეს დამოკიდებულება კარგად ჩანს კანონიკურ კომპონენტთა ანალიზის შედეგად მიღებული შედეგებით (ცხრ.13).

ცხრილი 13. პირსონის კორელაცია (Pearson's correlation) სახეობათა სიმდიდრეს, ნიადაგის საშუალო ტემპერატურას, GDD-სა და ჰიფსომეტრულ სიმაღლეს შორის.

|                   | სახეობათა<br>სიმდიდრე<br>1 მ <sup>2</sup> -ზე |                           | სიმაღლე<br>მ ზღ. დ-დან |                        | ნიადაგის<br>საშუალო<br>ტემპერატურა<br>(T°C) |                       |
|-------------------|-----------------------------------------------|---------------------------|------------------------|------------------------|---------------------------------------------|-----------------------|
|                   | 2001                                          | 2008                      | 2001                   | 2008                   | 2001                                        | 2008                  |
| სიმაღლე ზღ. დ-დან | -0.675<br><b>&lt;0.001</b>                    | -0.701<br><b>0.001</b>    |                        |                        |                                             |                       |
| საშუალო T°C       | 0.389<br><b>0.002</b>                         | 0.465<br><b>&lt;0.001</b> | -0.191<br><b>0.31</b>  | 0.719<br><b>0.001</b>  |                                             |                       |
| GDD               | 0.747<br><b>&lt;0.001</b>                     | 0.646<br><b>&lt;0.001</b> | -0.811<br><b>0.001</b> | -0.722<br><b>0.001</b> | 0.438<br><b>0.001</b>                       | 0.775<br><b>0.001</b> |

2008 წელს ბევრმა სახეობამ დაიკავა ახალი ფართობები (აღმოჩნდნენ იმ 1მ<sup>2</sup> ფართობებზე, სადაც წინა წელს არ დაფიქსირდნენ). აქედან მხოლოდ რვა სახეობისთვის აღმოჩნდა ეს მონაცემები სარწმუნო (ცხრ. 14). 3 სახეობის მიერ დაკავებული ფართობების რაოდენობა კი შემცირდა (*Deschampsia flexuosa* ( $P=0.042$ ), *Alchemilla sericata* ( $P=0.016$ ), *Alchemilla chlorosericea* ( $P=0.025$ )), მათ შორის მნიშვნელოვანი შემცირება მხოლოდ *Alchemilla sericata*-ას შემთხვევაში დაფიქსირდა.

ცხრილი 14. სახეობათა მიერ დაკავებული ფართობების რაოდენობის ცვლილება 2001-2008 წლებში. (*mo-tl-al* - მთის-ტყის ზედა საზღვრის-ალპური, *tl-al* - ტყის ზედა საზღვრის-ალპური, *al-sn* - ალპურ-სუბნივალური, *sn* - სუბნივალური.)


| სახეობა                         | სახეობათა რანგი | დაკავებული 18 <sup>2</sup> ფართ. რაოდენობა |      | SD       | P     |
|---------------------------------|-----------------|--------------------------------------------|------|----------|-------|
|                                 |                 | 2001                                       | 2008 |          |       |
| <b>გაზრდილი</b>                 |                 |                                            |      |          |       |
| <i>Campanula collina</i>        | tl-al           | 15                                         | 17   | 1.414214 | 0.039 |
| <i>Festuca woronowii</i>        | tl-al           | 18                                         | 19   | 0.707107 | 0.017 |
| <i>Poa alpina</i>               | tl-al           | 33                                         | 37   | 2.828427 | 0.039 |
| <i>Ranunculus oreophilus</i>    | tl-al           | 12                                         | 14   | 1.414214 | 0.048 |
| <i>Rhododendron caucasicum</i>  | tl-al           | 2                                          | 6    | 2.828427 | 0.029 |
| <i>Taraxacum confusum</i>       | tl-al           | 7                                          | 8    | 0.707107 | 0.042 |
| <i>Sibbaldia procumbens</i>     | al-sn           | 20                                         | 26   | 0.707107 | 0.015 |
| <i>Taraxacum stevenii</i>       | al-sn           | 24                                         | 21   | 1.414214 | 0.025 |
| <b>შემცირებული</b>              |                 |                                            |      |          |       |
| <i>Deschampsia flexuosa</i>     | mo-tl-al        | 8                                          | 7    | 0.707107 | 0.042 |
| <i>Alchemilla sericata</i>      | tl-al           | 29                                         | 17   | 2.485181 | 0.026 |
| <i>Alchemilla chlorosericea</i> | sn              | 13                                         | 12   | 0.707107 | 0.025 |

#### 4.3.2 სახეობრივი მრავალფეროვნების ინდექსი


მცენარეთა მრავალფეროვნება სამონიტორინგო ნაკვეთებზე გამოითვალა შენონ-ვინერის ინდექსით (H) და ევენსით (J). აღსანიშნავია, რომ ეს ორი მონაცემი 2001 და 2008 წლებში ვარირებდა სხვადასხვა ექსპოზიციაზე. კერძოდ, შენონ-ვინერის ინდექსის ცვლილება უფრო შესამჩნევი იყო მხოლოდ CP1 და CP2 მწვერვალებზე (გრაფ. 15 ა,ბ), ხოლო CP3 და CP4-ზე შენონ-ვინერის ინდექსი ორივე წელს იცვლებოდა მსგავსი ტენდენციით (გრაფ. 15 გ,დ) და მაღალი კორელაციით (CP3 /  $r = 0.684$ , CP4 /  $r = 0.955$ ).

გრაფიკი 15. შენონ-ვინერის ინდექსის ცვლილება 2001 (ლურჯი ხაზი) და 2008 (წითელი ხაზი) წლებში CP1-CP4 მწვერვალებზე(ა, ბ,გ,დ)


ა) CP1




ბ) CP2



გ) CP3




დ) CP4



მათემატიკურმა ანალიზმა აჩვენა ასევე სწორხაზოვანი კავშირი ინდექსის ცვლილებასა და სიმაღლის გრადიენტს შორის ( $R^2=0.898$ ,  $P=0.001$ ) (გრაფ.16). როგორც მოსალოდნელი იყო, მრავალფეროვნების ინდექსი უფრო მაღალი იყო დაბალ ჰიფსომეტრულ სიმაღლეზე (CP1, CP2), ვიდრე მაღალ მწვერვალებზე (CP3, CP4). 2001 წელთან შედარებით, 2008 წელს შენონ-ვინერის ინდექსის ცვლილება უმნიშვნელოა ოთხივე მწვერვალზე ( $P=0.006$ ).

გრაფიკი 16. შენონ-ვინერის ინდექსის ცვლილება ოთხ მწვერვალზე 2001 და 2008 წლებში (1-CP1, 2-CP2, 3-CP3, 4-CP4)



#### 4.3.3. ფლორისტული მსგავსების ინდექსი

სამონიტორინგო მწვერვალების ფლორისტული მსგავსების შედარებისთვის გამოვიყენეთ ჟაკარდის ინდექსი ( $S_j$ ). მიღებული მონაცემებიდან (ცხრ. 15) ჩანს, რომ ფლორისტული მსგავსება მწვერვალებს შორის არ არის მაღალი. შედარებით მაღალია მსგავსება CP1 და CP2 შორის, რაც ბუნებრივია, რადგან ამ მწვერვალების ჰიფსომეტრულ სიმაღლეებს შორის განსხვავება უფრო მცირეა, ვიდრე CP1 მწვერვალსა და CP3 ან CP4 მწვერვალებს შორის.

ცხრილი 15. ოთხი სამონიტორინგო მწვერვალის ფლორისტული მსგავსება გამოხატული ჟაკარდის ინდექსით

|     | CP1   | CP2   | CP3   | CP4 |
|-----|-------|-------|-------|-----|
| CP1 |       |       |       |     |
| CP2 | 0.546 |       |       |     |
| CP3 | 0.503 | 0.489 |       |     |
| CP4 | 0.473 | 0.503 | 0.494 |     |

|         | CP1   | CP2   | CP3&CP4 |
|---------|-------|-------|---------|
| CP1     |       |       |         |
| CP2     | 0.546 |       |         |
| CP3&CP4 | 0.488 | 0.496 |         |

|             | CP1   | CP2&CP3&CP4 |
|-------------|-------|-------------|
| CP1         |       |             |
| CP2&CP3&CP4 | 0.507 |             |

#### 4.3.4 სახეობათა დაფარულობის ცვლილება და დომინანტი სახეობები

ოთხივე მწვერვალის სამონიტორინგო ნაკვეთებზე აღრიცხული 138 სახეობიდან 68 სახეობას ორივე სამონიტორინგო წელს ეკავა არა ნაკლები სამი 1მ<sup>2</sup>-იანი ფართობისა. ამ სახეობებიდან სამონიტორინგო პერიოდში 17 სახეობის დაფარულობა შემცირდა, ხოლო ხუთი სახეობის - გაიზარდა (ცხრ. 16).

ცხრილი 16. სახეობათა დაფარულობის სარწმუნო ცვლილება 2001-2008 წლებში

| სახეობები                      | სახ.<br>რანგი | საშ./სტანდ.<br>გადახრა<br>2001 | საშ./სტანდ.<br>გადახრა.<br>2008 | პროცენტული<br>ცვლილება | P       |
|--------------------------------|---------------|--------------------------------|---------------------------------|------------------------|---------|
| <b>შემცირებული</b>             |               |                                |                                 |                        |         |
| <i>Alchemilla sericata</i>     | tl-al         | 10.14 ± 6.798                  | 4.18 ± 3.244                    | -58.83                 | 0.002   |
| <i>Deschapsia flexuosa</i>     | tl-al         | 8.01 ± 4.334                   | 5.97 ± 0.75                     | -25.47                 | 0.01    |
| <i>Festuca airoides</i>        | tl-al         | 7.4 ± 5 .372                   | 5.94 ± 0.355                    | -19.86                 | < 0.001 |
| <i>Festuca ovina</i>           | tl-al         | 25.44 ± 11.856                 | 24.53 ± 11.167                  | - 3.61                 | < 0.001 |
| <i>Potentilla crantzii</i>     | tl-al         | 2.9 ± 4.006                    | 2.25 ± 3.591                    | -12.17                 | < 0.001 |
| <i>Rhododendron caucasicum</i> | tl-al         | 2.1 ± 2.001                    | 1.4 ± 1.259                     | -28.5                  | 0.02    |
| <i>Cerastium purpurascens</i>  | tl-al         | 1.01 ± 0.023                   | 0.9 ± 0.244                     | -10.9                  | 0.001   |
| <i>Antennaria caucasica</i>    | al            | 2.27 ± 2.051                   | 2.09 ± 1.48                     | -7.6                   | < 0.001 |
| <i>Fritillaria lutea</i>       | al            | 1.1 ± 0.452                    | 0.48 ± 0.303                    | -52                    | 0.004   |
| <i>Kobresia capilliformis</i>  | al            | 8.25 ± 6.396                   | 4.6 ± 3.507                     | -44.25                 | 0.03    |
| <i>Leontodon hispidus</i>      | al            | 3.3 ± 1.861                    | 2.82 ± 1.099                    | -14.55                 | 0.015   |
| <i>Luzula spicata</i>          | al-sn         | 3.1 ± 2.309                    | 2.12 ± 1.866                    | -29.17                 | 0.01    |
| <i>Saxifraga exarata</i>       | al-sn         | 3 ± 2.898                      | 2.17 ± 2.001                    | -27.63                 | 0.03    |
| <i>Sibbaldia procumbens</i>    | al-sn         | 24.15 ± 9.926                  | 19.52 ± 8.318                   | -19.18                 | < 0.001 |
| <i>Taraxacum stevenii</i>      | al-sn         | 3.62 ± 2.901                   | 3.36 ± 2.704                    | -7.28                  | 0.006   |
| <i>Matricaria breviriata</i>   | sn            | 2.1 ± 1.673                    | 1.17 ± 1.099                    | -41.4                  | 0.01    |
| <i>Veronica telephiifolia</i>  | sn            | 2.33 ± 0.577                   | 2.1 ± 0.816                     | -14.27                 | 0.007   |

| გაზრდილი                        |              |              |              |       |       |
|---------------------------------|--------------|--------------|--------------|-------|-------|
| <i>Anthoxanthum odoratum</i>    | <i>tl-al</i> | 8.1 ± 8.701  | 9.75 ± 7.908 | 20.3  | 0.021 |
| <i>Gentiana septemfida</i>      | <i>tl-al</i> | 2.29±2.563   | 2.32±2.373   | 20.3  | 0.005 |
| <i>Carum caucasicum</i>         | <i>al</i>    | 2.76 ± 2.605 | 3.27 ±3.510  | 18.47 | 0.026 |
| <i>Alchemilla caucasica</i>     | <i>al-sn</i> | 3.6 ±1.673   | 4.2 ±2.564   | 16    | 0.04  |
| <i>Alchemilla chlorosericea</i> | <i>sn</i>    | 5.87 ± 2.525 | 6.25 ± 2.361 | 7.02  | 0.027 |


სახ. - სახეობა;  $\alpha=0.05$ ; *tl-al* - ტყის ზედა საზღვრის და ალპური ზონის სახ; *al* - ალპური სახ; *al-sn* - ალპურ-სუბნივალური სახ; *sn* - სუბნივალური.

მიღებული შედეგებიდან აღსანიშნავია, რომ დაფარულობა შემცირდა უფრო მეტად ტყის ზედა საზღვრის და ალპური რანგის სახეობებში, როგორცაა: *Alchemilla sericata* ( $P=0.002$ ), *Deschampsia flexuosa* ( $P=0.01$ ), *Festuca airoides* ( $P<0.001$ ), *Festuca ovina* ( $P<0.001$ ) და სხვა. რაც შეეხება იმ სახეობებს, რომელთა დაფარულობაც გაიზარდა, ხუთი სახეობიდან ერთი ალპურ-სუბნივალურია - *Alchemilla caucasica* ( $P=0.04$ ) და ერთიც ნივალური - *Alchemilla chlorosericea* ( $P=0.027$ ).

სხვადასხვა სახეობათა დაფარულობა კარგად ჩანს PC-ORD სტატისტიკური პროგრამის დომინანტობის ტესტით, რომელიც გამოჰყოფს დაფარულობის მიხედვით დომინანტ სახეობებს (გრაფ.17). ყველაზე მაღალი რანგია 1, ამ რანგის სახეობების სიმრავლისა და სიხშირის მაჩვენებლები მაღალია, უფრო ნაკლები სიმრავლის სახეობების რანგია 2 და ა.შ (ცხრ.17).

2001 წელს ოთხივე მწვერვალზე გამოიყო ის დომინანტი სახეობები, რომლებიც ხასიათდებიან სიმრავლის მაღალი რანგით (1-5), 2008 წელს ამ სახეობების სიმრავლის მაჩვენებელი არ შეცვლილა.

გრაფიკი 17. დაფარულობის მოხედვით დომინანტი სახეობები 2001 (ა) და 2008 (ბ) წელს (PCORD სტატისტიკური პროგრამის სახეობათა დომინანტობის ტესტი).




ცხრილი 17. დომინანტი სახეობების სიმრავლისა და სიხშირის რანგი 2001 და 2008 წლებში (PCORD სტატისტიკური პროგრამის სახეობათა დომინანტობის ტესტი).

| სახეობები                   | სიმრავლის<br>რანგი<br>2001 | სიმრავლის<br>რანგი<br>2008 | სიხშირი<br>ს რანგი | სიხშ. | სასუალო | SD     |
|-----------------------------|----------------------------|----------------------------|--------------------|-------|---------|--------|
| <b>CP1</b>                  |                            |                            |                    |       |         |        |
| Carex tristis               | 1                          | 1                          | 1                  | 13    | 9.906   | 8.948  |
| Empetrum nigrum             | 2                          | 2                          | 6                  | 4     | 5.187   | 11.956 |
| Festuca airoides            | 3                          | 3                          | 5                  | 9     | 4.094   | 6.563  |
| Bromus variegatus           | 4                          | 4                          | 6                  | 7     | 3.968   | 5.368  |
| Agrostis capillaris         | 5                          | 5                          | 12                 | 5     | 3.937   | 6.276  |
| <b>CP2</b>                  |                            |                            |                    |       |         |        |
| Festuca varia               | 1                          | 1                          | 7                  | 10    | 20.125  | 19.449 |
| Carex tristis               | 2                          | 2                          | 2                  | 14    | 12.200  | 3.228  |
| Poa alpina                  | 3                          | 3                          | 3                  | 13    | 9.000   | 7.659  |
| Anthoxanthum odoratum       | 4                          | 4                          | 13                 | 7     | 4.437   | 7.966  |
| Festuca airoides            | 5                          | 5                          | 8                  | 8     | 3.343   | 4.791  |
| <b>CP3</b>                  |                            |                            |                    |       |         |        |
| Sibbaldia procumbens        | 1                          | 1                          | 1                  | 16    | 23.750  | 8.690  |
| Carex tristis               | 2                          | 2                          | 2                  | 14    | 8.937   | 6.647  |
| Nardus stricta              | 3                          | 3                          | 4                  | 13    | 5.000   | 6.186  |
| Plantago atrata             | 4                          | 4                          | 5                  | 13    | 4.062   | 3.492  |
| Carum Caucasicum            | 5                          | 5                          | 3                  | 13    | 4.000   | 3.983  |
| <b>CP4</b>                  |                            |                            |                    |       |         |        |
| Festuca varia               | 1                          | 1                          | 3                  | 8     | 7.062   | 11.636 |
| Alchemilla<br>chlorosericea | 2                          | 2                          | 1                  | 12    | 4.562   | 3.794  |
| Carex tristis               | 3                          | 3                          | 2                  | 10    | 3.937   | 4.654  |
| Anthemis iberica            | 4                          | 4                          | 6                  | 6     | 1.312   | 2.750  |
| Alchemilla retinervis       | 5                          | 5                          | 7                  | 4     | 1.218   | 2.750  |

როგორც მე-17 ცხრილიდან ჩანს, CP1 და CP2 მწვერვალებზე დომინანტი სახეობები ძირითადად მარცლოვნები არიან. მაღალ მწვერვალებზე ეს სურათი იცვლება. მხოლოდ ორი სახეობაა მარცლოვანი: *Nardus stricta* (RankAbun-3) CP3-ზე და *Festuca varia* (RankAbun-1)-CP4-ზე. აღსანიშნავია, რომ როგორც 2001, ისე 2008 წელს ოთხივე მწვერვალზე *Carex tristis*-ის სიმრავლის რანგი საკმაოდ მაღალი იყო. (1-3). ეს კარგად ჩანს სტატისტიკური ტესტის შედეგად მიღებული ცხრილიდან (ცხრ. 17). მონიტორინგის პერიოდში მცირედით შეიცვალა საკმაოდ დაბალი სიმრავლის რანგის მქონე სახეობების სიმრავლის მაჩვენებელი. მაგ: CP1 მწვერვალზე *Hieracium pannoniciforme*-ის სიმრავლის რანგი გაიზარდა 50-დან 52-მდე, *Cicebrita racemosa*-ს კი 49-დან 51-მდე. CP2-ზე *Luzula multiflora*-ის სიმრავლის რანგი იცვლება 66-დან 63-მდე, ხოლო *Rumex alpinus*-ის კი 66-დან 59-მდე. ასევე მნიშვნელოვნად არ შეცვლილა ენდემური სახეობების (*Veronica telephiifolia*, *Draba hispida*, *Rhododendron caucasicum*, *Dryas caucasica*) სიმრავლის რანგი.

მონიტორინგის პერიოდში თითქმის არ შეცვლილა კლასტერების საერთო დაფარულობა (გრაფ.18 ა, ბ, გ, დ). აღნიშნული მონაცემის უმნიშვნელო ცვლილება ძირითადად დაფიქსირდა CP1 ( $r=0.901$ ,  $P<0.001$ ) და CP2 ( $r = 0.823$ ,  $P<0.001$ ) მწვერვალზე. უფრო მაღალ ჰიფსომეტრულ სიმაღლეზე (CP3 და CP4) კლასტერების საერთო დაფარულობა 2008 წელს თითქმის არ იცვლება და კორელაციის კოეფიციენტიც უფრო მაღალია ( $r = 0.982$ ,  $r = 0.999$ ), ვიდრე დაბალ სიმაღლეზე.

გრაფიკი 18. კლასტერების საერთო დაფარულობის ცვლილება 2001-2008 წელს CP1-CP4 მწვერვალებზე. (ა)-CP1, ბ)-CP2, გ)-CP3, დ)-CP4




#### 4.4. მცენარეულობის თერმული ინდიკატორი ( $S$ ), თერმოფილიზაციის ინდექსი ( $D$ ) და ორდინაციული ანალიზი

სახეობათა დაფარულობიდან თვითოეული კლასტერისთვის გამოითვალა მცენარეულობის თერმული ინდიკატორი  $S$  და თერმოფილიზაციის ინდექსი  $D$ . მონიტორინგის პერიოდში თერმული ინდიკატორი ვარირებდა როგორც


ექსპოზიციის (გრაფ.19 ა, ბ), ისე წლების მიხედვით (გრაფ.21). მისი ცვლილება სანდოა  $1\text{მ}^2$  ფართობებზე ( $t = 3.2$ ,  $df = 63$ ,  $P = 0.002$ ).

გრაფიკი 19. S ინდექსის ცვლილება 2001 (ა) და 2008 (ბ) წლებში ოთხ მწვერვალზე ექსპოზიციის მიხედვით.

ა)




ბ)



2001 და 2008 წლის მონაცემების შედარების შედეგად მივიღეთ, რომ 2008 წელს მცენარეულობის თერმული ინდიკატორი შემცირდება თითქმის ყველა მწვერვალზე.

გრაფიკი 20. მცენარეულობის თერმული ინდიკატორის (S) ცვლილება ოთხ მწვერვალზე (CP1-CP4), მუქი ხაზი-2001 წლის მონაცემები, ნაცრისფერი-2008.




რეგრესიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ 2001 და 2008 წლებში D ინდექსი ასევე ვარირებდა სხვადასხვა ექსპოზიციასზე და მისი ცვლილების ტენდენცია უარყოფითი იყო ( $r = -0.241$ ,  $F = 1.877$ ,  $b_1 = -0.030$ ,  $P = 0.073$ ) (გრაფ. 21, ცხრ. 18), თუმცა ნაკლებად სარწმუნო.

ცხრილი 18. სიმაღლის გრადიენტის მიხედვით თერმოფილიზაციის ინდიკატორის ცვლილების სტატისტიკური ცხრილი

| მწვერვალი | საშუალო | სტანდ.გად. | სტანდ. შეც. | მინიმუმი | მაქსიმუმი |
|-----------|---------|------------|-------------|----------|-----------|
| CP1       | -0.1063 | 0.4029     | 0.1007      | -0.92    | 0.48      |
| CP2       | -0.0412 | 0.1746     | 0.0436      | -0.39    | 0.32      |
| CP3       | -0.4800 | 0.5451     | 0.1362      | -1.76    | 0.81      |
| CP4       | 0.0388  | 0.3446     | 0.0537      | -0.35    | 1.03      |

გრაფიკი 21. მცენარეულობის თერმული ინდიკატორის ინდექსის ცვლილება 2001 და 2008 წლებში..





ორდინაციული ანალიზის საშუალებით დადგინდა, რომ S ინდექსი დადებით კორელაციაშია GDD-სა და ივნისის მინიმალურ ტემპერატურის ცვლილებასთან (June mean of daily  $T^{\circ}\text{C}$ ). კორელაციის ცხრილში (ცხრ. 19) და ორდინაციულ გრაფიკებზე (გრაფ. 22) კარგად ჩანს ეს დამოკიდებულება.

ცხრილი 19. კორელაცია S ინდექსსა და სხვა ეკოლოგიურ მახასიათებლებს შორის

|                                      | S ინდექსი | GDD   | ნიადაგის საშ.<br>$T^{\circ}\text{C}$ | ივნისის მინ.<br>$T^{\circ}\text{C}$ |
|--------------------------------------|-----------|-------|--------------------------------------|-------------------------------------|
| S ინდექსი                            | 1.000     | 0.576 | 0.462                                | 0.686                               |
| GDD                                  | 0.576     | 1.000 | 0.688                                | 0.426                               |
| ნიადაგის საშ.<br>$T^{\circ}\text{C}$ | 0.426     | 0.688 | 1.000                                | 0.440                               |
| ივნისის მინ.<br>$T^{\circ}\text{C}$  | 0.686     | 0.426 | 0.440                                | 1.000                               |

გრაფიკი 22. კანონიკურ (ანუ სტანდარტულ) კომპონენტთა ანალიზი (CCA). მცენარეულობის თერმოფილური ინდიკატორისა (S) და სხვა ეკოლოგიური მახასიათებლების დამოკიდებულების გრაფიკები. (Thermic vegetation indicator- მცენარეულობის თერმული ინდიკატორი. June mean of daily minimum - ივნისის მინიმალური ტემპერატურა, GDD-ზრდის სეზონის ხანგრძლივობა).



#### 4.5. ინდიკატორი სახეობები

სტატისტიკური პროგრამის ინდიკატორ სახეობათა ანალიზის (Indicator Species Analysis) გამოყენებით თვითოეულ სიმაღლეზე გამოიყო კონკრეტული ექსპოზიციის

ინდიკატორი სახეობები (ცხრ.20). 2001 წელს CP1 მწვერვალზე სამი სახეობა (*Empetrum nigrum*, *Vaccinium vitis-idaea*, *Hieracium pilosella*) გამოიყო როგორც ჩრდილოეთ ექსპოზიციის ინდიკატორი. ხოლო ერთი (*Vicia cracca*)-დასავლეთ ფერდობის. ჩრდილოეთ ფერდობზე აღნიშნული სახეობები ფარავენ 1მ<sup>2</sup> ფართობების 100%, *Vicia cracca* კი ფარავს დასავლეთ ექსპოზიციის ფართობების 75 %. ინდიკატორული მაჩვენებელი ამ სახეობებისთვის არის მაღალი 75-100 და სარწმუნოების კოეფიციენტიც ნაკლებია 0.05-ზე. CP2 მწვერვალზე ოთხი სახეობა გამოიყო როგორც ჩრდილოეთ ექსპოზიციის ინდიკატორი (*Carex atrata*, *Matricaria braviradiata*, *Sibbaldia procumbens* და *Luzula stenophylla*), ხოლო ორი სახეობა-*Geranium ibericum* Cav. და *Trifolium trichocephalum* - როგორც სამხრეთ ფერდობის ინდიკატორი. CP3 მწვერვალზე არ დაფიქსირდა ინდიკატორი სახეობები. CP4-ზე კი მხოლოდ ერთი სახეობა- *Veronica telephiifolia* - გამოიყო როგორც დასავლეთ ექსპოზიციის ინდიკატორი. 2008 წელს ინდიკატორი სახეობების ინდიკატორული მაჩვენებელი თითქმის არ შეცვლილა, მხოლოდ CP2 მწვერვალის დასავლეთ ექსპოზიციაზე გამოიყო ახალი ინდიკატორი სახეობა - *Campanula tridentata*.

ცხრილი 20. ოთხ მწვერვალის (CP1, CP2, CP3, CP4) ოთხ ექსპოზიციაზე (აღ. ჩრდ. სამხ. დას.) სახეობების ფარდობითი რაოდენობა (%) და ფარდობითი სიხშირე (%)

| სახეობები                    | ფარდობითი რაოდენობა (%) |     |      |       |      | ფარდობითი სიხშირე (%) |     |      |       |      | მონტე-კარლოს ტესტი |      |       |        |
|------------------------------|-------------------------|-----|------|-------|------|-----------------------|-----|------|-------|------|--------------------|------|-------|--------|
| CP1                          | ექსპოზიცია              |     |      |       |      | ექსპოზიცია            |     |      |       |      |                    |      |       |        |
|                              | მაქ.                    | აღ. | ჩრდ. | სამხ. | დას. | მაქ.                  | აღ. | ჩრდ. | სამხ. | დას. | ინდ. მაჩ.          | საშ. | SD    | P      |
| <i>Deschapsia flexuosa</i>   | 80                      | 80  | 20   | 0     | 0    | 100                   | 100 | 50   | 0     | 0    | 79.9               | 30/8 | 13.23 | 0.0086 |
| <i>Trifolium ambiguum</i>    | 66                      | 66  | 17   | 17    | 0    | 100                   | 100 | 100  | 75    | 0    | 66.1               | 40.5 | 12.33 | 0.0462 |
| <i>Taraxacum confusum</i>    | 81                      | 81  | 0    | 19    | 0    | 75                    | 75  | 0    | 25    | 0    | 61.1               | 29   | 15.08 | 0.0888 |
| <i>Empetrum nigrum</i>       | 100                     | 0   | 100  | 0     | 0    | 100                   | 0   | 100  | 0     | 0    | 100                | 28.2 | 14.95 | 0.0034 |
| <i>Vaccinium vitis-idaea</i> | 100                     | 0   | 100  | 0     | 0    | 100                   | 0   | 100  | 0     | 0    | 100                | 28   | 14.71 | 0.0034 |
| <i>Hieracium pilosella</i>   | 100                     | 0   | 100  | 0     | 0    | 75                    | 0   | 75   | 0     | 0    | 75                 | 25.2 | 14.19 | 0.0276 |
| <i>Euphrasia hirtella</i>    | 91                      | 0   | 5    | 91    | 5    | 100                   | 0   | 25   | 100   | 25   | 90.9               | 31.9 | 13.88 | 0.001  |
| <i>Bromus variegatus</i>     | 61                      | 0   | 2    | 61    | 36   | 100                   | 0   | 25   | 100   | 50   | 61.4               | 30.4 | 11.73 | 0.028  |
| <i>Potentilla crantzii</i>   | 83                      | 0   | 0    | 83    | 17   | 75                    | 0   | 0    | 75    | 25   | 62.5               | 27.5 | 13.92 | 0.0788 |
| <i>Vicia cracca</i>          | 100                     | 0   | 0    | 0     | 100  | 100                   | 0   | 0    | 0     | 100  | 100                | 26.6 | 13.01 | 0.0034 |

| სახეობები                      | ფარდობითი რაოდენობა (%) |     |      |       |      | ფარდობითი სიხშირე (%) |     |      |       |      | მონტე-კარლოს ტესტი |             |           |          |
|--------------------------------|-------------------------|-----|------|-------|------|-----------------------|-----|------|-------|------|--------------------|-------------|-----------|----------|
| <b><i>CP1</i></b>              | ექსპოზიცია              |     |      |       |      | ექსპოზიცია            |     |      |       |      | <i>ინდ.მაჩ.</i>    | <i>საშ.</i> | <i>SD</i> | <i>P</i> |
|                                | მაქ.                    | აღ. | ჩრდ. | სამხ. | დას. | მაქ.                  | აღ. | ჩრდ. | სამხ. | დას. |                    |             |           |          |
| <i>Carex tristis</i>           | 50                      | 3   | 17   | 30    | 50   | 100                   | 25  | 100  | 100   | 100  | 50.5               | 35          | 6.85      | 0.026    |
| <i>Alchemilla caucasica</i>    | 100                     | 0   | 0    | 0     | 100  | 75                    | 0   | 0    | 0     | 75   | 75                 | 25.6        | 14.14     | 0.0304   |
| <b>CP2</b>                     |                         |     |      |       |      |                       |     |      |       |      |                    |             |           |          |
| <i>Potentilla crantzii</i>     | 85                      | 85  | 0    | 0     | 15   | 100                   | 100 | 0    | 0     | 50   | 84.7               | 35.7        | 15.87     | 0.0176   |
| <i>Carex atrata</i>            | 100                     | 0   | 100  | 0     | 0    | 100                   | 0   | 100  | 0     | 0    | 100                | 28.7        | 14.74     | 0.0026   |
| <i>Matricaria breviradiata</i> | 100                     | 0   | 100  | 0     | 0    | 100                   | 0   | 100  | 0     | 0    | 100                | 32.8        | 15.59     | 0.0026   |
| <i>Sibbaldia procumbens</i>    | 100                     | 0   | 100  | 0     | 0    | 100                   | 0   | 100  | 0     | 0    | 100                | 26.2        | 12.61     | 0.0026   |
| <i>Anthoxanthum odoratum</i>   | 80                      | 20  | 80   | 0     | 0    | 100                   | 75  | 100  | 0     | 0    | 80.3               | 32.9        | 13.29     | 0.0126   |
| <i>Festuca airoides</i>        | 68                      | 21  | 68   | 0     | 11   | 100                   | 50  | 100  | 0     | 50   | 68.2               | 32.8        | 12.05     | 0.0136   |
| <i>Veronica gentianoides</i>   | 64                      | 12  | 64   | 0     | 24   | 100                   | 25  | 100  | 0     | 25   | 64.3               | 29.2        | 12.28     | 0.0254   |

| სახეობები                       | ფარდობითი რაოდენობა (%) |     |      |       |      | ფარდობითი სიხშირე (%) |     |      |       |      | მონტე-კარლოს ტესტი |      |       |        |
|---------------------------------|-------------------------|-----|------|-------|------|-----------------------|-----|------|-------|------|--------------------|------|-------|--------|
| CP2                             | ექსპოზიცია              |     |      |       |      | ექსპოზიცია            |     |      |       |      | ინდ.მაჩ            | საშ. | SD    | P      |
|                                 | მაქ.                    | აღ. | ჩრდ. | სამხ. | დას. | მაქ.                  | აღ. | ჩრდ. | სამხ. | დას. |                    |      |       |        |
| <i>Luzula stenophylla</i>       | 100                     | 0   | 100  | 0     | 0    | 75                    | 0   | 75   | 0     | 0    | 75                 | 26   | 14.51 | 0.0266 |
| <i>Agrostis capillaris</i>      | 85                      | 0   | 85   | 0     | 15   | 75                    | 0   | 75   | 0     | 25   | 63.6               | 26.5 | 12.77 | 0.0294 |
| <i>Geranium ibericum</i>        | 100                     | 0   | 0    | 100   | 0    | 100                   | 0   | 0    | 100   | 0    | 100                | 28.3 | 14.09 | 0.0024 |
| <i>Trifolium trichocephalum</i> | 100                     | 0   | 0    | 100   | 0    | 75                    | 0   | 0    | 75    | 0    | 75                 | 29.1 | 14.03 | 0.0272 |
| <i>Fritillaria lutea</i>        | 79                      | 21  | 0    | 0     | 79   | 100                   | 25  | 0    | 0     | 100  | 79.2               | 28.7 | 13.02 | 0.0078 |
| <i>Carex tristis</i>            | 44                      | 29  | 8    | 19    | 44   | 100                   | 100 | 75   | 75    | 100  | 43.5               | 33.9 | 5.14  | 0.0446 |
| CP4                             |                         |     |      |       |      |                       |     |      |       |      |                    |      |       |        |
| <i>Alchemilla retinervis</i>    | 97                      | 97  | 0    | 3     | 0    | 75                    | 75  | 0    | 25    | 0    | 73.1               | 27.4 | 14.67 | 0.0284 |
| <i>Veronica telephiifolia</i>   | 100                     | 0   | 0    | 0     | 100  | 75                    | 0   | 0    | 0     | 75   | 75                 | 25   | 14.27 | 0.0288 |
| <i>Festuca woronowii</i>        | 65                      | 65  | 11   | 24    | 0    | 100                   | 100 | 25   | 75    | 0    | 65.5               | 35.2 | 13.35 | 0.0498 |

## დისკუსია

თანამედროვე მსოფლიოში კლიმატის გლობალური ცვლილება (დათბობა) და მისი გავლენა მაღალმთის მცენარეულობის მრავალფეროვნებაზე ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური ეკოლოგიური პრობლემაა და განსაკუთრებული დისკუსიის საგანია. დღეს არსებული მდგომარეობით, ჩრდილო - დასავლეთ ევროპაში 1971-2000 წელს ჰაერის ტემპერატურამ მოიმატა  $1.54^{\circ}\text{C}$ -ით. ამასთან ერთად ამ რეგიონში აღინიშნა ატმოსფერული ნალექების მატება, ხოლო სამხრეთ ევროპაში-პირიქით ნალექი შემცირდა (დაახლოებით 20%-ით). სხვადასხვა საპროგნოზო მოდელების თანახმად 2031-2060 წწ ევროპაში ჰაერის ტემპერატურა მოიმატებს  $2.1^{\circ}\text{C}$ -დან  $4.4^{\circ}\text{C}$  -მდე, ხოლო მთელ დედამიწაზე 2100 წლისთვის ჰაერის ტემპერატურის მატება იქნება საშუალოდ  $1.5^{\circ}\text{C}$  -დან  $5.6^{\circ}\text{C}$ -მდე (Schöter et al., 2005, Vautard et al., 2014). ზამთრის ტემპერატურის ცვლილება გავლენას მოახდენს მცენარეებზეც. ვარაუდობენ, რომ პატარა მცენარეები გაქრება, ხოლო დიდი მცენარეების არეალი შემცირდება 30% -ით (Schneeberger et al., 2003). საქართველოში ინტენსიური დათბობა დაფიქსირდა 1982-2003 წწ და ჰაერის ტემპერატურამ მოიმატა საშუალოდ  $0.8^{\circ}\text{C}$ -ით (Elizbarashvili, 2010).

მრავალმა კვლევამ და მათ შორის, მსოფლიოს 47 ქვეყანაში GLORIA-ს პროექტის ფარგლებში ჩატარებულმა მონიტორინგის პირველმა ციკლმა (2001–2008 წწ) ნათლად აჩვენა, რომ კლიმატის მიმდინარე გლობალურმა ცვლილებამ უკვე გამოიწვია მაღალმთის მცენარეული მრავალფეროვნების მეტ-ნაკლებად გამოხატული ცვლილება: სახეობათა მიგრაცია და ცივი ჰაბიტატების ზოგიერთი სახეობის რადიკალური შემცირება ან საერთოდ გაქრობა (Sætersdal, Birks, 1997; Gottfried et al., 1998; Gottfried et al., 2007, 2012; Pauli et al., 2012).

გარემოს ნებისმიერი ცვლილება ნიშნავს, რომ ადგილობრივი ბუნებრივი პოპულაცია ან შეეგუება ახალ პირობებს, ან ნიშიდან ამოვარდება – მიგრირდება, ან საერთოდ გადაშენდება. კონკურენციას გაუძლებს და გადარჩება ისეთი სახეობა, რომელიც უფრო ეფექტიანად გამოიყენებს გარემოს უმთავრეს რესურსებს (Körner, 2003, 2009, 2014). ტაქსონების უმეტესობას შესწევს უნარი ადვილად გაუმკლავდეს გარემოს რამდენიმე გრადუსით დათბობას (Spehn, Rudmann-Maurer, 2010). მაღალმთის

სახეობათა მძლავრი ბუნებრივი ინერციიდან გამომდინარე, კლიმატის 1–2°C-ით დათბობა ალპურ მცენარეულობაში გამოიწვევს მხოლოდ მცირე მოკლევადიან ცვლილებებს (Theurillat, Guisan, 2001). ცნობილია, რომ მაღალმთის სახეობები გენეტიკური მრავალფეროვნების მაღალი დონით გამოირჩევიან, რაც ახალი პირობებისადმი წარმატებული ადაპტაციის კარგ წინაპირობად განიხილება. თუმცა ფენოტიპური ადაპტაციები (ფიზიოლოგიურ დონეზე) ვერ უზრუნველყოფენ ევოლუციურ ადაპტაციას. კლიმატის ცვლილების შედარებით ხანმოკლე პერიოდში ტაქსონების ევოლუცია, რა თქმა უნდა, ვერ მოხდება. აკლიმაცია კი ვერ უზრუნველყოფს ახალ პირობებთან შეგუებას და მიგრაცია გახდება გარდაუვალი. იმ შემთხვევაში კი, თუ მიგრაცია შეუძლებელი იქნება – სახეობა ჰაბიტატიდან გაქრება (Grabherr et al., 1994; Theurillat, Guisan, 2001; Körner, Sphen, 2002; Walter et al., 2002). თუკი გავითვალისწინებთ ზომიერი სარტყლის მაღალმთაში (მაგ., ევროპის ალპებში) მცენარეთა ვერტიკალური გადაადგილების ძალიან დაბალ სიჩქარეს (10 მ/25 წ) (Steinger et al., 1996; Körner, 2003), ეკოსისტემებში მცენარეთა შორის ურთიერთობების დამყარებას და ამით ახალი მცენარეული თანასაზოგადოებების ჩამოყალიბებას ასწლეულები დასჭირდება. კლიმატის შეცვლა უფრო სწრაფად ხდება (და მოხდება), ვიდრე მცენარეთა შორის ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბება. ამიტომ დღევანდელი სახით არსებული ხანგრძლივი ევოლუციის შედეგად ჩამოყალიბებული ურთიერთობები აღარასდროს აღდგება. ვინაიდან ყოველი სახეობა გარემოს ცვლილებებს პასუხობს ინდივიდუალურად, უფრო მეტად უნდა მოველოდეთ ახალი თანასაზოგადოებების ჩამოყალიბებას, ვიდრე უკვე არსებულთა მიგრაციას (Körner, 1992, Grabherr et al., 1994; Larcher, 1995; Theurillat, 1995; Sala et al., 2000; Holten, 2003; Osenda, Borel, 2003; Walter et al., 2005a, b).

საფრთხეში მყოფი და ენდემური სახეობები განსაკუთრებით სენსიტიურთა კატეგორიას განეკუთვნებიან. ნაკლებად მობილური სახეობები (მაგ., ვეგეტატიური გამრავლების მქონე) გამოამჟღავნებენ დაგვიანებულ რეაქციას და ცვლილებებს უპასუხებენ ძალიან ნელა. მათი შემდგომი ბედი დამოკიდებული იქნება სასურველი მიკროკლიმატის მქონე მიკროჰაბიტატების მრავალფეროვნებაზე და შესაბამისად, „ხელმისაწვდომობაზე“ (Spehn, Rudmann-Maurer, 2010). სწორედ ამიტომ მაღალმთაში

კლიმატის ცვლილებით გამოწვეული სახეობათა მიგრაციის ყველა მოდელი სირთულეს აწყდება: ერთი მხრივ, ძლიერ დანაწევრებული რელიეფის გამო რთულია მიკროჰაბიტატების პირობების ადექვატური გათვალისწინება, მაგრამ, მეორე მხრივ, მაღალმთაში (განსაკუთრებით ალპური სარტყლის ზედა ნაწილში და სუბნივალურ/ნივალურ სარტყლებში) სწორედ ეკოლოგიური ნიშების უდიდესი მრავალფეროვნება იქნება ის ე.წ. მაშველი რგოლი, რომელიც მრავალ ტაქსონს გადარჩენის შანსს მისცემს. ევროპის ალპებში ახალმა თერმოგრაფულმა კვლევებმა (Scherrer, Körner, 2010, 2011; Scherrer et al., 2010) აჩვენა, რომ გლობალური კლიმატის  $2^{\circ}\text{C}$ -ით დათბობის პირობებში ჰაბიტატის დღეს არსებული ყველა ტიპის მხოლოდ 4% დაიკარგება. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად შემცირდება ცივი ჰაბიტატების ფართობი, რაც იმას ნიშნავს, რომ მომავალში მეტი სახეობისთვის ნაკლები სასიცოცხლო სივრცე იქნება.

2001-2008 წლებში GLORIA-ს პროექტის ფარგლებში ცენტრალური კავკასიონზე ჩატარებულმა მონიტორინგის ანალიზმა გამოავლინა ნიადაგის საშუალო ტემპერატურის, მცენარეთა დაფარულობისა და სიხშირის ცვლილება. ნიადაგის საშუალო წლიური ტემპერატურა 2001-2008 წწ იცვლებოდა სარწმუნოდ ( $P < 0.0001$ ), ყველაზე მაღალი ტემპერატურა დაფიქსირდა 2002 წელს, შემდეგ დაიკლო და უფრო სტაბილური გახდა. აღსანიშნავია, რომ 2002 წელს ამ მონაცემის განსხვავება ქვედა ჰიფსომეტრულ სიმაღლეს (CP1-2240 მ. ზღ.დ.) და ზედა სიმაღლეს (CP4-3024 მ. ზღ.დ.) შორის იყო მხოლოდ  $0.04^{\circ}\text{C}$ . როცა ამ განსხვავება უფრო ცივ 2005 წელს შეადგინა  $3.1^{\circ}\text{C}$ . ნიადაგის ტემპერატურა ასევე იცვლებოდა ექსპოზიციის მიხედვით, იგი უფრო მაღალი იყო სამხრეთ ფერდობზე, ვიდრე ჩრდილოეთზე. უფრო მნიშვნელოვანია, თუ როგორ იცვლებოდა სამონიტორინგო პერიოდში ნიადაგის საშუალო წლიური მინიმალური ტემპერატურა, რადგან ზამთრის ტემპერატურის ზრდა და მასთან დაკავშირებული თოვლის საფრის ხანგრძლივობის შემცირება დიდ გავლენას ახდენს მცენარეთა ვეგეტაციაზე (Körner, 1992, 1999). ზოგადად თოვლის საფარი მკაცრად განსაზღვრავს მაღალმთაში მცენარეთა განაწილებას. აღსანიშნავია, რომ ფოთლის ზრდა იწყება თოვლის დნობის შემდეგ 1-8 დღის ინტერვალში, ხოლო აღმონაცენის გაზრდას სჭირდება 5-16 დღე. ზამთრის ტემპერატურის მატებით

გამოწვეული თოვლის საფრის ხანგრძლივობის შემცირება უშუალოდ მოქმედებს იმ სახეობებზე, რომელთა განვითარება თოვლის დნობას მინიმალური დაგვიანებით მოსდევს.

ბოლო მონაცემებით (<http://www.eea.europa.eu/data-and-maps/indicators/snow-cover-2/assessment>) თოვლის საფრის ხანგრძლივობა ჩრდილოეთ ნახევარსფეროში შემცირდა ბოლო 90 წლის განმავლობაში, განსაკუთრებით მკვეთრად 1980 წლიდან. თოვლის მასა 1982-2012 წწ შემცირდა 7%-ით მარტის თვეში.

აღმოჩნდა, რომ ნიადაგის საშუალო წლიური მინიმალური ტემპერატურა 2001-2008 წწ თითქმის არ შეცვლილა, მხოლოდ CP1 მწვერვალზე აღინიშნა მცირე სარწმუნო მატება ( $P < 0.001$ ). მონიტორინგის პერიოდში GLORIA-ს პროექტში ჩართული რეგიონებიდან, ზოგ რეგიონში დაფიქსირდა ნიადაგის საშუალო ტემპერატურის შესამჩნევი მატება (ალპები, ხმელთაშუაზღვის რეგიონი) (Reginster et al., 2005; Pauli et al., 2007, 2012), ზოგან კი მცირე ცვლილებას ჰქონდა ადგილი. მაგალითად, 2001-2008 წწ ნიადაგის საშუალო წლიურმა ტემპერატურამ უმნიშვნელოდ მოიმატა ნორვეგიის მთიანეთში, თუმცა აქ ზამთრის ტემპერატურა საგრძნობლად გაიზარდა (Michelsen et al., 2011).

ცენტრალურ კავკასიონზე სამონიტორინგო პერიოდში ასევე არ მომატებულა ივნისის თვის ნიადაგის მინიმალური ტემპერატურა ( $t = -1.85$ ,  $df = 69$ ,  $P < 0.001$ ). ეს თვე და ეს მონაცემი მნიშვნელოვანია, რადგან ივნისის თვეში იწყება უმეტეს მცენარეთა ვეგეტაცია.

GDD კვლევამ არ გვიჩვენა ზრდის ტენდენცია. ეს მონაცემი ვარირებდა წლებისა ( $t = 0.21$ ,  $df = 13$ ,  $P = 0.089$ ) და ექსპოზიციის მიხედვით ( $P < 0.001$ ). რა თქმა უნდა სამხრეთ ფერდობზე დაფიქსირდა უფრო ხანგრძლივი ზრდის პერიოდი, ვიდრე ჩრდილოეთზე. ივნისის ნიადაგის საშუალო ტემპერატურა და GDD დადებით კორელაციაშია ნიადაგის საშუალო ტემპერატურასთან, ამიტომ ამ მონაცემების ცვლილებას წლების მიხედვით დიდი მნიშვნელობა აქვს მოცემულ რეგიონში კლიმატის ცვლილების ზოგადი სურათის მისაღებად.

2001-2008 წწ სამონიტორინგო მწვერვალებზე დაფიქსირდა სახეობათა დაფარულობისა და სიხშირის ცვლილება. ჩვენი ერთ-ერთ მიზანი იყო გაგვერკვია,

რამდენად იყო დაკავშირებული აღნიშნული ცვლილებები ნიადაგის ტემპერატურის ცვლილებასთან. სამონიტორინგო პერიოდში სახეობათა რაოდენობა გაიზარდა როგორც მწვერვალებზე (11.2 -დან 13.5-მდე) ( $t = 2.9$ ,  $df = 63$ ,  $P = 0.001$ ), ისე 18<sup>2</sup> ფართობებზე (6.9-ით ქვედა ჰიფსომეტრულ სიმაღლეზე (CP1) და 1.5-ით ზედა მწვერვალზე (CP4). გამოვლინდა სარწმუნო სწორხაზოვანი კავშირი სახეობათა სიმდიდრესა და ჰიფსომეტრულ სიმაღლეს შორის. სახეობათა სიმდიდრე ასევე დადებით კორელაციაშია ნიადაგის საშუალო ტემპერატურას, GDD ინდექსსა და სხვა ეკოლოგიურ ფაქტორებთან .

2008 წელს სახეობათა განმეორებითი მონიტორინგისას აღმოჩნდა 15 “ახალი სახეობა”, რომლებიც 2001 წელს არ შეგვხვდნენ. მხოლოდ 4 სახეობა ვერ იქნა აღრიცხული 2008 წელს. “ახალი სახეობები” ძირითადად უპირატესობას ანიჭებდნენ სამხრეთ და აღმოსავლეთ ექსპოზიციას, სადაც უფრო მაღალია ნიადაგის ტემპერატურა, მინერალიზაციის სიჩქარე და ნიადაგი უკეთესადაა განვითარებული (Erschbamer et al., 2009). ზოგადად ალპურ სარტყელში ასპექტი მნიშველოვან როლს თამაშობს სახეობათა განსახლებასა და მიგრაციაში. ბოლო შემაჯამებელი კვლევის შედეგად (Winkler et al., 2016) ევროპის გლობალურ მწვერვალებზე ტემპერატურული ჯამი და სახეობათა სიმდიდრე ზომიერ სარტყელში უფრო მაღალი იყო აღმოსავლეთ და სამხრეთ ფერდობებზე ვიდრე ჩრდილოეთ და დასავლეთ ექსპოზიციაზე, ასევე სარწმუნო იყო განსხვავება კარდინალურ ფერდობებს შორის, განსხვავებით ხმელთაშუაზღვისა და ბორეალურ რეგიონებისგან.

2008 წელს სარწმუნოდ გაიზარდა 8 სახეობის მიერ დაკავებული ფართობების რაოდენობა, მხოლოდ სამი სახეობის-შემცირდა (ძირითადად ტყის ზედა საზღვრის და ალპური რანგის სახეობები). მიგვაჩნია, რომ ყურადღება უნდა გამახვილდეს CP1 მწვერვალის ჩრდილოეთ ექსპოზიციაზე *Betula litwinowii*-ის ახალგაზრდა ინდივიდების გაჩენაზე (გრაფ. 15), იმ თვალსაზრისით, რომ ეს მოვლენა შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც რეგიონში სუბალპური არყნარი ტყის ერთგვარი ექსპანსიის დაწყების ინდიკატორად. თუმცა, ჩვენ ჯერ-ჯერობით ნაადრევად მივიჩნევთ მსგავს დასკვნას იქამდე, სანამ არ იქნება უტყუარი მონაცემები ტყის ზედა საზღვრის ჰიფსომეტრულ გადანაცვლებაზე შედარებით უფრო მაღალი

სიმაღლეებისკენ. ტყის თვალნათელი ექსპანსია ჩრდილოეთ ფერდობებზე (განსაკუთრებით ტყის შემორჩენილი და დაცული ფრაგმენტების მიმდებარედ) ამჟამად არსებული ჰიფსომეტრული სიმაღლის ფარგლებში რეგიონში ბევრგან აღინიშნება და იგი სავარაუდოდ, დაკავშირებულია უკანასკნელ ორ ათწლეულში ექსტენსიური მოვების მკვეთრ შემცირებასთან. სწორედ ამას უნდა გამოეწვია ახალგაზრდა და მოზარდი ინდივიდების მასობრივი დამკვიდრება და განვითარება განსაკუთრებით იქ, სადაც ამას ხელს უწყობს რელიეფის მიკროტოპოგრაფია და *Rhododendron caucasicum*-თან მყარად ჩამოყალიბებული ფაცილიტაციური ურთიერთობა (Akhalkatsi et al., 2004, 2006; Abdaladze et al., 2005; Huges et al., 2009).

სახეობათა მრავალფეროვნების ინდექსი (შენონ-ვინერის ინდექსი) ასევე ვარიირებდა სიმაღლისა და ექსპოზიციის მიხედვით. 2008 წელს CP2 მწვერვალის სამხრეთ ექსპოზიციაზე შენონ-ვინერის ინდექსმა მკვეთრად მოიმატა, ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ „ახალი სახეობები“ 2008 წელს სწორედ სამხრეთ და აღმოსავლეთ ექსპოზიციის ფერდობებზე იქნა აღრიცხული.

ის ფაქტი, რომ 2008 წელს განმეორებითი მონიტორინგისას 15 „ახალი სახეობა“ აღმოჩნდა, ხოლო 4 „გაქრა“, აგრეთვე 8 სახეობის მიერ დაკავებულმა ფართობმა მოიმატა, ხოლო 3 სახეობისამ – დაიკლო და ამასთანვე, ყველა „ახალი სახეობის“ (გარდა ერთისა) რანგი იყო ტყის ზედა საზღვრისა და ალპური, შესაძლებელია საფუძვლად დაედოს მოსაზრებას: კვლევის რეგიონში ადგილი აქვს ფლორისტული კომპოზიციის გარკვეულ ფლუქტუაციებს, რომლებიც მოიცავენ სახეობებით მდიდარ შედარებით დაბალ სიმაღლეებს (CP1 და CP2 მწვერვალების სამხრეთის ექსპოზიციები) და ფაქტობრივად არ მოიცავენ ყველაზე სენსიტურ ცივ ჰაბიტატებს (CP3 და CP4 მწვერვალები), სადაც ფლორა შედარებით ღარიბია, თუმცა დიდია იშვიათ და ენდემურ სახეობათა წილი. კვლევის ამ ეტაპზე ყველა ეს ცვლილება, იმის გათვალისწინებითაც, რომ ნიადაგის საშუალო წლიური ტემპერატურა არ გაზრდილა, განხილულ უნდა იქნეს როგორც გარკვეული ლოკალური ფლუქტუაცია და არა რაიმე სუქცესიური ხასიათის მოვლენა.

GLORIA-ს პროექტის მონაცემებით, 2001-2008 წწ სახეობათა რაოდენობა გაიზარდა ევროპის რეგიონის 45 სამონიტორინგო მწვერვალებზე (ძირითადად

ბორეალური სარტყლის მთებში), შემცირდა 10 მწვერვალზე, ხოლო უცვლელი დარჩა 11 მწვერვალზე. სახეობათა საშუალო რაოდენობა მწვერვალებზე გაიზარდა 34.9 დან 37.7-მდე ( $t=2.9$ ,  $df=49$ ,  $P=0.006$ ). რეგიონების მიხედვით სახეობათა რიცხვი გაიზარდა 12 რეგიონში (საშუალოდ 75.4 დან 80.6 მდე ( $t=2.8$ ,  $df=16$ ,  $P=0.13$ )), შემცირდა 3-ში და უცვლელი დარჩა 2 რეგიონში (Pauli et al., 2012). სახეობათა რაოდენობის შემცირების მხრივ განსაკუთრებით საგანგაშო შედეგები იქნა მიღებული ხმელთაშუაზღვისპირეთის რეგიონში, სადაც ტემპერატურის მომატებას თან დაერთო ნალექიანობის შემცირება (Pauli et al., 2004, 2012). ამ რეგიონში სახეობათა რიცხვის კლება შემაშფოთებელია, რადგან მაღალია ენდემურ სახეობათა წილი. გამოითქვა ჰიპოთეზა, რომ ბორეალურ მთებში სახეობათა სიმდიდრის მატება გამოიწვია კლიმატის დათბობამ, ხოლო საპირისპირო პროცესები ხმელთაშუაზღვისპირეთში - ტემპერატურის მატებასთან ერთად, ნალექიანობის შემცირებამ (Escudero et al., 2012).

ევროპის მაღალმთაში ჩატარებულმა კვლევებმა (მაგ: ავსტრიასა და ცენტრალური ალპებში) ნათლად აჩვენა, რომ მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში კლიმატის დათბობამ მაღალმთაში გამოიწვია მნიშვნელოვანი ცვლილებები მცენარეთა მრავალფეროვნებაში, აღინიშნა ცალკეულ სახეობათა მიგრაცია და საფრთხე დაემუქრა ცივი ადგილების მცენარეებს (Gottfried et al., 1998; Keller et al., 2000; Grabherr et al., 2001; Walther et al., 2005a,b). ბოლო ათი წლის განმავლობაში ზოგიერთი სახეობის ჰიფსომეტრული გავრცელების ზღვარი აიწია 6.1-29.4 მეტრით (Parmesan and Yohe, 2003; Bockmühl, 2008; Lenoir et al 2008). გლორიას სამონიტორინგო მწვერვალებზე სახეობების ჰიფსომეტრული გავრცელების ზრდარი შეიცვალა საშუალოდ 2.7 მ-ით. ცენტრალური კავკასიონის სამონიტორინგო მწვერვალებზე სახეობათა რიცხვის გაზრდას და მათ მიერ ახალი ფართობების დაკავებას ვერ განვიხილავთ როგორც სახეობათა მიგრაციას. 2008 წელს მხოლოდ მთის-ტყის ზედა საზღვრის მცენარეების (რანგი-5) სიხშირე გაიზარდა სარწმუნოდ. როგორც ავღნიშნეთ, კვლევის რეგიონში არ დაფიქსირდა ნიადაგის ტემპერატურისა და GDD-ს მკვეთრი მატება. ზოგადად ალპურ სარტყელში მცენარეთა ლოკალური კოლონიზაცია უფრო სწრაფად ხდება, ვიდრე მიგრაცია (Körner, 2003). მიგრაცია დამოკიდებულია სახეობის სასიცოცხლო ფორმაზე, მრავალწლოვანი სახეობები

უფრო დიდხანს არსებობენ გარკვეულ ადგილას (Steinger et al., 1996). ამავე დროს ქვედა ჰიფსომეტრული სიმაღლიდან ზედა სიმაღლეებისკენ სახეობათა მიგრაციას უფრო დიდი დრო სჭირდება, ვინაიდან მათ უნდა გადალახონ ისეთი მნიშვნელოვანი ბარიერი, როგორიცაა ალპური სარტყელი (Pauli et al., 2007).

2001-2008 წლებში სამონიტორინგო მწვერვალებზე ასევე შეიცვალა სახეობათა დაფარულობა. 2008 წელს ხელახალი მონიტორინგისას აღმოჩნდა, რომ 17 სახეობის დაფარულობა შემცირდა, ხოლო ხუთი სახეობის-გაიზარდა. იმ სახეობებს შორის, რომელთა დაფარულობა შემცირდა მცირეა მარცვლოვნებისა და ისლების წილი. ზოგიერთი მკვლევარი (Klanderud, Totland, 2005) ვარაუდობს, რომ ეს მცენარეები უფრო გამძლე არიან კლიმატის ცვლილების მიმართ. ამ ვარაუდს ადასტურებს ჩვენს მიერ სტატისტიკური პროგრამის დომინანტობის ტესტის საშუალებით გამოვლენილი დაფარულობის მიხედვით დომინანტი სახეობები. როგორც 2001 ისე 2008 წლებში ოთხივე მწვერვალზე დომინირებდნენ მარცვლოვნები და ისლები. განსაკუთრებით მაღალი იყო *Carex tristis* სტატისტიკური პროგრამის მიერ დადგენილი სიმრავლის მაჩვენებელი (Abundance value). ის ალპური ეკოტონის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დომინანტი სახეობაა, რომელიც ამცირებს ნიადაგის ეროზიას და განსაკუთრებით გამძლეა გარემოს სტრესული ფაქტორების მიმართ (Alatalo et al., 2014). მონიტორინგის პერიოდში ასევე არ შეცვლილა სხვა დომინანტი სახეობების (*Poa alpina*, *Festuca varia*, *Festuca airoides*, *Sibbaldia procumbens*) სიმრავლის მაჩვენებელი.

ზოგიერთი სახეობის სიმრავლე და დაფარულობის ცვლილება შეიძლება დაკავშირებული იყოს კონკურენტული ბალანსის ცვლილებასთან, თუმცა მარტო ამ მიზეზით ვერ აიხსნება CP1 და CP2 მწვერვალებზე სახეობათა დაფარულობის შემცირება. ალპური სახეობები განსხვავებულად პასუხობენ გაზაფხულზე ღამის ტემპერატურისა და თოვლის საფრის ხანგრძლივობის ცვლილებას (Gottfried et al., 2002). ნაწილობრივ ამით შეიძლება აიხსნას ზოგიერთი სახეობის დაფარულობის ცვლილება. ზოგადად ალპური სახეობები ნელა მოზარდი მცენარეები არიან, ცოტა პროცენტია მათ შორის ერთწლიანები (Körner, 2003). დაფარულობა წლიდან წლამდე ნაკლებად იცვლება, მნიშვნელოვან ცვლილებას კლიმატის ხანგრძლივი ცვლილება

სჭირდება (Pauli et al., 2003). აუცილებლად უნდა აღინიშნოს მცენარეთა დაფარულობის ცვლილებაზე მოვების გავლენა, თუმცა ეს უკანასკნელი ძალიან იშვიათია ჩვენ სამონიტორინგო მწვერვალებზე.

2001-2008 წწ ასევე ნაკლებად შეიცვალა საერთო დაფარულობა კლასტერებში. ამ მონაცემის უმნიშვნელო ცვლილება დაფიქსირდა CP1 ( $r = 0.901$ ,  $P < 0.001$ ) და CP2 ( $r = 0.823$ ,  $P < 0.001$ ) მწვერვალებზე. კლასტერების საერთო დაფარულობა მაღალ ჰიფსომეტრულ სიმაღლეზე თითქმის არ შეცვლილა და კორელაციის კოეფიციენტიც უფრო მაღალია ( $r = 0.999$ ,  $P = 0.001$ ).

სახეობათა დაფარულობიდან გამოითვალა თერმული ინდიკატორი (S) და თერმოფილიზაციის ინდექსი (D). თერმული ინდიკატორი ახასიათებს კლასტერების „თერმოფილურ“ ან „კრიოფილურ“ ხასიათს. მონიტორინგის პერიოდში ის ვარიირებდა როგორც ექსპოზიციის, ისე წლების მიხედვით. არ გამოვლენილა მისი დამოკიდებულება ჰიფსომეტრულ სიმაღლეზე ( $r = -0.185$ ). მისი ცვლილება სარწმუნო იყო  $1\text{მ}^2$  კლასტერებში ( $t = 3.2$ ,  $df = 63$ ,  $P = 0.002$ ). თერმოფილური ინდიკატორი შემცირდა ყველა მწვერვალზე. S ინდექსის გაზრდა მაშინ არის მოსალოდნელი, როცა მაღალი AR მქონე სახეობების სიხშირე იზრდება, ხოლო დაბალი AR სახეობები მცირდება, ჩვენ სამონიტორინგო ფართობებზე არ დაფიქსირებულა მგავსი ფაქტი, მხოლოდ AR5 სახეობების სიხშირე გაიზარდა სარწმუნოდ. ანალოგიური პროცესი დაფიქსირდა სამხრეთ ალპებში (Petriccione 2005, Di Pietro et al. 2008).

სტატისტიკური პროგრამის რეგრესიული ანალიზის საშუალებით დადგინდა, რომ თერმული ინდიკატორის ცვლილება 2008 წელს 2001 წელთან შედარებით, ანუ თერმოფილიზაციის ინდექსი (D) უარყოფითია ( $r = -0.241$ ). თუმცა ეს მონაცემი არ არის ბოლომდე სარწმუნო. D ინდექსის ვარიაცია შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც პოპულაციის სხვადასხვა ასაკით, ისე დაფარულობის ვიზუალური შეფასებისას გარკვეული ცდომილებით. უნდა აღინიშნოს, რომ D ინდექსი დადებითია ევროპის 16 რეგიონში 17-დან და და 42 მწვერვალზე 60 მწვერვალიდან (Gottfried et al., 2012). ის სარწმუნო კორელაციაშია ზამთრის ნალექების რაოდენობასთან. ზოგიერთ რეგიონში მიღებული სადავო მონაცემი (მაგ., ნორვეგიის მთიანეთში D ინდექსი მიიღეს დადებითი, ხოლო შოტლანდიის რეგიონში უარყოფითი, მაშინ როცა

ცნობილია, რომ ევროპის ჩრდილოეთში კლიმატის დათბობის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია) სწორედ ზამთრის ნალექების ცვლილებით ახსნეს. შოტლანდიაში მკვეთრად შემცირდა ზამთრის ნალექები. ცენტრალურ კავკასიონზე ბოლო დეკადის განმავლობაში ზამთრის ნალექების მნიშვნელოვან შემცირებას ადგილი არ ჰქონია. ჩვენ სამონიტორინგო მწვერვალებზე D ინდექსის არამკვეთრი ცვლილება და თერმული ინდიკატორის შემცირება გვამღევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ ცენტრალურ კავკასიონზე კლიმატის დათბობა რა მომხდარა. Pauli et al., 2012 მიხედვით D ცვლილება უფრო სარწმუნო იყო კონტინენტურ დონეზე, ვიდრე მწვერვალებზე.

ორდინაციულმა ანალიზმა ასევე გამოავლინა, რომ S ინდექსი დადებით კორელაციაშია GDD-სა და ივნისის მინიმალურ ტემპერატურასთან სარწმუნოების სხვადასხვა მაჩვენებლით. ეს ორი ფაქტორი ხშირად ჩნდება ლიტერატურაში, როგორც ალპური მცენარეულობის მნიშვნელოვანი ეკოლოგიური ფაქტორი (Körner, 2002, 2003, 2009, 2011; Larcher, 2012). ზრდის სეზონი (GDD) როგორც თოვლისგან თავისუფალი პერიოდი თესლის აღმოცენებისთვის, ხოლო ივნისის ტემპერატურა კი მნიშვნელოვანია აღმონაცენის ზრდისთვის. ორივე მაჩვენებელი დამოკიდებულია ნიადაგის ტემპერატურაზე და მონიტორინგის პერიოდში მათი ზრდა აუცილებლად მოახდენდა გავლენას თერმული ინდიკატორის ინდექსზე და გამოიწვევდა სახეობათა მიგრაციას დაბალი სიმაღლეებიდან. 2001-2008 წლებში არ დაფიქსირებულა ამ ორი მაჩვენებლის ზრდის ტენდენცია.

ოთხივე მწვერვალზე აღწერილი სახეობებიდან 36% კავკასიის ენდემია. GLORIA-ს პროექტში ჩართული ზოგიერთ რეგიონის მაღალმთაში (სიერა ნევადას მთიანეთი, ცენტრალური აპენინები, ჩრდილოეთ ალპები) ენდემური სახეობების წილი მატულობს ჰიფსომეტრული სიმაღლის ზრდასთან ერთად (Noroozi et al., 2011). კავკასიონის მაღალმთაში ენდემურ სახეობათა წილი მაღალია სუბნივალურ ზონაში (Nakhutsrishvili, 1998, Nakhutsrishvili et al., 2006). ცნობილია, რომ კლიმატის მნიშვნელოვანი ცვლილება აზიანებს ენდემური სახეობების პოპულაციებს. მონიტორინგის პერიოდში არ დაფიქსირებულა ენდემური სახეობების დაფარულობისა და სიხშირის მნიშვნელოვანი ცვლილება, განსხვავებით სხვა

რეგიონებისგან. მაგალითად, ირანის სუბნივალური და ნივალური სარტყლის „ცივი ადგილების“ მცენარეები სერიოზულად დაზიანდნენ ბოლი ათი წლის მანძილზე, ხოლო ენდემური სახეობების რიცხვი შემცირდა 20 %-ით (Noroozi et al., 2010b).

სტატისტიკური პროგრამის ინდიკატორული ანალიზის ტესტის საშუალებით ოთხივე ექსპოზიციაზე გამოვლინდა დაფარულობის მიხედვით ინდიკატორი სახეობები და მათი ინდიკატორული მაჩვენებელი (IV). სახეობების ინდიკატორული მაჩვენებელი პირველად გამოიყენა ელენბერგმა (Ellenberg, 1950). ის გამოყოფდა სახეობებს სხვადასხვა ეკოლოგიური ფაქტორების მიხედვით (განათება, ნიადაგის ტენიანობა, ტემპერატურა, pH). სტატისტიკური ტესტი კი ავლენს ინდიკატორ სახეობებს დაფარულობისა და იმ ეკოლოგიური ფაქტორების მიხედვით, რომლებიც ჩვენი მონიტორინგისას არის გაზომილი, როგორცაა ნიადაგის საშუალო ტემპერატურა, მინიმალური ტემპერატურა, GDD. ინდიკატორი სახეობების ფარდობითი სიმრავლე და სიხშირე გარკვეულ ექსპოზიციაზე იყო მაღალი (75-100%), როცა სხვა ფერდობზე ეს მაჩვენებლები ნულს უდრიდა. ასევე მაღალი იყო ამ სახეობების ინდიკატორული მაჩვენებელი (75-100). ინდიკატორი სახეობებიდან ოთხი კავკასიის ენდემია. მაგ: *Vicia cracca* CP1 მწვერვალის დასავლეთ ექსპოზიციის ინდიკატორად გამოვლინდა. ლიტერატურის (Hill et al., 1999) მიხედვით ის ძირითადად განათებულ ადგილებში გვხვდება. *Empetrum nigrum*-კი CP1 ჩრდილოეთ ექსპოზიციის ინდიკატორია, ის მართლაც ტენიან ადგილებში იზრდება.

ჩვენი ერთ-ერთი ამოცანა იყო იმის გარკვევა, თუ რამდენად შეიცვალა 7 წლის მანძილზე ინდიკატორი სახეობების ინდიკატორული მაჩვენებელი, განსაკუთრებით CP4 ჩრდილოეთ ექსპოზიციაზე, რადგან კლიმატის დათბობა უფრო მეტად აზიანებს ცივი ადგილების მცენარეებს (Körner, 2009). აღმოჩნდა, რომ 2008 წელს ააღნიშნულ სახეობათა ინდიკატორული მაჩვენებელი არ შეცვლილა, მხოლოდ CP2 მწვერვალზე გამოიყო ახალი ინდიკატორი სახეობა (*Campanula tridentata*).

## დასკვნები და რეკომენდაციები

ცენტრალურ კავკასიონზე (ყაზბეგის რეგიონი, ჯვრის უღ. მიდამოები) GLORIA-ს პროექტის კვლევის ადგილების პერმანენტულ ნაკვეთებზე (1მ<sup>2</sup>-იან კლასტერებში) პირველი სამონიტორინგო ციკლის (2001-2008 წწ) ფაქტობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ:

- 1) ნიადაგის საშუალო წლიურ ტემპერატურაში მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ცვლილებები არ აღინიშნება. მიუხედავად იმისა, რომ ტემპერატურა განსაკუთრებით მაღალი იყო 2002-2003 წლებში, მან შემდეგ დაიკლო და სტაბილური გახდა;
- 2) ივნისის მინიმალური ტემპერატურამ და ზრდის სეზონის ხანგრძლივობამ (GDD) ასევე არ გამოავლინა ზრდის ტენდენცია. ეს ორი მაჩვენებელი დადებით კორელაციაშია ნიადაგის საშუალო ტემპერატურასთან;
- 3) თერმული ინდიკატორი (S ინდექსი) სარწმუნოდ ვარიირებდა სიმაღლისა და ექსპოზიციის მიხედვით, თუმცა არ დაფიქსირდა მისი კორელაცია ჰიფსომეტრულ სიმაღლესთან. ის ყველა მწვერვალზე შემცირდა. თერმოფილიზაციის ინდექსი (D) უარყოფითი იყო და ნაკლებდ სარწმუნო, რაც თერმოფილიზაციის ზოგადად დაბალ ხარისხზე მეტყველებს;
- 4) შეიცვალა სახეობათა დაფარულობა და სიხშირე. 2008 წელს დაფიქსირდა 15 „ახალი სახეობა“ (უპირატესად სამხრეთ ფერდობზე) რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა ტყის ზედა სარტყლის და ალპური რანგის იყო, „გაქრა“ 4 სახეობა, 8 სახეობის მიერ დაკავებულმა ფართობმა მოიმატა, ხოლო 3 სახეობისამ - დაიკლო;
- 5) ახალმა სახეობებმა ძირითადად სამხრეთი და აღმოსავლეთი ფერდობები დაიკავეს. შემაჯამებელმა კვლევამ აჩვენა, რომ ზომიერ სარტყელში ასპექტი მნიშვნელოვან როლს თამაშობს სახეობათა განსახლებაში.
- 6) მარცლოვნები და ისლები ყველაზე უფრო სტაბილურები არიან ლოკალური კლიმატური ცვლილებების მიმართ. მათი დაფარულობა და სიმრავლის მაჩვენებლები თითქმის არ იცვლება მონიტორინგის პერიოდში.
- 7) არ შეცვლილა ინდიკატორი სახეობების ფარდობითი სიხშირე და ინდიკატორული მაჩვენებელი;

8) ენდემური და ცივი ჰაბიტატების სახეობები არ იმყოფებოდნენ საფრთხის ქვეშ .

9) ფლორისტული კომპოზიციის გარკვეული ფლუქტუაციები მოიცავენ სახეობებით მდიდარ შედარებით დაბალ სიმადლეებს (ტყის ზედა საზღვრის ეკოტონისა და ზედა ალპური სარტყლის სამხრეთი ექსპოზიციები) და ფაქტობრივად არ ფიქსირდება ყველაზე სენსიტიურ ცივ ჰაბიტატში (ზედა ალპური და სუბნivalურ/ნივალური სარტყლები), სადაც იშვიათ და ენდემურ სახეობათა წილი განსაკუთრებით დიდია;

ამრიგად, კვლევის ამ ეტაპზე ყველა ეს ცვლილება, იმის გათვალისწინებითაც, რომ ნიადაგის საშუალო წლიური ტემპერატურა, ივნისის მინიმალური ტემპერატურა და ზრდის სეზონის ხანგრძლივობა არ გაზრდილა, განხილულ უნდა იქნეს როგორც გარკვეული ლოკალური ფლუქტუაცია და არა რაიმე სუქცესიური ხასიათის მოვლენა.

## ბიბლიოგრაფია

1. აბდალაძე ო. (2011) “საქართველოს ალპურ მცენარეთა ფუნქციური მრავალფეროვნება და კლიმატის გლობალური ცვლილება”, წიგნში: *საქართველოს ბიომრავალფეროვნება*. რედ. გ. ნახუცრიშვილი, (თბილისი: საქართველოს ეროვნული აკადემიის გამომც., 15–18.
2. აბდალაძე ო., რ. გობეჯიშვილი, გ. ნახუცრიშვილი, ვ. ნეიძე , (1998) *ხევი* (თბილისი).
3. გაგნიძე რ. (1999) “საქართველოს ფლორის მრავალფეროვნება”. წიგნში: *საქართველოს ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნება*, რედ-ები ბერუჩაშვილი ნ., კუმლინი ა., ზაზანაშვილი ნ. (თბილისი: I ეროვნული კონფერენციის მასალები, მაისი)
4. გიგაური ხ., მ. ახალკაცი, გ. ნახუცრიშვილი, ო. აბდალაძე, (2011), „თერმოფილიზაციის პირველი სუსტად გამოხატული ნიშნები ცენტრალური კავკასიონის GLORIA-EUROPE-ს სამონიტორინგო ქსელის საკვლევ მწვერვალებზე (GE-CAK13)“. წიგნში: *საქართველოს ბიომრავალფეროვნება*. რედ. გ. ნახუცრიშვილი (თბილისი: საქართველოს ეროვნული აკადემიის გამომცემლობა, 19–22.
4. კორნერი ქ. (2008) *ალპურ მცენარეთა ეკოლოგია*, (თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა).
5. ლარხელი ვ. (2006) *მცენარეთა ეკოლოგია*, (თბილისი: უნივერსალი)
6. მარუაშვილი ლ. (1969) *საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, ნაწ. I*, (თბილისი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
7. ნახუცრიშვილი გ., ო. აბდალაძე, ნ. ზაზანაშვილი, თ. გამყრელიძე, მ. ჭიბოშვილი, (1999) *კავკასიის მაღალმთის მცენარეულობის ტრანსფორმაცია კლიმატის გლობალურ ცვლილებასთან კავშირში. – გაეროს ჩარჩო კონვენციის კლიმატის ცვლილების ეროვნული ბიულეტენი. № 8*, (თბილისი), 87–100.

